ვალერიან შენგელია

# რინა ჭყაფილ მარგალიში
## ანუ
## პირველი შემოქმედნი

რუსულიდან თარგმნა
მანანა მატახერიამ

აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს "ჯეოპრინტში"
დიზაინერი: ნინო ერისთავი

ISBN 978-99940-47-59-8

# უცნობი ხალხის ცივილიზაცია

ყველა ხალხმა და ცალკეულმა მის წარმომადგენლებმა უნდა იცოდეს თუ ვინ არიან ისინი ? საიდან? საით მიემართებიან და რას ქმნიან? ამის გარეშე არ არსებობს კონკრეტულად ერთი ანუ მთლიანობაში ყველა ხალხის სულის განწმენდა. ჩემი შეხედულებით, ყველა ხალხის ისტორიის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს ის კი არა, როდესაც ყველასთვის გახდა მათზე ცნობილი, არამედ ის, თუ საიდან უნდა დავიწყოთ ამ ხალხის ისტორია გამომდინარე არსებული ისტორიული, არქეოლოგიური და ლინგვისტიკური მონაცემებიდან.

მსოფლიოს მეცნიერები გაურკვევლობაში იმყოფებიან, იყო რომელიღაც ხალხი, რომელთა კვალი ყველგან ჩანს. ერთნი მიუთითებენ რომ ეს ხალხი უნდა ვეძებოთ კავკასიაში,მეორენი თვლიან, რომ ისინი ვეღარასოდეს მოიძებნებიან. მოვიყვან მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერების ციტატებს უძველესი ცივილიზაციის მქონე ხალხის შესახებ.

ი.ა. იემეცი: "ევროპის ტერიტორიაზე პროხატების და პროხურიტების გამოჩენას აქვს თავისი ახსნა. დავიწყოთ იქიდან რომ დაახლოებით 10 ათასი წლის წინ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე ნატუფიის კულტურის მოსახლეობა, რომელთაც ეკავათ ამჟამინდელი სირიის, პალესტინის, ისრაელის და ანატოლიის სამხრეთი ნაწილი, ეკონომიკური კრიზისული არსებობის გამო იძულებულნი იყვნენ გადასულიყვნენ მწარმოებულ მეურნეობაზე-პრიმიტიულ მიწათმოქმედებაზე და მესაქონლეობაზე. ამან დააჩქარა დემოგრაფიული აფეთქება და მოსახლეობის ნაწილი ვარგისიანი მიწების საძებნელად, იძულებული გახდა დაეტოვა თავიანთი ძირძველი სამშობლო და სულ უფრო შორს წასულიყო. გადმოსახლებულების ნაკადი მიემართებოდა აღმოსავლეთისკენ, ცენტრალურ აზიაში, ინდოეთში, სამხრეთ არავიაში, აფრიკაში, ევროპაში.

ისინი მიეკუთვნებოდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ანტროპოლოგიურ ტიპს, რომელიც ხასიათდება საშუალო სიმაღლით, მუქი კანის პიგმენტაციით, ცერად დახრილი შუბლით და დიდრონი ცხვირით... მათი გადაადგილების დამადასტურებლად ითვლება რამდენიმე ნეოლიტური კულტურის ბალკანეთის, ქვედუნაის, უკრაინის ძეგლები, რომლებიც მიეკუთვნება 7-4 ათასწლეულებს ჩვენს წ.აღრიცხვამდე. აი ამ კულტურის მატარებლებს განსაზღვრავენ ლინგვისტები, როგორც პროხატებს და პროხურიტებს, რომელთა სამშობლოც იყო მცირე აზია.

ლინგვისტების თავდაუზოგავი შრომის შედეგად დადგინდა რომ პირველი ინდოევროპელების უახლოეს მეზობლებლად ითვლებოდნენ ერთი მხრივ ფინო-უგრები, და მეორე მხრივ-პროხატები და პროხურიტები, რაც ხელს უწყობს რომ შევიწროვდეს არეალი მათი ძირძველი სამშობლოს პოვნის".

მოვიყვან კიდევ ერთ ამონაწერს, რომელიც მოწმობს იმას თუ როგორ შენარჩუნდა "გამქრალი" უძველესი უცნობი ხალხის ენა, სემიტების და ინდოევროპელი დამპყრობლების შემოსვლის შემდეგ. ეს ენა კიდევ დიდ ხანს იყო შენარჩუნებული სხვადასხვა რიტუალების ჩატარების დროს.

ხ.საგსი: "ტაძრის ეზოში ციალებდა ჩირაღდნები, გაკეთებული ლერწმისგან, იდგა ხალხის დიდი ბრბო, რომელთაგანაც უმრავლესობა იყო ბელიბინების მეზობლები. ისინი ცეკვავდნენ და მღეროდნენ. სალოცავის მთავარ შესასვლელთან, ეზოს ერთი მხრიდან ქურუმები ათვალიერებდნენ ფეხშეკრულ ხარს. ყველაფერი მზად იყო მის შესაწირად, ყველაფერი დაწყნარდა,როდესაც დაიწყეს სიმღერით გრძელი რიტუალური ტექსტების შესრულება. ბევრი გაუგებარი იყო მსმენელისთვის, ვინაიდან ტექსტები დაწერილი იყო მკვდარი შუმერული ენით. მიუხედავად ამისა რიტუალი დიდ გავლენას ახდენდა ბრბოზე, იმდენად რამდენადაც ქურუმების ჯგუფი ასრულებდნენ სიმბოლურ ბრძოლებს და ცეკვების სერიებს, იმ მითოლოგიურ გამოხატულებით, რომლებსაც მოიცავდა რიტუალური ტექსტები. ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობაში შედიოდნენ რათქმაუნდა სხვადასხვა ადამიანები,რომლებიც ცხოვრობდნენ მარში შუმერების დროიდან, ახლახან უდაბნოდან გადმოსახლებულებზე ადრე მაგრამ გამოიხატებოდა თუ არა ასეთი განსხვავებები წარმომავლობის სტატუსის განსხვავებაში,- ეს ჩვენთვის უცნობია".

პროფესორი სეისი: „....უფრო მეტად დასაშვებია ვარიანტი,

რომ ნესილი იყო პირველი ხელოვნური ლიტერატურული ენა (ხეტების სამეფო), რომელიც შეადგინეს სამეფოს ქურუმებმა და მწერლებმა. ამ შემთხვევაში არიული ელემენტები, სიტყვები და დაბოლოებები შეიძლებოდა გადმოღებული ყოფილიყო ურთიერთობების გამოსახატავად, უცნობ და უფრო პრიმიტიული მცირეაზიურ დიალექტებში, რომლებიც წარმოადგენენ ჩამოსაყალიბებელი ენის ფუძეს.

...თუ ჩვენ მაინც ვცნობთ ინდოევროპული ელემენტების არსებობას კაბადოკიის ენაში, მაშინ ისმის კითხვა საიდან გაჩნდნენ ისინი? აქ ჩვეულებრივი პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ არიული ელემენტები, ისე როგორც მითანის სახელმწიფოში, იყო მხოლოდ მართველ არისტოკრატიაში. ხოლო მათი ქვეშევრდომები განეკუთვნებოდნენ მცირე აზიურ ტიპს."

ცნობილი ბრიტანელი არისტოკრატი და არქეოლოგი გორდონ ჩაილდი ადასტურებს: „დაწყებული მე-7 ან მე-6 ათასწლეულებიდან ჩვენს წელთ აღრიცხვამდე გადამწყვეტი წინსვლა არმოსავლეთ ევროპაში დააჩქარა ეკონომიკის სვლამ, რომელიც დამყარებული იყო ცხოველების მოშინაურებაზე და ახლო აღმოსავლეთიდან შემოსული მარცვლეულის დანერგვაში. იმიგრაციის თუ ოკულტურიზაციის გზით(აღთქმული ნაკლებად განვითარებული ხალხის მიერ სხვა ხალხის კულტურული ელემენტები). ან ერთიც და მეორეც ერთად აღებული, ევროპაში დამკვიდრდა იდეის ახალი კომპლექსი, რომელიც მოიცავდა შერეულ მიწათმოქმედებას, სოფლის ერთობას, ერთოთახიან სახლებს მიწის ან ხის კედლებისაგან, რომლებიც გახსნილ ადგილებზე იდგნენ, ამასთან ერთად ახალ ცოდნას, ოსტატობას, მეთუნუქეობის ხელოსნობას. ძირი ისევ იმ სოფლის საზოგადოებაშია, რომელისაც ელოდა წინსვლას ცივილიზაციისკენ, როგორც დასავლეთ აზიაში, 3-4 ათასწლეულის ბოლოს ჩვენს წ.ა.

ინდოევროპელებმა უმრავლესობა მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ტერმინები, პროდუქტების დასახელება, ყოფაცხოვრების აღმნიშვნელი სიტყვები გადმოიტანეს პროხატებისა და პროხურიტებისგან. ეს მოწმობს იმას, რომ არსებობდა რამდენიმე მიგრაციის ტალღა კავკასიის,მცირე აზიის, ახლო აღმოსავლეთის და ეგვიპტის ტერიტორიებიდან, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის მიწების ათვისებაში. ნათელია რომ სახელდობრ მათთან არის დაკავშირებული მონაპოვარი ტერტერიაში, ტარგიტაიში და ტი

ბერიაში".

ხ. საგსი: ინდოევრიპელების და სხვა ხალხების გადაადგილებაში სამხრეთისკენ ყველაზე შესამჩნევნი იყვნენ ხეთები და ხურისტები. ორივე ამ ჯგუფის დასახლება შეიძლება მოვიძიოთ ბიბლიაში სახელწოდებით "ხეტეი და ხორეი," მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხი რომლებიც ბიბლიაში მოიხსენებიან როგორც "ხეტები" და "ხორეები" შესაძლოა ქონოდათ ძალიან სუსტი, შორი კავშირი იმ ხალხის ჯგუფთან, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც ხეტები და ხურიტები ტვიფრული დამწერლობის დოკუმენტებში.

ხეთები ინდოევროპელი ხალხია, რომლის ენაც ენათესავება ლათინურს, ისინი გამოჩნდნენ ჩრდილო ანატოლიაში მე-2 ათასწლეულის დასაწყისში და შექმნეს უძლიერესი სახელმწიფო ცენტრალურ ანატოლიაში. მალე 1700 წლის შემდეგ, ხურიტები რომლებიც არ იყვნენ არც ინდოევროპელები და არც სემიტები თავმოყრილნი იყვნენ ვანის ტბის მიდამოებში, ჯერ კიდევ აკადეს დინასტიის მმართველობის დროს".

აი რას ამბობს შუმერების, პროხატების და პროხურიტების შესახებ ხ. საგსი: "უცხოელი ხალხი, შუმერები, რომელთა წარმომავლობა ჯერ კიდევ უცნობია, მოვიდნენ საიდანღაც ( ხმელეთით თუ ზღვით არ არის ცნობილი) ღმოსავლეთიდან ან ჩრდილო- აღმოსავლეთიდან რათა დამკვიდრებულიყვნენ სპარსეთის ყურის რეგიონში.

სამხრეთ ერაყი არ იყო დაუსახლებელი როცა იქ შუმერები მოვიდნენ. იქ უკვე არსებობდნენ აყვავებული დასახლებები, რომლებიც გახდნენ ფუძედ უძველესი შუმერული ქალაქებისა. მათ წინ მოსული ერთი ჯგუფი, შესაძლებელია ყოფილიყო სემიტური. თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ ეს სემიტური ჯგუფი წარმოადგენს ხალხების გადმოსახლების პირველ ტალღას.

ბაბილონის მოსახლეობა ნაციონალურად ძალიან შერეული იყო, რადგანაც სოციალური წყობის მიხედვით მათში შედიოდნენ ხურიტები, ხამიტები, ხათები, ელამიტები, იშვიათად ეგვიპტელები, არამეები, ასურიელები, ხალდეები და თვით ნავუხოდონოსორის მეთაურობის დროს ( 605-562 წწ. ჩ. წ.ა ) ებრაელები".

ბიბლიური თქმულება ბაბილონის კოშკის მშენებლობაზე ემთხვევა ინგლისელი მეცნიერის ო. რ. გარნის ჰიპოტეზას. მასში ნათქვამია უცხოელ ხალხზე, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე, კავკასიიდან თითქმის ეგვიპტამდე, და რომელთაც საერთო ენა ჰქონდათ. მოვიყვან

ციტატას ო. რ. გარნის წიგნიდან: "დასკვნაში არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ კიდევ ერთი დამაფიქრებელი ჰიპოთეზა, სახელდობრ ხეთების (ხათები)ენაზე ოდესღაც ლაპარაკობდა უზარმაზარი ტერიტორიის მაცხოვრებლები, მათში შედიოდა პალესტინაც, და ძველი აღთქმის " ხეთები". შესაძლებელია ისინი წარმოადგენდნენ ამ უდიდესი ხალხის ნაწილს, რომლებიც შედიოდნენ იზოლაციაში, ებრაელთა მთებში, მას მერე რაც ჩრდ. პალესტინას და სირიას მე-3 ათასწლეულის ბოლოს ჩ. წ. ა. სახლობდნენ სემიტების და ხურიტების ტომები. ამ შემთხვევაში რთულია გავითვალისწინოთ ის რომ, ჩვენ როდესმე შევძლებთ ბიბლიის " ხეტეების" დამატებით ცნობების მოპოვებას".

წინა საუკუნის გენიალური ამერიკელი მისტიკოსი და კაბალისტი რალსტონ სკიმერი წერდა: " მე დარწმუნებული ვარ რომ შორეულ წარსულში არსებობდა ენა რომელსაც დღეს დაკარგულად ვთვლით, მისი კვალი თანამედროვეობაში ყოველთვის შეინიშნება. ის მივიდა დასკვნამდე რომ ინტეგრალური დამოუკიდებლობა წრის დიამეტრთან - არის ყველაზე ძველი საღვთო გასაღები ხაზოვანი განზომილებისა. მან დაამტკიცა აგრეთვე ის, რომ იდეოგრაფების და სიმბოლოების გეომეტრიული სისტემა ნაცნობი იყო და გამოიყენებოდა ჩრდილო ამერიკაში აქ მცხოვრები ხალხის მიერ, მანამდე სანამ მას გაეცნობოდნენ პალესტინაში მცხოვრები სემიტები".

ხოდონი აღნიშნავს:" ....ყველა შემთხვევაში არსებობს დამარწმუნებელი მიზეზები იმისა, რომ არ დავუკავშიროთ ერთმანაეთს დოლმენების მშენებლები ინდოევროპელებს. მეგანოლითური ძეგლები ევროპაში განლაგებულია იმ ტერიტორიაზე, რომლებიც მოხვდნენ ინდოევროპელების გავლენის ქვეშ მხოლოდ მიკერძოვებულად ძველ დროში: საფრანგეთი, ბრიტანეთი და ესპანეთი. აფრიკის და პალესტინის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, როგორც ვიცით ინდოევროპელები იმ დროისათის იქ აღარ ცხოვროდნენ (თუმცა მეგანოლითური ძეგლები უამრავია). როგორც დაადასტურეს არქეოლოგებმა, დოლმენები - მენგირები, კრომლეხები და სხვა. მეგანოლითური ნაგებობები აშენებული იყო ჯერ კიდევ კელტების ჩასახლებამდე. დღემდე არ არის ცნობილი თუ ვინ იყვნენ ამ "მეგალიტების მშენებლები" , მაგრამ ამასთან ერთად გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ მათი ენა არცერთ ძველ ინდოევროპულ ენებთან არ იყო კავშირში და რომ მათ სულიერი კულტურაც ყოვლად განსხვავებული და თავისებური ჰქონდათ.

ევროპაში მეგანოლითური აკლდამები განლაგებულია ჩრდილოეთის ზღვის და ატლანტოს ოკიანის სანაპიროებზე, ხმელტაშუა ზღვის დასავლეთ მხარეს, კვლავ გამოჩნდა ბულგარეთში და შავი ზღვის სანაოიროებზე, საიდანაც ისინი კავკასიის გავლით გადაიჭიმება ჩრდილო ირანამდე. ამავ დროს მეგალონითური აკლდამების სხვა ჯგუფი გვხვდება ჩრდილო აფრიკაში, სირიაში და პალესტინაში, შემდეგ სამხრეთ ინდოეთში. არქეოლოგების უმრავლესობა თვლის, რომ ამ უდიდესი აკლდამების აშენების იდეა გავრცელდა ვინმე "ზღვის ხალხისგან", რომელიც გაემგზავრა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვიდან, უბრალო და ძვირფასი მეტალების საძებნელად. სახეზეა აშკარა დამთხვევა ძეგლებისა და მონაპოვრების განაწილებას შორის რაიონების მიხედვით. ივარაუდება, რომ ამ უძველესმა მოგზაურებმა დააფუძნეს სავაჭრო დასახლებები, ან სულაც თავიანთი დინასტიები. იქ სადაც მათ იპოვეს ის რასაც ეძებდნენ და გაავრცელეს აბორიგენების შორის მათთვის დამახასიათებელი მკვდართა კულტი და თავისი არქიტექტურული ტრადიციები".

პიკი ასახელებს მათ როგორც "მეძებრებს" და თვლის შუმერებად, ელიოტი სმიტს მიყავს მისი წარმომავლობა ძველ ეგვიპტელებთნ, ხოლო პაერი, რომელიც განავითარებდა მის შეხედულებას, განიხილავს მათ ფარაონის სახლის წინაპრებად, " მზის შვილებად".

აქ მინდა ავღნიშნო ის, რომ ზევით მოხსენებულში ყველა მეცნიერი ასახელებს სხვადასხვა სახელებს, მაგრამ ამ წიგნის დასასრულს ვფიქრობ ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ყველა ზევით მოხსენებული ხალხი - ერთი ერი იყო, ერთი ენით,ერთი მენტალობით და ერთი (მათი დაარსებული) სარწმუნოებით.

გ. ჩაილდი:"მეგალიტური აკლდამების იდეა და მათთან დაკავშირებული მკვდართა კულტი ყოვლად შესაძლებელია, პირველად შეტანილია მეზღვაურბისგან აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან, სადაც განვითარდა ეგვიპტური ესქატოლოგია, თუ არა თვითონ ეგვიპტელებისგან. მაგრამ სანაპიროების კოლონიზაციაში, უნდა ვიფიქროთ, რომ მეგალიტების მშნებლები დიდი მონაწილეობას არ იღებდნენ. ფაქტობრივად გადმოსახლებულები ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ ისინი ასწავლიდნენ აბორიგენებს თავიანთ რელიგიას, უმთავრეს ნეოლიტის მიღწევებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას. ესენი არ იყვნენ ინდოევროპელები, რომლებმაც გაავრცელეს ეს

იდეები: ესპანეთის, საფრანგეთის, ბრიტანეთის ტერიტორიაზე, ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ ინდოევროპელებად".

ამერიკელი მეცნიერი ჯ. კეზი თავის წიგნში " აღდგომის კუნძული" წერს, რომ პოლინეზიელები, გადმოსახლებული შუამდინარეთიდან , რომელთაც გაიარეს გზა ინდოეთიდან , მალაიზიიდან, მიკრონეზიიდან, კუნძულ ტაიტიდან , ბოლოს და ბოლოს მოვიდნენ აღდგომის კუნძულიზე ეს ჰიპოთეზა დასტურდება კიდევ იმით, რომ კამბოჯის მოსახლეობა კხმერები თეთრკანიანი რასაა. ტიბეტელები, პარაპა, მოხენდჟოდარო და კიდევ ის ხალხი მცხოვრები ჩრდ. იაპონიაში - აინები, არც ანთროპოლოგიურად არ გვანან მონღოლურ ხალხს".

პროფესორმა ფორერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომ: "თუ ჩვენ მაინც ვცნობათ ინდოევროპული ელემენტების არსებობას კაბადოკიის ენაში, მაშინ ისმის კითხვა საიდან გაჩდნენ ისინი იქ. პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ არიული ელემენტები, ისე, როგორც მითანიის სახელმწიფოში, იყო მხოლოდ მართველ არისტოკრატიაში, ხოლო მათი ქვეშევრდომები განეკუთვნებოდნენ მცირე აზიურ ტიპს. გარდა იმისა ხუთი მეფეების სახელები- ხატტუსილი, ტუტხალია, მურსილი, მოტალუ არ ჰგავს არიულ სახელებს."

შემდეგში ჩვენ ვნახავთ როგორ ცალსახად მიუთითებდნენ მრავალი ქვეყნის მეცნიერები, თუ როგორ იღებდნენ მონაწილეობას უძველეს დროში თავიაანთი კულტურის გასავრცელებლად ხალხი დასახლებული კავკასიიდან, მცირე აზიიდან ახლო აღმოსავლეთიდან ეგვიპტის ჩათვლით. მაგრამ ყველა მეცნიერი წერს და ლაპარაკობს მათზე განზოგადებით, როგორც პროხატები და პროხურიტები. პროხატებს და პროხურიტების ენა ითვლება უგზოუკვლოდ დაკარგულად. შეეფერება თუ არა ეს სიმართლეს?

შემდეგ განვიხილავთ საით და საიდან ხდებოდა პირველი ხალხის მასიური გადაადგილება.

იქ სადაც გაჩნდა პირველი ადამიანი, ცხოვრებისეული და კლიმატური პირობები რა თქმა უნდა იყო განსაცვიფრებელი. ამ ადგილებში ხალხი ჩქარა მრავლდებოდა და ის მიწა - წყალი მათვის არასაკმარისი გახდა. ამიტომ დაიწყეს მათ პლანეტის სხვადასხვა კუთხეებში გადაადგილება, შესაბამისად ყველა მათგანს სხვადასხვანაირად უნვითარდებოდა სალაპარაკო ენა. განსაკუთრებით ჩქარა ვითარდებოდა იმ ხალხის ენა, რომელთაც მიიღეს დამკვიდრებული ცხოვრების წესი და ეწეოდნენ

მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ეს იყო იძულებითი ზომა რადგანაც გარეული მცენარეულობა და ფრინველი არასაკმარისი იყო. პირველი მიწათმოქმედებს გაუჩნდათ მოთხოვნილება ასტრონომიის ელემენტარული ცოდნისა, დროის განსაზღვრისთვის, რაც საჭირო იყო სათესო ღონისძიებების ჩასატარებლად. ასევე აუცილებელი გახდა აღესრულებინათ ღვთის მსახურება და შეწირულობა რათა უმაღლესი ღმერთისგან მიეღოთ წვიმა მინდვრების მოსარწყავად, აეშენებინათ პატარა სალოცავები და დაეხვეწათ დაკრძალვის წესჩვეულებები. ხალხმა უმალ დაიწყო გამრავლება. მიწები კატასტროფულად არ იყო საკმარისი. მათ დაიწყეს სხვადასხვა ქვეყნის კუთხეებში მათთვის მოხერხებული ადგილის ძებნა. ასეთი ცოდნის მქონე ხალხს ყველგან კარგად ხვდებოდნენ და მათი ღმერთები ხდებოდნენ ადგილობრივი ველურების ღმერთებად. მათი ენა ათასწლეულობით შემოინახა ქურუმების მიერ რიტუალურ და მაგიურ დონეზე. იმ ადგილებში სადაც ისინი იმყოფებოდნენ. იქ სადაც ჩნდებოდნენ პირველი მიწათმოქმედები, დღემდე შემორჩენილია მათ ენაზე ქალაქების, მთების, ტბების და ყველა წმინდა ადგილების სახელები.

30 ათასი წლის წინ, ადამიანის გამოჩენისთანავე, ხალხის გადაადგილება ხდება მთელ დედამიწაზე, მაგრამ მათ არავითარი კვალი არ დატოვეს. დამკვიდრებული ცხოვრების წესის მიღების შემდეგ, მეცნიერებმა დაიწყეს ხალხის გადაადგილების კონსტანტირება.აი ამ ხალხს უწოდებენ მეცნიერები პროხატებს და პროხურიტებს, ვის კვალსაც პოულობენ ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეებში. მართალია ზოგიერთ ადგილებში ენის შერეული ვარიანტით. ვინ არიან ეს უცნობები-პროხატები და პროხურიტები და რომელ ენაზე საუბრობდნენ ისინი? მეცნიერები ამ ხალხს გაუჩინარებულად თვლის, შეედრება თუ არა ეს სინამ დვილეს?

გავცემთ რა ყველა კითხვას პასუხს, ჩვენ გავიგებთ თუ ვინ არის ეს გაუჩინარებული ხალხი და რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი. ვინ არის ეს გასაიდუმლებული ხალხი ( ან ხალხები) რომლებმაც მისცეს მსოფლიოს უდიდესი ძვრა პროგრესისაკენ და ცივილიზაციისკენ.

ამ კითხვებზე პირდაპირი პასუხი არ არის. მიუხედავად ამისა არქეოლოგიურმა გათხრებმა და ლინგვისტიკურმა აღმოჩენებმა მოგვცეს პირდაპირი მითითება იმ ადგილისა სადაც ჩაისახა პირველი ღვთისმსახურება, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა

და ასევე ლითონების მოპოვება და დამუშავება. სადაც ჩაისახა პირველი დამწერლობა, პირველი ხაზოვანი ალფავიტი. დავიწყოთ იმ ადგილებიდან სადაც ხდებოდა ეს აღმოჩენები და ჩვენ გავიგებთ თუ ვინ აარიან ეს პირველი აღმომჩენები - შემოქმედნი და რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი.

## აიადუ (ნახარინა, ნაირი, ურარტუ)

იმისათვის რომ გამოვიკვლიოთ ურარტუს სახელმწიფოს ძირძველი მცხოვრებნი (პროხატები და პროხურიტები), აუცილებელია გავიგოთ ამ ტერიტორიაზე შემოსული ყველა უცხოელი. არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემებით ცნობილია რომ ურარტუში სახელმწიფო ენად ითვლებოდა ხურიტული (ამ დროისათვის ხურიტული ენა ნაწილობრივ შერეული იყო ინდოევროპულ ენასთან), მაგრამ მკვიდრი მოსახლეობა არ მიეკუთვნება არცერთ ენათა ჯგუფს (ის იყო განსაკუთრებული ჯგუფი ენებისა). უეჭველია ისიც, რომ სხვადსხვა მომენტებში, პირველ და მეორე ათასწლეულებში ჩ. წ.ა. ვანის და არაკასის რაიონებში იგრძნობოდა მნიშვნელოვანი ეთნიკური ძვრები. ერთი ცნობილია ზუსტად, რომ ინდოევროპული ტომები აღმოჩნდა მეორე ათასწლეულის დასაწყისში ჩ. წ. ა. ის ფაქტი რომ სომხური ენა ეკუთვნის ინდოევროპულ ენების ჯგუფს უკვე ადასტურებს ამ ხალხის მიგრაციულ ჰიპოთეზას.

სომეხი და რამოდენიმე პროსომხური "მეცნიერების" მტკიცებით აღმოსავლეთ ანატოლია სომხების ძირძველი სამშობლოა ( ხაიასა) და ურარტუ მათი სახელმწიფო იყო; ეს რა თქმა უნდა არ შეეფერება სიმაეთლეს.

აი რას ამტკიცებენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, დაწყებული გეროდოტედან და სტრაბონიდან, და დამთავრებული თანამედროვე მსოპლიოში გამოჩენილი ისტორიკოსებით და არქეოლოგებით.

გეროდოტე წერს: "ამ ხალხის უძველესი ისტორია დაახლოებით ასეთია როგორც უკვე ვთქვი, არმენი ფესალიის ქალაქ არმენიადან, რომელიც განლაგებული იყო ფერამის და ლარისის შორის ბებას ტბასთან, გაემართა სომხეთში (მხედველობაშია დღევანდელი სომხეთის ტერიტორია) იასონთან ერთად. კირსილი ფასალადან და მიდია ლარისიდან ალექსანდრეს ლაშქრობის მონაწილეები ამტკიცებენ, რომ სომხეთმა მისგან მიიღო თავისი სახელი. არმენის ზოგიერთი თანამგზავრი აკილისენეში ( რომელიც წინა პერიოდებში

სოფენების ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ) აქ დამკვიდრდა. ზოგიერთი კი-სისპირიტიდეში, რომელიც განლაგებული იყო სომხეთის მთების იქით, კალახენამდე და ადიაბენამ დე".

გეროდოტე: არმენების სამოსი-ფესალურია: გრძელი ხიტონები, გადაჭიმული ქამრით გულამდე, და ზედა სამოსი საკინძებზე, ასე რომ ტრაგიკული მსახიობებიც კი ბაძავდნენ ფელასიელებს, რომ მათ სჭრდებოდათ უცხოური მორთულობა. ფესალიელები ატარებდნენ გრძელ სამოსს, ალბად იმიტომ რომ ისინი ცხოვრობდნენ ყველაზე ჩრდილოეთით, განსაკუთრებულ ცივ ზონაში. ამიტომაც ასეთი ტანსაცმელი მსახიობებისთვის ყველაზე მოსარგები იყო მისაბაძად მათ სცენურ გარდასახვებში".

ძველი ბერძენი მწერალი სტრაბონი ამტკიცებს: "ფრაკიული წარმოშობის არმენები მოვიდნენ მცირე აზიაში, ბულგარეთის ტერიტორიებიდან ტროას ომის შემდეგ. სტრაბონი აკავშირებს სომხებს ფესალიელებთან, რომ ფესალიელი არმენუსი ესტუმრა ამ ქვეყანას არგონავტ იაზონთან და მის ამხანაგებთან ერთად და მისცა თავისი სახელი ამ ადგილს".

უდიდესი მცოდნე და მკვლევარი უძველესი ისტორიისა მასპერო ამბობს:" მათი ქვეყანა (ურარტუ), საიდანაც სათავეს იღებს ტიგრი და ევფრატი, ჯერ კიდევ ასირიის მეფის სარგონის დროს, იყო დასახლებული, მხოლოდ ერთი სრულიად განსხვავებული თანამედროვე ტომებისგან და მხოლოდ მონათესავე ქართველ ტომებთან".

ლენორმანი: იძულებული ვარ გამოვთქვა იგივე რაც ჰენრიხ რაულინსონმა თქვა: ურარტუს ენას არანაირად არა აქვს ნათესაური კავშირი გაიოსურ ენასთან. გაიოსები (სომხები) გამოსულები ფრიგიიდან თანდათანობით იპყრობდნენ აღმოსავლეთ მცირე აზიის მაღლობებს, საიდანაც მათ შეავიწროვეს ძველი ურარტუელების ნაწილი; აგრეთვე მათი რწმენა, ენა, დასახლებები შეცვალეს თავიაანთ სასარგებლოდ. დასახელებების, თქმულებების შეცვლა თავიდან შეადგენდა სომხების ჩვეულებრივ ჩვევას. ლენორმანი თავის თხზულებაში ამბობს იმასაც რომ სომეხი ხალხი ტყუილად ითვისებდნენ ტორგომოსიდან წარმოშობას.

მსოფლიოში გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგი რ. გარნი:" ანატოლიის ადგილეფში ნაპოვნი თავის ქალების შესწავლამ აჩვენა, რომ მე - 3 ათასწლეულში ჩ.წ.ა. მოსახლეობის ძირითად ფენას შეადგენდნენ გამოწეული თავის ქალის მქონე

ადამიანები - დოლიხოსეფალები, ხოლო ბრახიცეფალური ტიპი გხვდებოდა იშვიათად. მე - 2 ათასწლეულში ბრახიცეფალების დონემ აიწია თითქმის 50% -ამდე, მაგრამ მოცემული ტიპი კლასიფიცირდება არა როგორც არმენოიდები არამედ როგორც ალპიური. პირველად არმენოიდების ტიპი გამოჩნდა პირველ ათასწლეულში ჩ.წ.ა.".

ამ თემაზე საინტერესოა თანამედროვე ინგლისელი მწერლის დევიდ ლენგის გამონათქვამები: "ეს ნახევრად ლეგენდარული სტრაბონის ცნობები თავისებურად საინტერესოა, რადგან იძლევა საშუალებას დაუკავშიროთ სომხების წინაპრები გამოუცნობ "ზღვის ხალხს," რომლებმაც ომებით გაიარეს მცირე აზიის ტერიტორია დაახლოებით 1200 წელს ჩ. წ. ა. და ხეთების იმპერიის დსასრულს დაუდეს საფუძველი. დროთა განმავლობაში ეს დამპყრობლები განადგურებულნი იყვნენ ძირძველი აღმოსავლეთ მცირე აზიის მკვიდრებისგან და შემდგომში გახდა ის მარცვალი საიდანაც აღმოცენდა სომეხი ხალხი. თვით ურარტუელები იყვნენ ხურუტების და ანატოლიის შთამომავლები . ისევე როგორც უძველეს შუმერებს და ხეთებს, აგრეთვე შუასაუკუნეების ქართველების. ურარტუელებს ქონდათ თავიანთი საკუთარი კულტი, თაყვანისცემა წმინდა ხეების და მცენარეების მიმართ, განსაკუთრებით ნანატრი ცხოვრების და ნანატრი უკვდავების მიმართ. უთვალავი ნიშნები (ბეჭდები) და ლითონის ნაკეთობები გვიჩვენებს ჩვენ იმ ხალხს, რომლებიც თაყვანს ცემდნენ წმიდა ხეს, ხანდახან დადგენილი, და კიდევ დაფენილი ან ამაღლებული ქვების ერთობლიობას და რიცხვს სამამდე."

ასირიული წყაროების ანალიზი გვაძლევს სასარგებლო ცნობებს დაწყებული ხეთების იმპერიის დარღვევიდან, ორგანიზაციაში შეკრული წინააღმდეგობისა. ასირიული აგრესიამ თანდათანობით მიგვიყვანა ვანის რეგიონოს ერთმართველობის ჩამოყალიბებამდე. თანდათანობით იქმნება ერთიანი სამეფო( 12ს.ჩ. წ.ა.) დაქუცმაცებული ტომებისგან რომლებიც გარს ერტყნენ ტბა ვანს."

ახალი შექმნილი ცახელმწიფო - "აიადუ" დედაქალაქით ტოშპა. სხვა ასირიულ წყაროებში ეს სამეფო მოხსენიებულია, როგორც " ბიაიალინი". ორივე ეს სახელი მიგვითითებს მეგრელ-ლაზურენოვან ხალხის დასახლებაზე მოცემულ რეგიონში.

შემდეგ ზემო მოხსენებულ სამეფოზე (ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ხაიასის მინი სახელმწიფო სომხურია, როგორც

მაღლა ვთქვით"ხ-აია-ს" ბ-აია-ლინ," აია-დუ" როგორც თვითონ ხაიასის მეფე ხუკვა მეგრული წარმოშობისაა; ხუ- კვა; ხუ-გაჩენა; ქვა-ქვა. ხუკვა-დაბადებული ქვასავით ძლიერი. ქვეყნის სახელები: ხაიასი, ბაიალინი და აიადუს, როგორც ვხედავთ ყველას ერთი ფუძე აქვს - „აია", რაც მიუთითებს მსოფლიოში ყოპილი აიას სახელმწიფოს ტერიტორიაში შემავალ ადგილებს. ( აია - 5-7 ათასი წ. ჩ. წ. ა.)

ხეთების იმპერიის რღვევის შემდეგ , ურარტუს სამეფოს გაჩენამდე- ძირეული მეგრელ- ლაზურ ენოვანი მოსახლეობის მიერ იყო შექმნილი აიადუს სახელმწიფო, ( 12-10 სს. ჩ. წ. ა.) ამას მიუთითებს ასირიული ანალები და თვიტ სახელმწიფოს დასახელება '' აიადუ'', '' აია-დუ'' , აია იყო - მეგრულად. აიადუს სახელმწიფო ისტირიაში ცნობილია კიდევ როგორც - ნაირი. ის რომ იგი შედგებოდა მრავალი პატარა სამთავროებისგან ამაზე მოწმობს თვით ასირიელი მეფის ჩანაწერები. სიტყვა ნაირი მეგრულად ნიშნავს: ნაირი-სხვადასხვა, სახელმწიპო შემდგარი მრავალი მინი სახელმწიფოებისგან. თვით ხურები თავიანთ ქვეყანას ეძახდნენ ნახარინს, რაც მეგრულად ნიშნავს: ნახარინა, ნახა- დაბადებული ; რინა- ცხოვრება, ნახარინა - დაბადებული საცხოვრებლად (შემოქმედად)

''სალამანსარის ვაჟი, ტუკულტი - ნინურტა პირველი (1261-1218წ. ჩვ. წ. ა.) ასევე ომობდა ვანის რეგიონოს ტომებთან, რომლებიც მის დროს სახელდებოდნენ როგორც '' ნაირის ხალხი''. "43 პატარა მეფე გაერთიანდა ასირიელი მეფის წინააღმდეგ. ასირიელებმა გაანადგურეს ნაირის სამეო. ჯაჭვით შებორკილი უამრავი ადგილობრივი ბელადები იქნა წაყვანილი სამეფო ქალაქ აშურში. ( '' ა-შურ''- კარგი ჰაერი- მეგრულად. შუ-ეგვიპტურედ)'' .

უნდა ავღნიშნით, რომ აქ საქმე გვაქ პირველ ფედერაციულ სახელმწიფოსთან- დასახელებით ნაირი, თავისი დემიკრატიული და მართლწერის ელემენტებით. სადაც თვითონ ქვეყნის სახელი - ნაირი ამბობს, რომ ის შედგებოდა ნაირნაირ სამთავროებისაგან.

ასირიელების ლაშქრობები ვანის რეგიონის ტომების წინაღმდეგ დაშმაგებით განახლდა ტიგლატპალასარ პირველის მეფობის დროს( ტუკულტიეაპალი- ეშარი , 1115- 1077წ.წ. ჩ.წ. ა.) ამ მეფემ თავისი მართველობა დაიწყო ყოველწლიური ლაშქრობებით ჩრდილოეთით თავისი სამფლობელოს სხვა-დასხვა რეგიონებში. თავიდან მან შეუტია მუშკენის ხალხს (ქართულ ტომებს მესხებს). მუშკენებმა ისარგებლეს ხეტების

დამარცხებით და შეიჭრნენ ევფრატის ზეგანის მოდამოებში მურატ- რუს მდინარის გაყოლებით ალზიის და პურულუმზის რაიონებში. იქ 1113 ნ.ჩ.წ. ა. ტიგლარტპალასარმა გაანადგურა ისინი, დაიმორჩილა 5 მუშკენების მეფე და 20000 ჯარისკაცი წაიყვანა ტყვედ.

შემდგომში რამდენიმე წელი ტიგლატპალასარმა თავისი შეტევები განახორციელა ვანის ტბის რაიონში, ან როგორც ასირიელები უწოდებდნენ ნაირის ზღვაზე. "მე გავილაშქრე მათ წინააღმდეგ ჩემი განრისხებული, საშინელი იარაღით და როგორც წარღვნა გამოგზავნილი ადადისგან, მე დავამარცხე მათი უთვალავი ჯარი. ნაირის 60ვე მთავარი ყველა მოკავშირესთან ერთად გავყარე შუბით ზღვის ზეგანამდე, ( ალბათ იგულისხმება შავი ზღვა) დავაჩოქე მათი ყველა დიდი ქალაქი, ავიღე ნადავლი, სიმდიდრე, ქონება და შემდეგ ცეცხლით გავანადგურე ყველა დასახლება". მეფის თანამედროვეები ამტკიცებენ, რომ ნაირის მეფეები იყვნენ შეწყალებულნი, იმის სანაცვლოდ რომ ისინი გადასცემდნენ თავიაანთ ვაჟებს მძევლებად, ხარკთან ერთად, რომელიც მოიცავდა 1200 ცხენს და 2000 სულ საქონელს.

ძველ ბერძნული წყაროებიდან ხდება ცნობილი, რომ ჯერ კიდევ 3400 წლის წინ კოლხეთს ეწოდებოდა - " აია" ჰომეროსთან მოიხსენიება ქვეყანა აია. ცნობილია, რომ ჰომეროსი წერდა ზეპირი მონათხრობიდან მომღერალი დრუიდემბის მიერ, რომლებიც ყვებოდნენ ტროას ომზე. ცნობილია, რომ ომი ტროაში მოხდა მე-14 ს. ჩ. წ. ა. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ნათესავები და ზოგიერთი მეგზური არგონავტებიდან. ძველბერძენი მეცნიერების აღწერით კოლხეთი იყო უძლიერესი სახელმწიფო და თუ მოინდომებდა ელადასაც კი აიღებდა. აქედან დასკვნა, რომ სახელმწიფო აია არსებობდა ტროას ომებამდე ორი - სამი ათასი წლით ადრე - ( 5-7სს.ჩ.წ. ა.) სინონიმი "აია"- ყველგან არის სამეგრელოში. ცნობილია რომ აია- ეს არის ღმერთების ღმერთი. ღმერთი აიას მიწისა. დღევანდლობამდე სოფლებში აწყობდნენ ზეიმებს რომელსაც უძღვნიდნენ ღმერთ აიას, სახელწოდებით "აიანოშა" და იყო სამეგრელოში ეკლესია სახელად "საიანოშო". აიას უწოდებდნენ ყვავილებს, ქალაქებს, სოფლებს, მდინერეებს. მეგრული გვარების და ძველი სახელების დაბოლოება "აია", " ია"ა, არის ბოძებული ღმერთების ღმერთისაგან. გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ აია ფიგურირებს მეოთხე - მეხუთე ათასწიეულ- ში დაწერილ ხეთურ და შუმერულ ტექსტებში (ტექსტები მოცემუ-

ლია კვედა თავებში).

ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ, არამმა - ხათების ხალხის შვილმა შესძლო შეექმნა უძლიერესი სახელმწიფო ცნობილი ისტორიაში სახელწოდებით-ურაშდუ (ურაშდუ - ურასი იყო - მეგრულად ) - " რაც შემდეგში გადააკეთეს როგორც ურარტუ". არამმა გააერთიანა რა რამოდენიმე ხეთების იმპერიის სამთავროები. სახელმწიფო ურაშდუს დედაქალაქად გამოცხადდა კალდების ქალაქი ტოშპა. ( კალდები, მეგრულ-ლაზურ-ენოვანი ხალხი, მცხოვრები ვანის ტბის მახლობლად). გაერთიანებული ურარტუს სამეფოს დამაარსებელი არამი ასირიულ დამწერლობაში მოიხსენიება. მეფე სალამანსარა მესამეს ( 800 წ.ჩ.წ.ა) დროს ურარტუს მეფეებად მოიხსენიებენ: მენუა, არგიშტი, რუსა, ორონტი. უმრავლესობა სახელმწიფოების, მეფეების, ქალაქების, მდინარეების და სხვა მრავალი სახელები - მეგრულ-ლაზურენოვანია:

არგიშტი-"არგიშ"- არგოვები (არგი, მარგი, მარგალები, მეგრელები).

" ტი" - ტიან - მათი გვარიდანაა "არგიშტი"- არგოვების გვარიდან. არგიშტიხუნელი-მეფის ქალაქი-არგიშტიხინილი- არგიშტიხუნელი (არმავირი); არგიშტი-ხუნელი; ხუნელი-დჯდომილი; არგიშტიხუნელი-სამეფო ქალაქი; ეხლანდელი არმავირი; არგიშტიმ დააარსა ახალი დედაქალაქი-არგიშტიხუნელი.

ორონტი-ღმერთია მეგრულ ენაზე.

რუსაი-სუე. მეფე რუსა ( 730 – 714 წწ. ჩ.წ.ა.) შექმნა ხელოვნური ტბა, წყალსაცავი 15 მილის მოშორებით. ის ცნობილია სახელწოდებით რუსაი-სუე, ე.ი. მტკნარი წყალი აუცილებელი იყო მიწების მოსარწყავად

არგიშტი - ურარტუს მეფის სახელია და ითარგმნება მეგრულ ენაზე. არგ - იშ- ტი, სადაც არგ- ეს თვით არგების, მარგალების, მარგების, მეგრელების თვითსახელებია. იშ-ტი - იშიან იმავე გვარის და ჯიშისაო.

ერიბუნი-ძველი ერევნის დასახელება-ერიბუნი მეგრულიდან ითარგმნება როგორც: " ერი-ხალხი", " ბუნი " - შეკრება, გაერთიანება. ერიბუნი-ხალხის თავყრილობა.

შუპრია-ურარტუს უძველესი დასახლება.

"შუ - პრია", სადაც " შუ" ჰაერი, „პრია"-კარგი. შუპრია - კარგი ჰაერი.

ქ. ტოშფა, სადაც „ტ"-ტყავი, კედელი. „ოშ" - ასი, „პა" ფენა.

ცნობილია რომ ქ. ტოშფის ციხესიმაგრის კედლები რამოდენიმე ფენისგან შედგებოდა. ტოშპა-ქალაქი შემორტყმული კედლით ასი ფენისგან.

ქ. მუში - მისი.

ქ. ვანი. ვანს შემდგომში დაერქვა ტოშპა. ვანი-უძველესი ქალაქია საქართველოში.

მდ.ღალი - მდინარე-ღალი, მეგრულად ნიშნავს მდინარეს. საქართველოში არის მდინარე ღალი და ქალაქი გალი.

მდინარე ხოშაპისგან იყო აშენებული ქ. ტოშპაში არხი. ხოშაპი-ქოჩხაპი-მორწყვა მეგრულად.

ერიდუ; ერ-ხალხი; დუ-იყო.

აიადუ -აია-ქვეყანა; დუ იყო, აიადუ ოდესღაც იყო აია.

ურაშდუ - ძველი სახელწოდებაა, მერე ასირიელებმა დაარქვეს ურარტუ. ნახჩე-სამთავრო ნახარინაში. ნახ-ნახა-დაბადებული, ჩე-თეთრი, ნახჩე ნახარინა-ნახა-დაბადებული;

რინა-ყოფა. დაბადებული სიცოცხლისთვის, შემოქმედებისათვის.

არამუ - ურარტუს სახელმწიფოს დამაარსებლის სახელი არამუ - სიტყვიდან - არამხუ, არამხუტ -პირველი ლეგენდარული მხსნელი და დამხმარე პირველი მიწათმოქმედი ხალხის ( პრომეთე). არამხუტი მეგრულად ნიშნავს: „ არამ -ხუ“, „ არამ“-გოლიათი, „ ხუ“ - დაბადება, არამხუ - გოლიათად დაბადებული. არსებობს გაშიფვრის მეორე ვერსიაც სიტყვა არამხუტის: „ ა-რა-(მ) ხუ“, სადაც „ა“ - აქ, „ რა“-მზე, „ ხუ“-დაბადება. „ არამხუტ“ — მზისგან დაბადებული.

სამეგრელოში გავრცელებულია მითი არამხუტზე (პრომეთე). არამხუტი ფლობდა არამიწიერ ძალას. ყველანაირად ეხმარებოდა ხალხს, მინდვრებიდან გადაჰქონდა უზარმაზარი ლოდები, გადასცემდა ხალხს ზეციურ ცეცხლს და ასწავლიდა თუ როგორ ხერხდებოდა მისი ძალით მიწის გაწმენდა ტყის ბარდებისაგან, რათა მოეხნათ მინდვრები და დაეთესათ პური. არახმუტის ასეთმა დახმარებამ ხალხის მიმართ ღმერთებში გამოიწვია სიბრაზე და მათ უბრძანეს ანგელოზებს შეებოჭათ ის ჯაჭვით გამოქვაბულში. ძაღლი ცუცკა ყოველ დღე ღრღნის ჯაჭვს და როდესაც ჯაჭვი უკვე შესუსტდებოდა მოდიოდნენ " ქაჯები", რომლებიც ყარაულობდნენ მას და ხელახლა ამაგრებდნენ ჯაჭვს ჯადოსნური ჯოხით.

როგორც ცნობილია სამეგრელოში სარაველა სწრაფად იზრდება. ის ძალიან უშლიდა ხელს მიწის დამუშავებას. ზუსტად

ეს იყო იმის წინაპირობა, რომ შეიქმნა მითი არამხუტზე. უეჭველია ის,რომ მითი პრომეთეზე სინამდვილეში გაჩნდა კოლხებს შორის, იქ სადაც გაჩნდნენ პირველი მიწათმოქმედები. იქ სადაც სჭირდებოდათ დახმარება პირველ მიწათმოქმედებს. შემდგომში ეს მითი ვლინდება ბერძენ და სხვე ხალხების ისტორიაში.

ურარტუს სახელმწიფოს მეფე მენუამ ააგო 40 მილის სიგრძის არხი, რათა შემოეყვანა წყალი ქ. ვანში გრეხილი მთებიდან, მდ. ხომაპის ახლო-მახლო (ხომაპ- ხოჩხაპ-მეგრულად ნიშნავს - მორწყვას). არხი დღემდე გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

ქ. ტოშპის მახლობლად ნაპოვნი იყო ქვა რომელზეც ტვიფრული დამწერლობით ვიგებთ იმის შესახებ თუ როგორ გადახტა მეფის ცხენმნა 22 კუბიტზე(11.5მ), თავის პატრონთან ერთად. ამ ცხენის სახელია-არწივი. არწივი- არწივია ქართულად..

შემდეგ მისი ქვეყნების მისი ქალაქების დასახლებები, რომელსაც აღწერს ასირიის მეფე ტუკულტი- ნინურტა( 1244წ. ჩვ. წ. აღ.) მეგრელ-ლაზურენოვანი ტოპონიმით სავსეა: ხუბუშკია, ალაია, კადმუხე, ხანი, ურგამუში, ხუზუში, ხაშინული, ხარნაბხი, არაბხა, ხაბხუ, ულხუ, ხახა - სადაც დომინირებს სიტყვა - ხა, ხუ - დაბადება.

აგვისტოს დასაწყისში, როდესაც აუტანელი სიცხეა, სომხეთში აღნიშნავენ "ვარდავარს" ან " ვარდების შესაწირვი" ამ დღეს სული შეიძლება იბკურება წყლით და ამაზე განაწყენება არ შეიძლება. რიტუალი " ვარდავარი" ითარგმნება მეგრულ ენაზე და ნიშნავს : "ვარდ- ავარ", სადაც "ვარდ"- ვარდია. "ავარ" - ავარებელ - ბევრი. "ვარდავარ"- იმის მანიშნებელია, რომ ეს რიტუალი ეკუთვნის ხატოხურიტების წარმართ ზეიმებს.

მე-6 საუკუნის ჩვ.წ. აღ. დასაწყისში სკვითების და კიმირიელების შემოჭრამ გამოიწვია ურარტუს სახელმწიფოს რღვევა. მე-2 ს.ჩვ. წ. ა ღ. რომაელების შემოსვლის თანავე ურარტუს ყოფილ ტერიტორიაზე აღმოცენდება ახალი სახელმწიფო არშაკიდების დინასტიის ხელმძღვანელობით, სახელწოდებით- სომხეთის სამეფო.

აი როგორ აღწერს ახალი სახელმწიფოს მართველის მოქმედებებს ინგლისელი მეცნიერი დევიდ ლენგი:" როგორც კი ანტიოხმა განიცადა მარცხი რომაელებისგან (190წ.ჩვ. ა.), იმავ დროს არტაშე და ზარიადისი გამოეყვნენ სელევკიდების სახელმწიფოს. აპომეიმის მშვიდობიან ხელშეკულებაში(188წ. ჩვ. წ. ა.) სადაც რომაელების გამარჯვება იყო დამტკიცებული. რომის

სენატმა უბოძა მათ დამოუკიდებელი მართველების სტატუსი. ეს იყო პირველი იურიდიული კონტრაქტი სომხეთისა და რომის სენატის შორის, რომელიც მოხარული იყო შემოეერთებინა ორი მოკავშირე, სტრატეგიულად მსოფლიოს მთავარ წერტილში, იმისათვის რომ საბოლოოდ შთაენთქა ის და შეერთებინა რომის იმპერიისთვის. ახალი მეურვის ქვეშ, ორმა სომხურმა სამეფომ, დიდმა სომხეთმა და სოფენმა გააგრძელეს გაშმაგებული ექსპანსიის პოლიტიკა. არტაშესმა წაართვა მიდიანებს და სპარსელებს მიდიის ატრიპენი (ეხლანდელი აზერბაიჯანი), და გაფართოვდა კასპიის ზღვის სანაპიროებამდე. ქართველებს მან წაართვა დიდი ნაწილი ჩრდილოეთიდან-ტბა სევანის დასავლეთ ნაწილამდე. ხალიბებს მისინოეცი და ტაოხებს (ტაო-კლარჯეთი). სომხებმა წაიღეს დიდი ნაწილი ერზრუმის მთიანეთის შემოგარენისა და ნაწილი ველური, მთიანი მხრის- პონტიური ალპების. პროვინცია ტარონი (ქ. მუშის ირგვლივ) მთლიანად იყო განმენდილი სელევკიდების გარნიზონის ნარჩენებისაგან.

ერთ-ერთი მთავარი სწრაფვა იყო სომხებისა - ტერი-ტორიული ზრდის და ლინგვისტიკური კონსოლიდაცია სომხური ენის ირგვლივ".

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (63წ. ჩ.ვ. წ. ა.-24 წ. ჩ. წ. ა. განსაკუთერბულად ხაზს უსვამს არტაშეს და ზარიადის დაბყრობას. მათი უნიფიკაციის წყალობით, წერს: "დღეს სხვადასხვა რაიონოს ყველა მცხოვრები ლაპარაკობს ერთ ენაზე; იბერიელებმა აღმოსავლეთის ქართველებმა დაკარგეს მიწის დიდი ნაწილი განლაგებული, მდ. მტკვრის სათავეებთან, უპირველეს ყოვლისა პროვინცია გოგარენოვი, იმ დროისათვის, როცა მოსინოიკებმა და ხალიბებმა დაკარგეს თავიაანთი ძირძველი მიწების ნა-წილი, განლაგებული სამხრეთით ტრაპიზუნტიდან. ყველა ეს ტერიტორიები გადავიდა სომხეთის სამეფოში".

საკმაოდ გარკვევით აღწერს სომხეთის ექსპანსიას დევიდ ლენგი:" სომხურ ენაში გაერთიანდა მრავალი ელემენტი აღებული ძველი ანატოლიის ხალხისგან, უპირველესად ხურიტები სხვა ურარტუს მცხოვრებლებისგან. მე7 და მე2 საუკუნეს შორის ჩწვ. წ. ა. სომხები დამკვიდრდნენ როგორც სახელმწიფო ურარტუს მემ-კვიდრეები, რომელთ უძველესი ტერიტორია მათ დაიკავეს და შემდეგ ვრცელდებოდნენ სხვადასხვე მიმართულებით. სომხების ექსპანსია, უეჭველად აისახა კავკასიის ტომებზე, რომლებიც გა-დასროლილები გახდნენ კიდევ შორს ჩრდილოეთით, შავი ზღვის მიდამოებიდან- ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიის მთებამდე".

ქსენოფონტი წერს:"ჩრდილოეთისკენ ტბა ვანიდან შეავიწროვეს დიაოხების ტომები დარჩენილნი ურარტუს დროიდან. უცხო მიწების დაბყრობა და შემდეგ იმის თქმა რომ ეს ოდითგან სომხეთის მიწებია; უფრო მეტიც წინასწარ დაგეგმილი უცხო მიწების დაბყრობასაც სომეხი მთავრები უკვე თავიაანთ მიწებად თვლიდნენ და თავის მოსახლეობაში ავრცელებდნენ, რომ ვითომ ეს მიწები ოდითგან სომხური იყო".

აი რას ამბობს ამის შესახებ რუსი მწერალი და ისტორიკოსი ვ.ლ. ველიჩკო: "არ ვლაპარაკობ უკვე უაზრო სახელმძღვანელოებზე, რომელშიც საუბარია ყბადაღებულ დიდ სომხეთზე და მშვიდობიან მოწოდებაზე ყველა მეზობლების ცივლიზაციაზე. ამ სკოლებში ვრცელდებოდა რუქები სადაც სომხეთის ტერიტორია ვორონეჟამდე იყო გადაჭიმული და დედაქალაქად თბილისი იყო აღნიშნული. რუქა ამ წარმოსახვით, რომელიც მე ვნახე ყოფილ კავკასიიის გუბერნატორთან კ.პ. იამოვსკისთან."

მოვიყვან ციტატას კ. შელიას წიგნიდან:" მეხუთე საუკუნის 60-იან წლებში მეგრელმა მეცნიერმა რომელიც ბიზანტიის კარზე მასხურობდა მეფის დავალებით შექმნა სომხური ანბანი. მაშინვე იმ დროის სომეხმა მეცნიერებმა გაავრცელეს როგორც მაშტოცას ანბანი, მაგრამ სიტყვა"კორიუნი" არ ამოიღეს უცნობი მიზეზის გამო. ამღმოჩნდა რომ " კორიუნი" პეტრე იბერიელის ფსევდონიმი იყო. ბიზანტიელი მეცნიერი მითრიდატეს და პეტრე იბერის მოსწავლე თავის ნაშრომებში ადასტურებს რომ სომხური ანბანი შექმნეს მითრიდატე ლაზმა და პეტრე იბერიელმა. ჩვენდა საუბედუროდ ზოგიერთი " ქართველი მეცნიერები" დღემდე თვლიან რომ ქართული ანბანი შეგვიქმნა სომეხმა მეცნიერმა მაშტოცმა".

ლუნორმანი: "ტვიფრული დამწერლობის ენა არავითარ შემთხვევაში არ გავს ხაიკის ენას - ამბობს ლენნორმანი. იმ ხალხს რომელმაც ამოტვიფრა ეს წარწერები არანაირი ნათესაური კავშირი არ ქონდათ სომხებთან და გაიოსებთან, არც წარმოშობით არც საერთო ენით. გაოსები სომხეთში მოვიდნენ იმ დროს, როდესაც ვანის წარწერები უკვე არსებობდა, იმ დროს როდესაც ურარტუელმა ხალხმა ამოტვიფრეს წარწერები ეს უკვე დაზუსტებული იყო რამოდენიმე საუკუნეების გაუთავებელი ომების შედეგად".

ჰენრიხ რაულინსონი:" გადარქმევა , სხვისის მითვისება , ძეგლებზე წარწერების გადაჩხაპნა და გადასწორება; ყველაფერი

ეს ადრეული დროიდან სომხების ნიშან- თვისება იყო. ზემოთ მოყვალი ფაქტებზე დაყრდნობით ამბობს ლენორმანი- იძულებული ვარ დავადასტურო ჰენრიხ რაულინსონის სიტყვები: ურარტუს ენას არანაირი კავშირი არ აქვს გაიოსის ენასან. გაიოსები წარმოშობით ფრიგიიდან თანდათან იკავებდნენ ამაღლებულ ადგილებს, საიდანაც მათ განდევნეს ურარტუელები. ნაწილი ხალხის დაიმორჩილეს ენა ,რწმენა, ადათი მათი შთანთკეს. ლენორმანი ამბობს, რომ სომხები ტყუილუბრალოდ აღიარებდნენ იმას, რომ ისინი ტორგომოსის შთამომავლები არიან".

ზემოთ აღნიშნულიდან თვალნათლივ ჩანს მეგრელ - ლაზურენოვანი ტომების ასიმილაცია, რომლის კვალიც სამუდამოდ შრება მოცემული ტერიტორიიდან. ხეთების იმპერიაში შესამჩნევი იყო მეგრულ-ლაზური ენის არსებობა და როგორც ურარტუში ცალკეული მინი სახელმწიფოების არსებობა. რომაელების ბატონობის დაწყებიდან და სომხეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ მეგრულ-ლაზურენობროვი ხალხი საბოლოოოდ ქრება ( ხათები, მოსხები, ხურები, კალდები, მანები, ხალიბები, ფალები, ტუბალები). ნაწილი მიგრირებს დასავლეთ ევროპაში , ნაწილი აღმოსავლეთ კოლხეთში, ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში. დარჩენილი ნაწილი ერევა ინდოენობრივ ბარბაროსებს.

ვფიქრობ რომ ძალიან ზუსტად და გარკვევით დაწერა ქვემოთ მოყვანილი ფრაზა გ. გოლმსტრემმა: "კაცობრიობის მხრიდან დიდი უსამართლობაა და არამადლიერებაა ურარტუელების მიმართ. გ. გოლმსტრემმი ამტკიცებს, რომ მათი კვალი დღემდე არსებობს. კაცობრიობა მათ არასამართლიანად ექცევა".

მაღლა თქმულიდან შევვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სომხებს არანაირი შეხება არ აქვთ ურარტუს სახელმწიფოსთან და შესაბამისად მანამდე არსებულ სახელმწიფოებთან მცირე აზიაში. თუ გამოვაკლეფთ სომხებს და დღემდე უცნობ ინდოევროპელ დამპყრობლებს (ნესილი ან კიდევ სხვა) რჩება ადგილობრივი აბორიგენი ტომები მცხოვრები ამიერ კავკასიის და მცირე აზიის ტარიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ მეგრელ - ლაზურენოვანი ტომები: ლაზები, მარგალები, ხათები, მოსხები, ხურები, კალდები, ხალიბები, ფალები, ტუბალები, რომლებსაც მეცნიერები ეძახიან; პროხათებს და პროხურიტებს.

# ილუ (ტროა)

პროფესორი დ. პეიჯი ამტკიცებს: "ვიღებთ რა მხედველობაში ჩვენს ცოდნას იმ პერიოდის შესახებ, ეჭვ გარეშეა რომ ტროას ომი ეს რეალური ისტორიული ფაქტია, რომ მასში იღებდა მინაწილეობას მეფის მეთაურეობით ახეილების(მიკენების) კოალიცია. ომობდნენ ისინი ტროას მოსახლეობის და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ და რომ ამ ლაშქრობებს საფუძვლად უდევს ისტორიული ფაქტები და რომ ყველა პოემის პერსონაჟს (არა ყველასი შეიძლება ითქვას) ჰქონდა თავისი პროტოტიპი რეალურ ცხოვრებაში. როგორც ჩანს მოგზაური მომღერლები აკვირდებოდნენ ამ ხალხს სხვადასხვა ისტორიულ სიტუაციაში და მიღებულმა შთაბეჭდილებებმა მოგვიანებით ნახა გამოხატვა მათ მოთხრობებში".

ტროაზე და ტროელებზე ძირითადად ვიცით ჰომეროსის პოემებიდან "ილიადა "და "ოდისეა" ტროა აღწერილია როგორც უკიდეგანო დასახლება, ძლიერი კედლებით და ციხე-სიმაგრეებით. იქ იყო ფართო ქუჩები, ციტადელის მაღლივ ნაწილში, მეფე პრიამის სასახლის გვერდით მდებარეობდა გახსნილი "აგორა ". ჰომეროსის მიერ ქალაქის აღწერილობის გაანალიზებით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ის დაიტევდა 50 ათასზე მეტ ადამიანს. ტროას განლაგება მიმზიდველი იყო როგორც ვაჭრობისთვის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ , ასევე ძარცვის მიზნით სხვადასხვა ბარბაროსი ხალხის მიერ. ამის შედეგად ქალაქი ბევრჯერ იყო დანგრეული მაგრამ ქვეყნის მცხოვრებლები ჯიუტად აგრძელებდნენ ცხოვრებას ამ ადგილებში. კვლევ აშენებდნენ დანგრეულ კედლებს და აგრძელებდნენ თავიაანთი წინაპრების მიწაზე ცხოვრებას.

ამ ხალხის ფესვები მიდის შორს საუკუნეებში, ნეოლითის დროის პერიოდისკენ. ზემოთ მოხსენებულში ნათკვამია რომ კავკასიიდან ეგვიპტემდე ცხივრობდა ერთი ხალხი, ერთი საერთო ენით, შესაბამისად ტროაშიც ცხოვრობდნენ ისინი.

მე-3 ათასწლეულის ბოლოს აღინიშნება სხვადასხვა ინდოევროპელი ტომების შემოსევები. როგორც ცნობილია შლიმანის არქეოლოგიური გათხრებისგან ტროია 8 ჯერ იყო დანგრეული და ამ ნანგრევებზე კვლავ შენდებოდა ქალაქი. პირველი 5 ნაგებობები არსებითად განსხვავდებოდა მომდევნო სამისაგან. ეჭვგარეშეა რომ სასახლეების და სხვა მომდევნო 3 ნაგებობების მშენებლობაში მონაწილეობას იღბდა უკვე სხვა ხალხი.

აი რას ამბობს ამის შესახებ კარლ ბლეგენი:" არქეოლოგების აღმოჩენები მოწმობს იმაზე რომ, ამ მოსახლეობაში არ არსებობდა არავითარი მოდუნება კულტურის განვითარების მხრივ და რომ არავითარ გავლენას ადგილი არ ქონდა , პირიკით აღდგენილი ტროა დასახლებული იყო ისევ იმ ხალხით თავისი ცხოვრების წესით, ტრადიციით, რომელიც არაფრით არ განხვავდებოდა წინამორბედის ცხოვრების წესისგან და ტრადიციებისგან. მოღწეული ჩვენამდე ბრინჯაოს და სპილენძის ნივთები, შრომის იარაღბი, სხვადასხვა ფიგურები გაკეთებული ქვისგან და ძვლისგან, ნაქარგი ტილოები კერამიკა, რომელიც შესრულებული იყო ტროელი ოსტატების მიერ. თვალნათლივ ადასტურებს იდეების და პრინციპებით თანდათანობით ევოლუციას, რომელიც მემკვიდრეობად ერგო აქაურ მცხოვრებლებს თავიაანთი წინაპრებისგან. შეუპოვარი მისწრაფება შეენარჩუნებინად სიცოცხლე თავიაანთი წინაპრების მიწაზე ერთ-ერთი ყველაზე წარმოუდგენელი თვისებააა ამ ხალხის, რომელიც სახლობდა ტროას აკროპოლისისი ადრეულ ბრინჯაოს ხანებში. როგორც უკვე ავღნიშნეთ მისი ფესვები მიდის შორეულ საუკუნეებში და რომ ნამდვილად არის საფუძველი იმისა რომ ვივარაუდოთ ეს ხალხი შეიძლებოდა წარმოშობილიყო კიდევ უფრო ძველი ხალხისგან, რომელიც ცხოვრობდა ნეოლითის პერიოდში. კუმ-ტეპეს რაიონში".

დამპყრობლების მოსვლის შემდეგ იგრძნობა სულის გარდაქმნა სხვადასხვა მატერიალურ და სულიერ სფეროში ტროას სამეფოს ცხოვრებაში. მასზე მოწმობს უდიდესი მაშტაბური ცვლილებები, რომლის შედეგადაც ციხესიმაგრის ახალი გარდაქმნა გახდა მეფის ძალა-უფლების საზღაური. ციხე-სიმაგრის კედლების იერსახე იცვლება ასევე იცვლება სამხედრო -ტექნიკური ცოდნა.

ამასვე მოგვითხრობს სტრაბონიც (1-ლი საუკუნე) : „ ყველაზე საყოველთაოდ მიღებულად ითვლება აზრი იმის შესახებ, რომ ენეტები იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანი ტომები პაფლაგონიისა, რომლიდანაც წარმოიშვა პილემენი...ტროას აღების შემდეგ ისინი გამოემართნენ ფოლარიაში და თავიააანთ მოხეტიალე წესით მოვიდნენ თანამედროვე ენეტიკში."

ვფიქრობ რომ, მათზე მოიხსენიებს ცეზარი: ეს ტომები სარგებლობს უდიდესი ყურადღებით მთელი ზღვის სანაპიროებზე, მიუხედავად იმისა , რომ ვენეტებს გააჩნიათ მრავალრიცხოვანი გემები, რომლებითაც ისინი გადაადგილდებიან ბრიტანეთში

და წინ უსწრებენ გალებს საზღვაო საქმის ცოდნაში და გამოცდილებაში. უძლიერეს ზღვის ტალღის ცემისა და უმცირესი ნავსადგურბით რომლებისც ვენეტების ხელში იმყოფებოდა, მათ ყველა მოცურავე ხომალდი თავის მეხარკეებად გახადეს."

ახეიელების მიერ ტროას წარმოუდგენელი განადგურების შემდეგ ენეტები იძულებულნი იყვნენ გადასულიყვნენ ევროპაში, შესაბამისად გარკვეული ნაწილი მკვიდრი მოსახლეობისა გადავიდა მათთან ერთად. ანალოგიურად ხათების იმპერიის მოსახლეობა, რომლებიც აღმმოჩნდნენ იტალიის მიწაზე და იწოდებიან როგორც ეტრუსკები.

ის რომ ეტრუსკები შერეული ხალხია სხვადასხვა ტომებთან ნათელია მაგრამ მის ფუძეს შეადგენდნენ სლოვენური და მეგრულ- ლაზურენოვანი ხალხი . რუსების ( ენეტების,ვეენედების) და მეგრულ_ლაზურენოვანი ხალხის არსებობა ტროას მცხოვრებლებს შორის რომლებიც გადავიდნენ იტალიის მიწებზე, გვამცნობენ უძველესი მწერლები და ისტორიკოსები: მე-6 საუკუნის ბიზანტიელმა მწერალმა პროკოპიკ კესარიელმა აღნიშნა რომ მის დროს ბრუტიაში (კალაბრიაში) არსებობდა რუსული სანაპირო (littjre ruscia), სადაც იდგა ''რუსული ციხესიმაგრე" (castello rusciano). ამჟამად ეს ქალაქი როსანოა, რომლის მცხოვრებლები იწოდებიან როგორც '' როსანებები". ეტრუსკები ნახევრად რომ მეგრულ - ლაზურენოვანია ამაზე ცოტა მოგვიანებით მექნება ცაუბარი.

ფტოლომეი თავის ''გეოგრაფიაში" მოიხსენიებს მდინარე და ქალაქ რუსკიონს, რომელიც განლაგებული იყო ფრანგული ისტორიული პროვინციის ტერიტორიაზე.

მეცნიერთა დასკვნები დასტურდება კიდევ იმით, რომ სხვადასხვა ნივთების, ადგილების და ა.შ. დასახელებები ითარგმნებოდა იქ მცხოვრები ხალხის ენაზე, მეგრულ-ლაზურ ენაზე.

განვიხილოთ რამდენიმე სიტყვა '' ილიადა - ნ" და „ოდისეა - დან". პოემაში ქალაქს აქვს ორი დასახელება.ხან ის მოიხსენება როგორც ტროა ხან როგორც ილიონი. ილიონი ანუ ილუ-ასე უწოდებდა მას ადგილობრივი მოსახლეობა, რაც მეგრულ ენაზე იკითხება შემდეგნაირად „ ილ", „ილუ"- ტალღა - ღელვა.

ილიონი - მუდამ ცოცხალი, „ილუ"- ცნობილია როგორც შუმერების საკუთარი ღმერთის სახელწოდებით. ილუს ღმერთი, მცხოვრები ტალღებზე. ასევე ხანანელების ღმერთია - როგორც ტალღების ღმერთი

აქ უნდა ავღნიშნოდ ის რომ ილუ მეგრულ - ლაზურენოვანი ხალხის ღმერთია. დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ აფხაზეთში მოქმედი ეკლესია ილორი. ილორი - სახელი წარმართული ღმერთის ილუს სახელით დაერქვა. ილუ-რ; „რ"- მეგრულად ნიშნავს-ისეთს; ილური არის ილუს მაგვარი. სოპელ გუდავას მცხოვრებნი ამბობენ, რომ სულ ძველად ზღვის პირზე იდგა ეკლესია, რომელსაც ილუ ერკვა და ილორის ეკლესიას ილური დაარკვეს, ილუს მაგვარი.

ჩემი შეხედულებით ქ. ტროამ თავისი სახელწოდება მიიღო პირველი ინდოევროპული ტომების ახლადმოსულების შემოსვლის შემდეგ, ვის შორისაც იყვნენ უეჭველად სლავები. განვიხილოთ ეს ჰიპოთეზა.

აი როგორ აღწერს კარლ ბლოეგენი ტროას სახელს: „მთავარი სასახლის მოცულობა იყო უდიდესი: გახდა სახელმწიფო სხდომების დარბაზებისა, საგულდაგულოდ შერჩეული ნათელი ქვებისგან, და მეფის (მეგარას) პირადი მოსასვენებლის გარდა, სასახლეში იყო 50 ოთახი,სადაც ცხოვრობდნენ მეფის ვაჟები თავიაანთ ჯვარდაწერილ ცოლებთან ერთად. ეზოს იქით მდებარეობდა მეფის ქალიშვილების და მათი მეუღლეების მოსასვენებელი- ეს კიდე 12 ოთახი". უნდა ავღნიშნოდ, რომ სასახლეების მშენებლობა მენგირებისგან ( ქვის სვეტები) მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხის ძირეული მოსახლეობის ტენდენციაა. მენგირები - სიტყვიდან მანგარები-ძლიერი, მარადიული.

პრიამას სასახლის წინ მდებარეობდა გახსნილი აგორა. აგორა მეგრულად - გამოწეული ბორცვის ტიპის ფართობი. გორა - ბორცვი, მთა. როგორც ვხედავთ აქ მეგრულ - ლაზური და რუსული სიტყვა გორა იდენტურია.

როგორც ცნობილია ჰომეროსის პოემებიდან მეფე პრიამს ბევრი ცოლი ჰყავდა, მაგრამ მკვიდრ მოსახლეობას შორის მრავალცოლიანობა მთელი მისი ისტორიის არსებობისას არ შეიმჩნეოდა. ეს გარკვეული თვალსაზრისით მიუთითებს მეფე პრიამის ძველსლავური წარმოშობის შესახებ.

ის რომ ტროაში არ იყო ნაპოვნი არც ერთი დამწერლობის დოკუმენტი არ მეტყველებს იმაზე, რომ ტროელებს არ ჰქონიათ დამწერლობა: შესაძლებელია ჩანაწერები კეთდებოდა ხის ფირფიტებზე ან სხვა არახანგრძლივი გამძლეობის მასალაზე, რომელიც უკვალოდ გაქრა, ასევე როგორც კილხების და სხვა მონათესავე ტომებისა.

გარდაცვლილების ცეცხლზე დაწვა ტროელებში დაიწყო

მე-14 ს. ჩვ.წ.ა. მანამდე ასეთი წეს-ჩვეულება არ არსებობდა მოსახლეობას შორის, რაც კვლავ ადასტურებს უცხოელების სლავური ან სხვა ეთნოსის წარმომავლობის შესახებ.

ის რომ უცხოელების მოსვლადე მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა მდიდრულად, მოგვითხრობენ გ. შლიმანის პირველი მონაპოვრები ტროაში. შლიმანის მიერ აღმოჩენილ საგანძურებში ინახებოდა მრავალი სხვადასხვა ნივთები. ათეულობით საგანძურში იყო მხოლოდ ძვირფასეულება და საიუველირო მორთულობები. დანარჩენში ძირითდად-იარაღი და ნივთები , რომელიც მამაკაცს ეკუთვნოდა. ყველა ნივთი ძირითადად ოქროსი იყო მხოლოდ პატარა მძივები სხვადასხვა ზომის და ფორმის 8400 ცალი.

საყოფაცხოვრებო ნივთების უმრავლესობა მათ რიცხვში ოქროს სამკაულები და ოქროს ქინძისთავები იდენტურია მცირე აზიული და კოლხეთის ნაკეთობებს შორის. ცნობილია რომ ტროა 8ჯერ განადგურდა, 2-ჯერ ხანძრის გამო,2ჯერ მიწისძვრის გამო, 4ჯერ ბარბაროსების შემოსევების გამო. და ყოველ ჟამს ახლებურად შენდებოდა ამ ნანგრევებზე ახალი ქალაქი.

უმშვენიერესი ელენას ოთახს ჰომეროსი უწოდებს „ ტალამოსს", რაც მე ვფიქრობ სხვა არაფერი იყო თუ არა ოთახი გარდერობი. ტალამოსი-ტანისამოსი მეგრულად ტანსაცმელი. ტანისამოსი სადაც „ტან"- ტანია; „სამოსი"- ჩაცმულობა. ტალამოსი - ტანსაცმლის ოთახი.

მთა - იდ, რომელიც მდებარეობდა ტროადან სულ ახლოს ზოგჯერ ავარდნილი მტვერის დროს მოჩანდა დაშორებულად - ამიტომ დაერქვა მოხეტიალე მთა. იდ-წადი მეგრულად. იდ - იდი - რუსულად. როგორც ხედავთ ეს სიტყვები მსგავსნი არიან და მიუთითებენ შორეულ რუსულ და მეგრულ ლაზურენოანი ხალხების კონტაქტებზე, შესაძლებელია - ეს დაუპატიჟებელი სტუმრები იყვნენ სლოვენები.

დღევანდელი დღისთვის არსებული არქეოლოგიური და სხვა ისტორიული მასალებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას რომ ილუს (ტროა) მოსახლეობა 2 ათასწლეულის დასაწყიშში (ჩვ.წ.ა.) ძირითად იყვნენ მეგრულ-ლაზურენოვანი ტომები.

## ბაბილუ (შუმერები)

ხ.საგსი: "ჩვენი საკუთარი ისტორიის ცივილიზაცია იწყება დაახლოებით 5000 წლის წინ სამხრეთ ერაყის ცხელი ჭაობების

ტერიტორიებიდან. უცხოელი ხალხი, შუმერები, ვისი ზუსტი წარმომავლობა დღემდე უცნობია, მოვიდნენ საიდანღაც რათა დამკვიდრებულიყვნენ სპარსეთის ყურის რეგიონებში. სამხრეთ ერაყი არ იყო დაუსახლებელი როდესაც ისინი აქ მოვიდნენ. იქ უკვე არსებობდა განვითარებული დასახლებები, რომლებიც შემდგომში გახდნენ ზოგიერთი შუმერული ქალაქების ფუძედ. არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ უცხოელებმა ბევრი რამ გადაიღეს ამ ხალხისგან, მშენებლობის ,სასოფლო სამეურნეო ირიგაციული ტექნიკის მხრივ. მათი წინაპრებიდან, რომლებიც ჩამოსახლდნენ შეიძლება ყოფილიყო სემიტური, თუ ნამდვილად ეს ასეა, მაშინ ეს სემიტური ჯგუფი წარმოადგენდა გადმოსახლების პირველ ტალღას, რომელიც კი ხდებოდა ისტორიაში". (აქედან გამომდინარე უეჭველია რომ მეოთხე ათასწლეულის დასაწყისში ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდენ - ხათები და ხურები)

უნდა ავღნიშნოთ რომ შუმერები წერდნენ ქვებძე, თიხაზე და რასაც წერდნენ ის კარგად შემოინახა. არ შეიძლება გამოვთიშოთ შუმერების დრომდე არსებული ცივილიოზაცია. შუმერებმა ყველა ცოდნა მიიღეს მკვიდრი მოსახლეობისაგან და შემდგომ განავითარეს ის. ისინი ვინც შუმერებამდე ცხოვრობდნენ ამ მიწაზე ცოტა რამ ვიცით, რადგან ისისნი არამტკიცე მასალაზე წერდნენ, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ისტორიაში ბევრია ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ იპყრობდნენ ბარბაროსები უცხო მიწებს და მათ წარმეტებებს თვითონ მიიწერდნენ. ცვლიდნენ ყველა სახელწოდებას რაც მანამდე იყო. შეცვლილი სახით ჩვენამდე მოვიდა ისეთი ხალხის ცივილიზაცია როგორიცაა: ხათების (ხეთები), ხანანები(ამორები), ხურების (ხურიტები), პელაზგების ( ახეები- ბერძნები), ეტრუსკების ( კელტები).

ხ. საგგსი: "... ბაბილონის მოსახლეობა იყო ძალიან შერეული, როგორც ნაციონალურად ისე სოციალური წყობის მიხედვით. მათ შორის იყვნენ ხურიტები, კასიტები, ხეთები ელამიტები, იშვიათად ეგვიპტელები (ხამიტები), არამეები, ასურიელები, ხალდეები და თვით ნაბუქოდონოსორის (605- 562 წ. ჩ. ა.) მმართველობის დროს ებრაელები."

აქედან გამომდინარე თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ უცხოელიბის მოსვლამდე ჩრდილოეთ და სამხრეთ ბაბილონის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ხეთები, ხურები, ხანანები და სხვა მეგრულ-ლაზურ ენოვანი ტომები, როლებსაც ჰქონდათ კარგად განვითარებული მიწათმოქმედება და ღვთის მსახურება.

აბორიგენებად ითვლებიან ის ხალხი ვინც მისცა ამ ადგილებს პირველადი დასახელება და არა ისინი, ვინც შეუცვალეს ეს დასახელება. დღეს უკვე ვიცით რომ პირველადი დასახელება ყველა ამ ადგილების არის მეგრულ - ლაზურენოვანი და ითარგმნება მეგრულად -ლაზურად. უფრო მეტად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ( კავკასიიდან ეგვიპტის ჩათვლითღ) მე-4 ათასწლეულამდე ცხოვრობდა ერთი ხალხი, რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებულ ენობრივ ჯგუფს. ამას ადასტურებს ბევრი მეცნიერები და არხეოლოგიური გათხრები.

იუ. შილოვი: " ... ამ მიწებზე დაიწყო პროინდოევროპელების გადმოსახლება. მცირე აზიის ადგილების მცხოვრებლები, რომლებიც ლაპარაკობდნენ შუმერულ ენაზე და რომლებიც არ იყვნენ ინდოევროპელები. შეიძლება ეს პრაინდოევროპელები იმდენად "პრა" იყვნენ, რომ მათი თეთრ კანიან რასასთან მიკუთვნება არ არის აუცილებელი.? ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი: ატლანტები? პროქართველები? არამგონია ეხლა ვუპასუხოთ ამ კითხვას.

ა. ასოვი: " თანამედროვე უკრაინელი არქეოლოგების მოძიება (იუ. შილოვი, ვ. დალილენკო) და სხვა. გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ ამ არათების და დუნაისპირეთთან არსებული ტრიპოლური კულტურის იგივეობაზე. ამასთან ერთად შუა საუკუნეებამდე ამ მიწამ შემოინახა სახელწოდება ართანია და ანთია ( არქანია, ანთია, ძალიან გავრცელებული გვარებია სამეგრელოში)".

იუ. შილოვი: შუმერების ეპოსი , რომელიც მოგვითხრობს არათას წინასამშობლოზე... "ის გავს საღამოს ცისკარს, მიმავალი თავის კარისკენ, და დევნის სიბნელეს თავისი ნათელი სახის წინ, ის მსგავსია მთვარისა, ამომავალი ციური სხეულებივით, რომლის სახე აფრქვევს სიკაშკაშეს.

ენმერიკარი და არათის უმაღლესი ქურუმი".

სიტყვა არათა იშიფრება მეგრულად ისე, როგორც გადმოგვცა ენმერიკარმა: არათა: ა-აქ, ადგილი; რა-მზე; თა-თუთა- მთვარე. არათა - მეგრულად მთვარის და მზის ადგილი.

შუმერული სიტყვა ენმერიკარი ძაან გავს: ეგვიპტურ მერიკარეს და ხანანურ ვაკარეს ერთი დფა იგივე მნიშვმნელობით - ტაძრის მართველი. სადაც: ენმერი - მერია ან მართველი ჩემი აზრით ; კარე - სახლია მეგრულად

საამის (ფინურ - უგორების ტომები) "ნინჩურთი"ურალიდან ითარგმნება როგორც, დედა ღმერთი; ნინ-ნანა-დედა; ჩურ-

ქალის სასქესო ორგანო მეგრულად. ჩვენ ვხედავთ შუმერული ქალღმერთის ნინხუს - (დედა ღმერთი - ფარველი შობიარობისა) და საამის ნინჩურთის და ასევე ეგვიპტის კალღმერთის - მუტ - ის(ქალის სასქესო ორგანო) იდენტურობას, რაც უსიტყვოდ ადასტურებს მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხის ყოფნას ამ შორეული ადგილების ძირძველ მოსახლეობას შორის.

ცნობილია, რომ მეგრულ-ლაზურ ენოვანი ხალხის გადაადგილებას ჩრდილოეთისკენ მოქონდა თავისი ღმერ-თები,თავისი ცოდნა ღმერთმსახურებისა, თავისი ცოდნა მიწათ-მოქმედებაში, ისეთ დასახლებებში როგორიცაა: ტრიპოლსკაია სუროჟსკაია, ტარგიტაი და ურალის რეგიონი.

ზემოთ ხსენებულში ნაჩვენებია რომ აზოვის ზღვიდან ყირიმამდე ცხოვრობდნენ მეგრულ-ლაზურენოვანი ტომე-ბი (იბერიელები და ილმერები) შესაძლებელია უკვე შერეუ-ლი ფინო- უგორებთან, სლოვენებთან, შესაძლებელია თურ-ქულენოვანებთან (რის შედეგად შეიძლება შუმერების ენამ განიცადა გარკვეული დეფორმაცია, რომლებიც წარღვნის შემდეგ გაიჭრნენ სამხრეთისკენ ბაბილონში სადაც ხეთების და ხურების კულტურულ ბაზაზე დაყრდნობით ერთად მიაღ-წიეს იმ დროისთვის ცივილიზაციის პიკს. შესაძლებელია შუმერები ამბობს ი. შილოვი არიან მოსულები ურალიდან ან სხვა ადგილიდან". მაგრამ ერთი გარკვეულია, რომ შუმერები მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხის მემკვიდრეები არიან ამაზე მეტყველებს შუმერული ღმერთების არსებობა ჩრდილოეთის უამრავ ხალხში, რომელიც ითარგმნება მეგრულ ენაზე. ცნობილია რომ მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხი ისწრაფოდა ღმერთების რიცხვის შემცირებისთვის. ისინი ისწრაფვოდნენ ერთღმერთიანობისკენ.

აი რას ამბობს ამის თაობაზე ხ. საგსი: უმაღლეს და მეორე ხარისხოვან ღმერთებს შორის არსებობდა შემცირების ტენდენცია, ერთი ღმერთის მეორესთან გაიგივების გზით. ქალღმერთი ბაბის ჰიმნში პირდაპირ ნათქვამია, რომ რიგი სხვა ქალღმერთები ქალღმერთი ბაბის არსის გამოვლინებაა.

ურაში ( ის ნინგალი ერთ ერთი უმაღლესი ღმერთის დაა.)

უძველეს ქალაქ სიპარში ის აიაა;

ბაბილონში... ის ერუაა.

შუმერებში არსებობდა მითი იმის შესახებ თუ როგორ შექმნა წყლის ღმერთმა ენკიმ ( აგრეთვე სიბრძნის ღმერთი) მსოფლიო წესრიგი. ამ ღმერთმა შექმნა ცხოვრების საძოვრები მსხვილი

რქოსანი ცხოველის გამოყვანა და მისცა მსოფლიოს ისეთი ძირითადი როგორიცაა თევზაობა, მიწის დამუშავება მოხვნა მარცვლეულის გამოყენება, აგურების დამზადება, ლითონის გადამუშავება, ასევე ისეთი ქალის ხელოვნებები როგორიცაა რთვა და ქარგვა"

ჩვენთვის ცნობილია, რომ ღმერთის დასახელება ენკი, ელ, ერუა ეს ინტერპრეტირებული დასახელებაა ღმერთი აიასი. შერეული ხალხი სხვადასხვა ნაირად უწოდებდნენ ერთიდაიგივე ღმერთ აიას. ღმერთი ენკის სახელწოდება შეგვიძლია წავიკითხით ასე : "ენ"- ენ, ენა , თენა- ეს, ყველაფერი. " ქი" -დაფქვა, შექმნა. ენკი (აია) -ყველაფრის შემქმნელი.

შუმერულ ბაბილონის ლეგენდის ვარიანტშიც ლაპარაკია კოლხიდაზე, რადგანაც მთა ნიცირი რომელსაც მიადგება კიდობანი მდებარეობს საქართველიში. ის რაც შუმერებმა პირველებმა დაწერეს მსოფლიო წარღვნაზე, ლაპარაკობს იმაზე, რომ შეიძლება მათ თავად გადაიტანეს ეს და მათი საცხოვრებელი ადგილები წყლით დაიფარა. წააგავს იმას რომ ადრე ისინი ცხოვრობდნენ სადღაც აზოვის ზღვის რაიონში და ყველა ღვთაება ამ ტექსტებში იშიფრება მეგრულ ენაზე. ბიბლიაში დაწერილია:" წარღვნის დამთავრების შემდეგ ისინი მოდიან კავკასიიდან, არარატიდან და იპოვეს მათ სენარის მიწის (შუნარი) დაბლობი და დასახლდნენ იქ."

ქვემოთ მოყვანილია შუმერული ლურსმული დამწერლობის ფრაგმენტები ( 4 ათასწლეული ჩვ.წ. წ. ) თქმულება ატრახასისზე - გმირზე რომელმაც გადაარჩინა ხალხი და ცხოველები წარღვნისგან მსგავსად ბიბლიური ნოესი რომელიც შედარებით გვიან მოხდა. კეთილი ღმერთი ეია (აია) აფრთხილებს ხალხს, რომ ღმერთებმა გადაწყვიტეს მსოფლიო წარღვნის მოწყობა.

ასტრახასისი... ასე ეუბნება მეუფეს ეია (აია):

არასდროს მიშენებია გემი...

....დაიჭექა ადადმა (ჭექა-ქუხილის ღმერთი) შავ ღრუბლებში.

გაიგონა რა ღრიალი, აიღო დღვილი და ამოლესა ნახვრეტები.

აბობოქრდა ქარი, გაწყდა თოკი, მოწყდა გემი. მაღლა იწევს ქარი, მოაქ ქარბუქი, ყველაფერი აირია, ღმერთების ორთვალებს ქარი ატრიალებს.

წარღვნის ხმაურმა ღმერთებიც კი შეაშინა. შვიდი დღე ღამის განმავლობაში ბობოქრობდა წარღვნა, ქარიშხალი

და კოკისპირული წვიმა. მეოთხე დღეს მოიტანა შესაწირი. (გუნდრუკის კმევა) მოამზადა საჭმელი და დაუდგა ღმერთებს. იგრძნეს ღმერთებმა კეთილსურნელება და შეიკრიბა ყველა.

ადგა ნინხუ ( ღმერთი-დედა, მფარველი მშობიარებისა)

ყველას წინაშე ადგა; '' ჭეშმარიტად შავი დღეები აღარ დაბრუნდება....

ღმერთების დასახელებები: ადადი და ნინხუ ითარგმნება მეგრულ ენაზე. „ნინხუ"- „ნინ"-ნანა -დედა. „ხუ" - გაჩენა, მშობიარე. „ნინხუ"- ღმერთი მშობიარე დედა. „ადადი" , „ა"-„დად", -„ დად" ღირსეული, დიდად პატივსაცემი ადამიანი.

ზემოთ მოყვანილ ტექსტებში ღმერთების არსებობა, გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ეს ღმერთები არსებობდნენ ამ ტექსტების დაწერამდე. შესაბამისად მიწათმოქმედების ღმერთები: აია, ვალხე, გერკოჩი (ჰერაკლე), არამხუტი ანუ (პრომეთე) 6-10 ათასი წლისანი არიან ამიტომაც ღმერთი აია არსებობს ყველა ძველ ხალხში და თვლიან მას ღმერთების ღმერთად, ადამიანის შემქნელ ღმერთად.

მისანიშნებელია უფრო ადრეული პერიოდი ბაბილონის თქმულება წარღვნის შესახებ, სადაც ბევრი მეცნიერი ითვალისწინებდა იმას რომ ბიბლიის შემქმნელებმა ეს სიუჟეტი, ისევე როგორც სხვა გადმოიღეს ბაბილონებისგან.

„...ეა (აია) აფრთხილებს უტნაპიშტის მოსალოდნელ უბედურებაზე...

შურუპაკე ეუბნება უბარ-ტუტუს დაანგრიე საცხოვრებელი და ააშენე გემი...

სიმდიდრე შეიძულე, შენი სული გადაარჩინე!

შენი გემი დატვირთე ყოველი ცოცხალით...

... მე-7 დღის დადგომასთან ქარიშხალმა და წარღვნამ ომი შეწყვიტეს...

.... გამოვაღე სულის მოსათქმელი სარკმელი - შუქი დამეცა სახეზე,

გავხედე ზღვას-ყველგან სიწყნარე იყო

და მთელი კაცობრიობა გახდა უვარგისი!...

დავიწყე ნაპირის ძებნა ღია ზღვაში და გამოჩნდა კუნძული

ნიცირის მთასთან გემი გაჩერდა"...

ტექსტში მითითებული შურუპაკე - ერთადერთი ადამიანია ვინც ღმერთებისგან მიიღო უკვდავება. „ შურუპაკე" სადაც „შურ"- სულია მეგრულად. „უპაკე"-უკვდავი. „შურუპაკე" - უკვდავი სული. როგორც ვხედავთ კეთილი ღმერთი აია ძველის ხალხს

წარღვნისაგან. მთავარია ხაზი გაუსვათ იმას რომ გემი მიცურდა ნიცირის მთასთან განსხვავებით ბიბლიური არარატისგან. ნიცირი ძალიან გვაგონებს დასახლებული პუნქტის ნოსირის სახელს და ნოსირის მთებს დასავლეთ საქართველოში. ღმერთი აია ( ეია, ელ) ფიგურირებს ძველ ხეთებთან, შუმერებთან, ხამიტებთან, ხანანაებთან, ფინიკიელებთან, ასურიელებთან, ბაბილონელებთან და ეგვიპტელებთან. ტუტუ გავრცელებული სახელია სამეგრელოში. ასევე სახელი ტუტუ გავრცელებული იყო ძველ ეგვპტეში (ხამიტიაში)

ბაბილონის ჰიმნში - შამაშში ზედმიწევნით ლაპარაკია მზის ღმერთის კეთილგანწყობაზე. მორწმუნე ეუბნება ღმერთს: „ შენ ზრუნავ მთელი ქვეყნის ხალხზე, რაც შექმნა მეფე ეამ (აიამ) მთლიანად მინდობილია შენზე. შენს წინაშე ყველა სწორია ვინც სუნთქავს, შენ მათი მფარველი ხარ ცაშიც და მიწაზეც. იმავე ჰიმნში მორწმუნე ლაპარაკობს ზნე-ჩვეულებების საფუძვლებზე მზის ღმერთის და განამტკიცებს : უბედურ მოსამართლეს აძლევ ჩაწვდეს იმას თუ რა არის ციხე.

ურაში (ნინგალი) იყო ერთ-ერთი უდიდესი ღმერთის და, ძველ ქალაქ სიპარეში ის აიაა; ბაბილონში... ის ერუა

ზემოთ ხსენებულს შეიძლება დავაკვირდეთ წიგნის მთლიან მოცულობაში. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მოწმობს აიეტის კანონის სამართლიანობას „ოკროშრინა", რომლებსაც ახალი სახელმწიფოები უთანაბრდებოდნენ. მთლიანობაში ეს ყველაფერი იყო ღმერთის ხვედრი მოწოდება? ქვემოთ მოვიყვან შუმერული ღმერთების სახელებს, რომლებიც ითარგმნება მეგრულად.

შუმერული ღმერთები:

გიბილა-ცეცხლის ღმერთი. გიბილა-ალი. გიბილანს-იწვის, გიბილა-ცეცხლის ალი

ხუმბაბა-ნაყოფიერების ღმერთი,გვალვის მამა; „ხუმ"-მშრალი; ბაბა მამა.

მარდუკი-ხელოვნების და მწერლების ღმერთი, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2000 წ. ჩვ.წ.ა. ქ.მარში იყო სკოლები, რომლებსაც უწოდებოდნენ როგორც „ცხრილების" (ტაბულის) სახლად„. მარდუკი-მარდუ-აღმზრდელი, მასწავლებელი მეგრულად.

ზუ-ზ-შექმნა,შემოკმედი.

ნინხუ-„ნინ" - ნან- დედა. „ხუ"- დაბადება. ნინხუ-მშობიარე დედის ღმერთი.

ტუტუ-ქალაქის მფარველი ღმერთი. ტუტუ - ფალოსი. ტუტუ -

კაცის სახელია სამ.
სენარი- ძალიან მოგვაგონებს დას. საქართველოს ქალაქს - სენაკს. სენარი ბაბილონის პირველი სახელწოდებაა. ბაბილონი- ბაბილუ; ბაბ-ილუ: ბაბ-ბაბუა, ილუ -ტალღა
მარტუ- მმართუ - მბრუნავი. ბორბლის ღმერთი.
უტუ-ქ·ურუს და ყველა დაუცველი ხალხის მფარველი. გავრცელებული კაცის სახელი სამეგრელოში.
იშტარი- მინათმოქმედების მფარველი ღმერთი. იშტარი-იშტერიმათი მტერი. გული-ექიმობის ღმერთი:გული გავრცელებული სახელია სამეგრელოში.
გული- გულია. გური - მეგრულად.
ილუ-შუმერების წარმატების ღმერთი ტროელებთან ილუ ქარიშხლის და ტალღების
ღმერთია... ილურ-ეკლესია აფხაზეთში. ილუ-ღელავს მეგრულად.
შუმერული ქალაქების სახელები:
ურ-შუქი, მზის სხივი; რა-მზე,
შურუპაკი.შურ-ჰაერი, სული. უპაკე -უკვდავი.
კუსურა-მარჯვე ოსტატების ღმერთი; კაცის სახელია სამეგრელოში.
ეშნუნა-მისი დედა.
გურუ-შუმერულად სკოლა: გურა-მასწავლებელი. გურაპა-სწავლება მეგრულად
დოგურონი-ლაზურად სკოლა. მისანიშნებელია ის რომ ამ ღმერთების სახელები
ფართოდ გავრცელებულია მხოლოდ სამეგრელოში, რაც მიგვანიშნებს იმას, რომ ეს ღმერთები მეგრულ - ლაზურენოვანი ხალხის ღმერთებია.

აქ მინდა მოვიყვანო ამონაწერი ძველი შუმერული ლურსმულ დამწერლობიდან იმ ველურ ბაბილონის დამპყრობლებზე, რომელიც ისტორიაში ცნობილია როგორც ამურუ. ხ.საგსი: (3-ათასწლეულის ჩვ.წ.ა. შუმერულ ტექსტიდან) „ამურუ... რომელიც ჭამს უმ ხორცს, რომელსაც მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში არა აქვს სახლი და სიკვდილის შემდეგ დაუმარხავი წევს... ბოლოს და ბოლოს ამ ველურებმა სახელმწიფო ურას ქალაქი განადგურეს. ამ ველური დამპყრობლების შემოსევის შედეგად ქალაქი ძირითადი მოსახლეობით მთლიანად განადგურებული იქნა. ამას ამტკიცებს მეგრელებში დღემდე შემონახული „ურუშ გარა", რაც ნიშნავს ურუს ტირილს. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ შუმერები სახელმწიფო ურუს

მეორენაირად უწოდებდნენ ურ-ენგურს.

ხალხი რომელიც ცხოვრობდა მეოთხე ათასწლეულებამდე ჩვ.წ.ა. , კავკასიიდან ეგვიპტის ჩათვლით , მათი ენა იყო ერთი, და წინაპრების სამშობლოდ ითვლებოდა აიას სახელმწიფო. აიადან ხალხი გადაადგილდებოდა სხვადასხვა მიმართულებით, ზოგიერთი ბრუნდებოდა უკვე ნაწილობრივ შეცვლილი ენით. ისე როგორც მაგ: შუმერები წმიდა ადგილების დასახელებას აძლევდნენ თავის წინა სამშობლოს სახელებს.

შემდეგ განვიხილავთ ხანანის ქვეყანას, სადაც კიდევ უფრო ღრმად დავრწმუნდებით რომ ეს ადგილები და აქ მცხოვრები ტომები არიან ცივილიზაციის კერა და რომლებმაც მსოფლიოს პროგრესი მისცა.

## ქეანა (ხანანაი, პალესტინა, ისრაელი)

ქეანა - ასე ერქვა პალესტინას უცხო ტომების მოსვლამდე. ქეანა მეგრულად ქვეყანაა.

ენციკლობედია " მსოფლიოს რელიგიები"-"ბერძნული წყაროებიდან პალესტინა იხსენიება როგორც ქეანანი. იგი მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას ჩრდილოეთიდან სამხრეთით ხმელთაშუაზღვის სანაპიროებამდე. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრებოდა ველები და უდაბნოები. ამჟამად ამ ტერიტორიაზე განლაგებულია ლივანი, ისრაელი და სირიის დასავლეთ მხარე.

დონალდ ხარდენი: "გათხრებმა უგარიტში, ბიბილეში და სხვა ფინიკიის ადგილებში გახადეს ნათელი ადრეული ხანანის რელიგია, ყველა ასპექტში. ამაზე მიგვითითებს ნაპოვნი იყო ტაძრები , სალოცავები, მრავალ რიცხოვანი ქანდაკებები, ცილინდრული ბეჭდები და მრავალი რელგიური ნივთები.

ყველაზე მნიშვნელვანს შევიტყობთ თიხის ფირფიტებიდან (14ს. ჩვ. წ. ა.). ნაპოვნი უგარიტში კლოდ შეფერის მიერ. "ფირფიტებზე ტექსტი ხანაანების ენაზეა, დაწერილი ლურსმული ანბანის მიხედვით . ეს უდიდესი არქივი მოიცავს უამრავ მაგიურ და რელიგიურ ტექსტებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მაგიურ, რელიგიურ და გარდაცვლილთა კულტებთან, რიგ პატრიარქალურ ისტორიებს რომელთა უმრავლესობა გავს ბიბლიურ, შუმერულ, და ბაბილონის ანალოგებს".

ჩვ. წ. ა. მე- 4 ათასწლეულში ვ. ამარანსკის წერილებში ხანაანის მცხოვრებლები თავის თავს უწოდებდნენ კინახუს (კიანას). ეს ალბათ ყველაზე ადრეული გამოვლინებაა ამ სიტყვის

წერილობით წყაროებში.

ჩრდილოეთით, ფინიკიის აღმოსავლეთ სანაპირო რაიონში, ორონტის ხეობის და იმ ტერიტორიის ნაწილზე რომელსაც ბერძნები და რომაელები ქელესირიას უწოდებდნენ ხანაანელებმა შექმნეს უზარმაზარი კულტურა და ხელოვნება.

როგორც გამოავლინა პროფესორი იადინის გათხრებმა, ხაცორი რჩებოდა ხანაანის სიმაგრედ კიდევ მრავალი ხანი, ისრაელების შემოსევების შემდეგაც.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ "ორონტას ხეობა" მეგრულად ნიშნავს "ღმერთების ხეობას'. სიტყვა "ორონტ" მოიხსენიება როგორც ურარტუს მეფის სახელი, შემდეგში მაღლა მოხსენიებულ ხანაანის ქ. ხაცორი აღარ იწვევს ეჭვს, რომ ის მეგრულ- ლაზურენობრივი წარმოშობისაა. ხაცორ; ხა- დაბადება; ცორ- ცორო-ორივემ; ხაცორ- ორისგან დაბადებული. ადგილი ქელესირია- ქელესერიაა მეგრულად ანუ - დასვენების, გასათევი ადგილი.

ქვემოთ ჩამოთვლილია რამოდენიმე ხანანის ქალაქების სახელწოდებები, რომლებიც ძალიან გავს მეგრულს; სისარა, იეხუ, ხირამა, მატარი, დარმეხე, ემმუნაზორი, არადა, მარადა,მოტია, კერკუენე. კერკუენეს ძალიან მოგვაგონებს კირკინეს შოტლანდიაში, ალმუნიკარეს შუმერებში; ემერკარი ბაბილონში; ხუკარიე ურალში; მერიკარე ეგვიპტეში, კერკემიში დასავლეთ საკართველოში, როგორც ვხედავთ ამ სიტყვების ძირი არის 'კარე", რაც მეგრულედ ნიშნავს, დროებითი სადგომს,სახლს. ალბათ იმ შორეულ დროში ტაძრებს ეწოდებოდა კარე. მხოლოდ თავის ანუ მონათესავე ხალხს შეეძლო დაემახსოვრებინათ თავიაანთი წინაპრების ქვეყნის დასახელება. ტაძარი კიტია (კიტია გავრცელებულო გვარია სამეგრელოში). ტაძარი სულხე; სულ - ხე; სულ - სული ქართულად; ხე - შობე, გააჩინე. სულხე-სულით გაჩენილი ადგილი.

ხანაანის ლიტ. ძეგლები დოკუმენტები რას შამრიდან მოიცავს უფრო ფართო ინფორმაციას ვიდრე ძველი აღთქმის ისტორიის წიგნებში. ბრინჯაოს ხანის ტეოფოლური სახელები ხანანიდან და რას-შამრის ტექსტები მოიცავს ღმერთების სახელებს, როგორც სემიტურს ისე არსემიტურს. განსაკუთრებით მრავლადაა ის რას-შამრის დოკუმენტებში. მაგრამ მაინც უნდა ითქვას რომ ყველაზე მთავარ სარწმუნოდ ითვლებოდა ნაყოფიერების ღმერთების კულტი, სადაც ცენტრალური ადგილი ეჭირა ვაალს და ანატს, ხოლოო ელ (აია) ითვლებოდა ღმერთების და ადამიანების

მბრძანებლად. როგორც ვხედავთ ღმერთი აია ყველა მეგრულ-ლაზურენოვან ხალხში ითვლებოდა ღმერთების ღმერთად.

ღმერთი ვაალი- ვალ- ელვა მეგრულად.

ღმერთი ილუ შტორმის და ტალღების ღმერთი, როგორც ტროელებთან რომელიც ცხოვრობს ორი ოკიანის შესართავის ტალღებზე. ილ-ტალღები შტორმი. ტალღებზე მცხოვრები.

ხედადი - ქარიშხლის ღმერთი. ხედადი; "ხე"-დაბადება. "დად" -ღმერთი, საპატივცემულო ადამიანი.

ღმრეთი მუტუ - სიკვდილის და გვალვის ღმერთი. მუტუ კაცის სახელია სამეგრელოში.

ღმერთი ანატი. ანატი- მეგრულად მანათობელი.

ღმერთი კუსარი-ცნობილია როგორც ბრძენი, გამოსადექი, ყველა საქმის ოსტატი: მშენებელი, მჭედელი მსხმელი, მენალე. ის ფლობს სამჭედლოს სადაც იყენებს მიწისქვეშა ცეცხლს და ქმნის იარაღს და შრომის იარაღს. განვიხილოთ სიტყვა "კუ-სარ", "კუ"-ჭედვა, შექმნა. „სარ" -სარ, სარგებელ- სარგებელი გამოიყენება მეგრულ ენაზე. როგორც ვხედავთ სიტყვა „კუსარის" თარგმანი ესადაგება როგორც აზრობრივად ისე შინაარსობრივადც.

ხანანები-პალესტინის ძირძველი მცხოვრებლები თავიაანთ ღმერთ ვაალს გამოსახავდნენ ახალგაზრდა მეომრის სახით. მოკლე ტუნიკით, შეიარაღებული ელვით და ნაჯახით. ის გამოდის როგორც მეომარი, რომელიც წინ აღუდგა ქაოსის და უწესრიგობის ძალებს, რათა შეინარჩუნოს სტაბილურობა ქვეყანაში, ის მარად ახალგაზრდა და ენერგიულია. მომყავს ნაწყვეტი ხანანის ტექსტიდან: (3700 წ)

„...აწია რა ხმალი, ის უპირისპირდება როგორც არწივი, კვეთს თავს ზღვის მეფეს, კვეთს მდინარის დედის მკერდს. ზღვა ძლიერია და არ ემორჩილება მისი ძალა რა კვდება და მოხერხებულობაც არ აკლდება.

სხვა ტექსტში ღმერთი ვაალი წარმოადგენს მიწათ-მოქმედების და მორწყვის ღმერთს. მომყავს ტექსტი დაწერილი ხანანური ანბანით მე-10 ს.ჩვ.წ.ა. ჯონი გრეის წიგნიდან „ხანანები".

„ვაალი გამოაგზავნის უხვ წვიმას, თოვლთან ერთად მოვა სინოტივე, და გაისმება მისი ხმა ღრუბლებიდან, და თავს დაატყდება ელვად".

ვაალი - მეგრულად არი ელვა. ეტრუსკების ღმერთი ვალხე - მეგრულად არი ელვა -იშვი, დააბადე.

ხანაანების დაკრძალვის წესჩვეულებება ძალიან გავს ეტრუსკების (ხეთების, ხურიტების , მანების, კასკების, ლაზების) დაკრძალვის წესჩვეულებას. რამდენიმე ელემენტი დღესაც შემორჩა საქართველოში. მომყავს ამონაწერი ჯონ გრეის წიგნიდან: დაკრძალვის ცერემონიალი მოიცავდა მოქმედებების სხვადასხვანაირ კომპლექსს. ამიტომ საფლავში დებდნენ იმ ნივთებს, რომლებიც აუცილებელი იყო მიცვალებულისათვის იმ ქვეყნიურ ცხოვრებაში: ჭურჭელს, მშვილდისარს, ტანსაცმლისა და პროდუქტების მარაგს. სანამ მიცვალებულს დასაფლავებდნენ მას განბანდნენ აცმევდნენ ახალ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს.

იმისთვის რომ გარდაცვალებულს ზიანი არ მიეყენებინა ახლობლებისათვის ცდილობდნენ კარგად განეწყოთ თავიანთკენ, მეორე მხრივ ცოცხლებიც უნდა განწმენდილიყვნენ მკვდართან კონტაქტის შემდეგ. შვილის სიკვდილის შემდეგ დავითი ადგა, განიბანა, წაიცხო წმიდა საცხები, გამოიცვალა ტანსაცმელი და ისე შევიდა ღვთის სახლში სალოცავად.

კერეტეს ლეგენდაშიც გადმოიცემა შემდეგი : მბრძანებელი, რომელსაც ყველა ოჯახის წევრი დაეღუპა, იწყებს განწმენდის რიტუალის იზოლაციას და ამთავრებს სამღვრთო ზეშთგონებით. ის გამოდის ატარებს განბანვას, და ლოცვის შემდეგ უბრუნდება თავის ჩვეულ საქმეებს.

დონალდ ხარდენი : „არქეოლოგებს ჯერ არ შეუძლიათ და ვერასდროს დამაჯერებლად გააიგივონ კერამიკა, იარაღი ან ბეჭედი რომელიმე ეთნოსთან, იმდენედ რამდენადაც პალესტინა ძირითადად ხანანური იყო ებრაელების გამოჩენამდე და ებრაელების თანდათან შემოსვლის პროცესი დამთავრდა მხოლოდ სოლომონის დროს.

ნაყოფიერების და დედობის ქალღმერთი ასარტა გა-მუდმებით ინოდება როგორც ტინიტი და დღემდე არ წყდება დავა ამ სახელის წარმოქმნის ირგვლივ.

უკვე ნახსენებია, რომ ქალღმერთი- ტინიტი-ტინია:მეგრულად ნიშნავს სწორს, მართალს. და ეს სახელი ფართოდა გავრცელებული სამეგრელოში. ეტრუსკებში ღმერთი თინია ითვლება მთავარ ღმერთად.

ძველ აღთქმაში მხოლოდ ერთხელ არიან მოხსენიებულნი. ყოფიერების წიგნში ნათქვამია რომ წინასწარმეტყველი აბ-რაამი რომელიც ჩასახლდა პალესტინის სამხრეთით: „უთხრა მათ მე ვარ მოსული და ჩასახლებული“. ხეთებმა ის პატივისცემით მიიღეს, ხოლო ცოლის გარდაცალების შემდეგ

„... დარჩა აბრაამს ხეთების შვილებისგან ველი და გამიქვაბული, რომელიც მასზეა...“ეს ველი მდებარეობდა ხევრონის (ხანანის) მახლობლად (პალესტინის ერთ-ერთ უძველეს ქალაქთან). ტყუილად არ გვამცნობენ ბიბლიური ლექსიკონები გამოშვებული წინა საუკუნეში რომ ხეთები- ხანანის ხალხია.

როდესაც რამდენიმე საუკუნის უკან ისრაელის შვილები გაემართნენ პალესტინისკენ მოსეს კვალდაკვალ. ხეთები ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ იქ: „ამიალიკი ცხოვრობს ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, ხეტები, იევუსეები და ამორეები ცხოვრობენ მთაზე“.

„ხეთები ხანანის ხალხია“-ამით ყველაფერი ნათქვამია-ხეთები ხანანები ერთი ხალხია. ყველაზე გამოჩენილ ხეთი ბიბლიური ხეთებიდან იყო „ურია ხეთეანი“ ის იყო ხათების ლიდერი. როცა ურია მოკლეს მისი ცოლი, ვირსავია, მოიყვანა მეფე დავითმა ცოლად. მაშინ ურიას ხალხმა დატოვა ქეანა და დაბრუნდნენ კოლხიდაში. მეგრელები ამ მოსულებს ეძახდნენ ურიას ხალხს. ალბათ ამის შემდეგაა რომ მეგრელები ებრაელებს უწოდებენ „ურიას“.

ინგლისელი მეცნიერი ო. რ. გარნი თავის წიგნში „ხეტები“ წერს ცნობილი მეფე სოლომონი ნახევრად ხეთი იყო დავითის შვილი ურიის ცოლისგან რომელსაც დავითმა უღალატა, რათა დაეუფლებოდა მის ცოლს. ურიის ცოლიც ალბათ :მიეკუთვნებოდა ხეთების ტომს. აქვე ავღნიშნოთ, რომ მეფე სოლომონის ხარამხანაში იყო „ბევრი ცოლი ხეთებიდან“.

უნდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ხანანში ცხოვრობდნენ არა ხეთები, არამედ ხათები, ხურები მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხი. ძველი აღთქმის ხათები უნდა განვიხილოთ არა როგორც გეოგრაფიული ცნება არამედ, როგორც ეთნონომი არასემიტური და არაინდოევროპული წარმომავლობის: არამედ ხალხი, რომელიც განეკუთვნება გარკვეული ენების ჯგუფს-მცხოვრებნი ხანანში. ხეთები, რომლებმაც ხათების მიწაზე შექმნეს იმპერია იყვნენ უსახელო ბარბაროსები, ხათების სახელი გადააკეთეს ხეთებად და მიითვისეს და არა მართო სახელი.

ხანანელი ხალხის სახელწოდება: „ხა-დაბადება“ „ნანა“-ნანა-დედა მეგრულად; ხანანა-დედა სამშობლო.

დონალდ ხარდენი: „ამარანის წერილებში ხანანის მცხოვრებლები იწოდებიან როგორც კინანუ (kinanu)“. ამ ვერსიის მიხედვით ვიგულისხმოთ ხანანან როგორც კიანანანა მაშინ მივიღებთ: კიანა-ქვეყანა, სამშობლო; ნანა-დედა. კიანანანა-დედა

სამშობლო.

მოვიყვან პატარა ამონაწერს ბიბლიიდან; „ბოლოს მოაღწიეს ისრაელმა ხალხმა ხანანის მიწაზე ისინი განლაგდნენ უდაბნო ფარანის ტერიტორიაზე. იქიდან მოსემ ბანაკიდან გააგზავნა იმ მიწაზე 12 მზვერავი და უთხრა მათ; „ წადით იმ სამხრეთ ქვეყანაში... დაათვალიერეთ მიწა თუ როგორია ის, და ხალხი იქ მცხოვრები, ძლიერნი არიან თუ სუსტები, და როგორია მიწა რომელზეც ისინი ცხოვრობენ როგორია ქალაქები... იყავით მამაცები და აიღეთ მიწისგან ნაყოფი.

12 მზვერავი გაემართა დანიშნული ადგილისკენ. 40 დღე ათვალიერებდნენ ხანანის მიწებს. მათ ნახეს იქ არაჩვეულებრივი ბაღები, მინდვრები და ველები, ნახეს ქალაქის უძლიერესი სიმაგრეები. დაბრუნებულებმა უკან მოიტანეს ბროწეული ლეღვი და სხვა ხილი, აგრეთვე ყურძნის აკიდო, რომელიც ისეთი მძიმე იყო რომ ორ ადამიანს მიჰქონდა ჯოხზე გადაკიდებული. მზვერავებმა მოყვნენ იმ საოცარ ქვეყანაზე: „მოედინება რძე და თაფლი" და აუწყეს რომ ხალხი იქ ძალიან ძლიერია და ცხოვრობენ გამაგრებულ ქალაქებში".

ხანაანი როგორც ყველა მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხი იყვნენ შრომის მოყვარულნი, განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში, რაც აშკარად ჩანს ზემოთ ხსანებულ ამონაწერში.

ხანანის რელიგიამ რათქმა უნდა იქონია გავლენა მეზობელ ქვეყნებზე. აი როგორ ამბობენ ამის შესახებ მსოფლიო რელიგიის ენციკლობედიებში: „ხანანების რელიგიამ დიდი გავლენა პოვა როგორც ახლო ისე შორეულ მეზობლებზე. ბევრი გადმოიღეს ძველმა ებრაელებმა , ხანანის დამპყრობლებმა. უგარიტული ტექსტების აღმოჩენამ მოგვცა იუდაიზმის უფრო მეტი გაგება ვიდრე სხვა აღმოსავლური ძეგლები ერთად აღებული. ბიბლიის ავტორები აშკარად იცნობდნენ უგარიტულ ტექსტებს, გაცილებით უძველესს ვიდრე ბიბლიური წიგნები".

ჯონ გრეი; „ხანანში ჩასახლებულმა ებრაელებმა მიწათმოქმედების კალენდარი და მასთან დაკავშირებული მითები აითვისეს და დროთა განმავლობაში მიაკერძოვეს თავიაანთი წინაპრების რწმენას. თავიაანთ წინასწარმეტყველებს და მღვდლებს.

ზუსტად ხანანების რწმენა ხაოსზე და სიკვდილზე გამარჯვებული ღმერთის აღდგომა იუდაიზმში დაიწყო ერთიანი ღმერთის იდეის განვითარება. ყველაზე უდიდეს დამსახურებად ხანანის ხალხისა ითვლება ალფავიტური დამწერლობა.

ჯონ გრეი: "ხანანის ხაზოვანი ანბანი გახდა იტალიური დამწერლობის საფუძველი. ასე რომ ხანანელებმა მსოფლიოს მისცეს ის გასაღები , რომელსაც შეეძლო გაეთავისუფლებინა ადამიანობა დისტანციური ურთიერთობის, ინფორმაციის გაცვლის სიძნელეებისაგან". ჩემი აზრით ბიბლიური ხათები და ხანანები-ეს უეჭველად მეგრულ-ლაზურენოვანი ტომებია, რაც დასტურდება ზემოთ ჩამოთვლილით: ღმეთების დასახელებები, დაკრძალვის რიტუალების იდენტურობა თვით ხალის სახელწოდება, მთავარი სავაჭრო და კულტურული ცენტრების დასახელებები როგორიცაა ხაზორი, ხულეხ, ხაცორ, ლახიშ და შეხეემი( ხა, ხუ, ხი, ხე-დაბადება) და ბოლოს თვით უძველესი სახელწოდება ამ ქვეყნისა- ქეანა: მსოფლიო რელიგიის ენციკლობედია. ქანან, ქანა-მეგრულად ქვეყანაა.

## ხამეტია (ეგვიპტე)

არ არის გასაკვირი რომ პირველ ეგვიპტოლოგები თვით ეგვიპტელები იყვნენ. წარსულისადმი პატივისცემა მათ უმაღლეს დონეზე ჰქონდათ. აგრეთვე ღრმა პატივისცება წმინდანების მიმართ; სირილ ალდრედი: „როდესაც დედოფალმა ხაიშეპსუგმა აღმართა თვისი უზარმაზარი სამარხი ტაძარი დეირ-ელ-ბახრიში, ფიცი დადო უფრო ძველი დედოფალი ნეფერის სამარხთან: „წარმოთქვა რა გარდაცვლილთა სახელები; შენ აძლევ მათ ახალ ცხოვრებას, გვამცნობენ სამარხის წარწერები; "ამასთან ერთად შენ შეისუნთქავ იმის ცხოვრებას ვინც გაქრა".

მრავალი ქალაქების და ფარაონების სახელწოდებები ჩვენამდე მოვიდა შეცვლილი ბერძნულ ყაიდაზე. მაგ: ტუტანხამონი ნეპხეპხრურე, ძირძველი ხამიტები უწ. ბიბხურიას, რაც მეგრულად-თბილ ბაბუას ნიშნავს.

ხეოფსი-ხუფუ; ხოფრენი-ხაპრა. ვფიქრობ რომ ბევრი დასახელება ქალაქებისა, ტაძრებისა და სხვა ძველეგვიტური ნივთებისა, არაბების მოსვლამდე და შემდეგ ევროპელების იყო მეგრულ-ლაზურენოვანი. თამამად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სლავების მიწაზე ღმერთი რას შემომტანი იყვნენ მეგრულ-ლაზურენოვანი ტომები კავკასიიდან, მცირე აზიიდან, უახლოეს აღმოსავლეთიდან და ეგვიპტიდან. აქ მინდა დავამათო ჩემი მოსაზრება იმ ასპექტში, (როგორც გორდონ ჩაილდმა თქვა: ისინი გადაადგილდებოდნენ მცირე დაჯგუფებით და ადგილობრივი ხალხის დახმარებით ავრცელებდნენ ახალ ცოდნას. შეიძლება უმაღლესი ფენა ეგბიპტელებისა იყვნენ მეგრულ - ლაზურენოვა-

ნი ტომები. ხამიტების სიახლოვეს მეგრულ-ლაზურენოვან ხალხთან ადასტურებს გავრცელებული ხამიტური სახელები (კერძოდ ძველი სახელები არა ბერძნული) დღევანდელი დღისთვის ძირითადა გავრცელებულია მეგრელ-ლაზებს შორის:

ხუმფუ (ხეოფსი)- ხუფუ ეგვიპტის ფარაონის სახელია

ხაპუ-ხაპო; გამოეჩენილი მოხელე ამინხოტების დროს.

ტუია - ნეფერტიტის ახლობელი.

კია - ამინხოტეპის მეორე ცოლი.

მახუ - პოლიციის მეთაური ტელ-ელამარანში.

ტეი-ტეა-ნეფერტიტის და.

ტყა-დედოფალ ტიის დედა

ტუტუ — საგარე საქმეთა მინისტრიამარიელების კარზე.

ხაფრენ - ხაფრა.

აია - მდებარეოდა ეგვიპტეში 1344-1340წწ.

აი, როგორ აღწერს ხამითების სირილ ალდრედი: "...ქვემო და ზემო ეგვიპტეში იყო ერთი დასახლება ხამითების, მოლაპარაკე ერთ ენაზე და ერთნაირი მატერიალური კულტურული შეხედულებით. ისინი ხასიათდებოდენენ გამომგონებლური ხასიათით. ისინი იყვნენ მომთხოვნი, ცვალებადი, მაგრამ არაგულღვარძლიანნი... ივარაუდება რომ ისინი, პირველმა ჩამოსახლებულებმა შეცვალეს მომთაბარე ცხოვრების წესი მკვიდრ ცხოვრებაზე. უფრო გვიანმა ჩამოსახელებულებმა პალესტინიდან შემოიტანეს მიწათმოქმედების ახალი სწავლება. ისინი თესავდნენ ხორბალს, ბარდას რომელსაც ანოტივებდა ადიდებული მდინარეები". მოვიყვან ამონაწერს ბიბლიიდან: ზოგიერთი მოდიოდა იერუსალიმიდიან იერიხონში, შეხვდა ყაჩაღები რომლებმაც გახადეს ტანსაცმელი, ჭრილობა მიაყენეს ყურებზე, დატოვეს ცოცხალმკვდარი. შემთხვევით ერთი მღვდელი მიდიოდა იმ გზით, დაინახა მაგრამ გვერდი აუარა, ასევე მოიქცა ლევიტიც, ხოლო სამარიანელმა (ადგილი სადაც გადასახლეს ურიას ხალხი - ხათები) როცა ნახა ის ამ მდგომარეობაში შეეცოდა, მივიდა ჭრილობა გადაუხვია, დააჯინა თავის ვირზე მოიყვანა სასტუმრო ოთახში და იზრუნა მასზე. მეორე დღეს სასტუმროს მეპატრონს მისცა ორი დინარი და თხოვა ეზრუნა დაჭრილზე."

ალდრედთან ვხედავთ თუ როგორ გამოჩნდნენ პირველი ჩამოსახლებულები (მეგრულ-ლაზურენოვანები) აფრიკის ჩრდილოეთით სადღაც მე-7-6 ათასწლეულებში (ჩვ.წ.ა). სადაც მოიტანეს თავისი ცოდნა მიწათმოქმედების და ღვთისმსახურების

შესახებ, თავისი წეს-ჩვეულებები. მაღალი მორალით და სამართლიანობით გამოირჩნეოდნენ პირველი მიწათმოქმედები სხვებისგან. აი როგორ აიწერება მეტყველება მკვდართა წიგნიდან: "მე არ ვაყენებდი ზიანს ადამიანებს, არაფერი ჩამიდენია მკრეხელური ღმერთის წინაშე. მე არ ვიყავი ცრემლების მიზეზი. მე არ მიბრძანებია მოკვლა, მე არ ვლაპარაკობდი უწმაწურად, მე არავისთვის არ მომიტანია ტანჯვა. მე წმინდა ვარ!..." აი რითი გაითქვამდნენ სახელს მეგრულ-მოვიყვან ამონაწერს სირილი ალდრედას წიგნიდან, სადაც იერაკონოლიის სასახლის მმართველი აძლევს დარიგებას შვილს: "...ვაკარემ დაუტოვა დარიგება მერიკარეს, სადაც არის აღიარება არასწორი საქმიანობის და მონანიება ძველი ჩადენილი ბოროტმოქმედებისა. მითითებების უმრავლესობა მოცემულია მმართველისათვის პრაქტიკული რჩევების ფორმაში. მათში იგრძნობა ქცევის კოდექსისადმი დაფიქრება, განსაზღვრული მორალური ფაქტორით. "მოიქეცი სწორად სანამ ცხოვრობ ამ მიწაზე, დააწყნარე ტანჯულები, არ აწყენინო ქვრივს, არ წაართვა არავის მამის დანატოვარი, არ მოკლა, არ დასაჯო ყოფით თუ უნებლიედ, მაშინ ამ ქვეყანაზე იქნება მშვიდობა. ღმერთს დაუტოვე სამაგიეროს გადახდის უფლება... მისთვის კეთილმსურველი, მტკიცე გულით, ძვირფასია ვიდრე ავკაცისაგან მორთმეული ხარი".

სიტყვები ვაკარე და მერიკარე, ვფიქრობ არ არის სახელები, უფრო მეტად ისინი არის იმ თანამდებობის დასახელება, რომლებსაც ისინი იკავებდნენ.

სასახლის მმართველის თანამდებობას ჩემი აზრით ერქვავაკარე. "ვა-კარე", "კარე"-უცბად ნაშენები სახლი მეგრულად. უძველეს დროში სასახლეს ერქვა "კარე", და სასახლის მმართველს ე.წ ვაკარე. შესაძლებელია სასახლის მმართველის თანამდებობა გადაიცემოდა მემკვიდრებად. ამ შემთხვევაში ვაჟს, რომელსაც მერიკარეს ეძახდნენ. "მერი"-მერე-მერე, მომავალი. "კარე-სასახლე მერიკარე-მომვალი სასახლის მმართველი. ზემოთ აღწერილი უძველესი ეგვიპტელების ხასიათი ძალიან გავს მეგრულ-ლაზურენოვან ხალხს: შემწყნარებლობა, თანაგრძნობა და შებრალება ახასიათებს ადამიანს, რომელსაც უბედურება დაატყდა თავს. ვაკარეს დადგინებიდან ნათლად ჩანს თუ როგორ ფასდებოდა ეგვიპტელებში სამართალი და მორალური ღირსეულობები ადამიანში.

თუ გავატარებთ ანალოგიას მორალური საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ხალხში, რომლებიც ცხოვრობდა ახლო აღმოსავ-

ლეთში მე-4 ათასწლეულიებამდე (ჩვ. წ-ა), შევნიშნავთ რომ ისი-ნი იდენტურები არიან.)

ზემოთ საუბარი იყო პირველ ჩამოსახლებაზე მეგრულ - ლაზურენოვან ტომებზე - სლავების მიწაზე, ამავე დროს ისინი ჩნდებიან ეგვიპტეშიც.

ა.ასოვი: "ბოგუმირი დაეუფლა ექიმობის საიდუმლოებს, გაიგო უკვდავების საიდუმლლო და მან გააკეთა პირველი მსხ-ვერპლთშეწირვა, სამხრეთ ურალის უმაღლეს მთაზე-ხუკარზე, წოდებული, როგორც ბოგუმირი" ხუკარიე, ურა—ლი დან (ურუ-ქალაქი შუმერებთან) იდენტურია ეგვიპტურ მერიკარესთან, ხანანურ ამუნიკარესთან. ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა მეგრულ - ლაზურენოვანი თომების გადაადგილებისა ჩრდილოეთისკენ.

ეგვიპტოლოგებისათვის ნაცნობი ნაწარმოები, "ნეფერტიტის გამოთქმები". "...ზემო ეგვიპტიდან მოვა მმართველი სახელით ამენი, სამხრეთის ქალის შვილი... ის მიიღებს წითელ გვირგვინს და ატარებდეს იქნება თეთრ გვირგვინს... გიხაროდეთ იმ დრო-ინდელო ხალხო! უმაღლესად დაბადებული ვაჟი უკვდავ ყოფს თქვენს სახელს. ის ვინც საქმეებს ჩადის, შიშით მის წინაშე გაჩუმ-დებიან... აშენდება უძლიერესი კედლები და აზიატები ვეღარ გაბედავენ ეგვიპტეში შემოსვლას. ისინი წესისამებრ მოითხოვენ წყალს საქონლისათვის... მართალი მოვა და არამართალი იქნება განდევნილი".

ტუტანხამონის აკლდამის კედლებზე არსებობს წარწერა, წერს თავის წიგნში ს. ალდრედი: თუ ერთი (ჯარის გაგზავნა) ჯახში (ძირძველი სირიის დასახელება), რათა გავაფართოვოთ ეგვიპტის საზღვრები, ის ვერ მიაღწევს წარმატებას". საყურადღე-ბოა მაშინდელი სირიის სახელწოდება-ჯახი. "ჯახი" იშიფრება მე-გრულად: "ჯა-ხი"; სადაც ჯა-ხეა. ხი-დაბადება ჯახი-დააბადე ხე.

ცნობილია, რომ იმ დროში გემთმშენებლობისათვის ხე - ტყე ჩამოჰქონდათ , ლივანის მთებიდან და ამ ადგილს უწოდებდნენ ჯახი - ს. ამის დასტურია უძველესი ჯავახეთის (საქართველო) დასახელება-ჯავახე, რაც ნიშნავს "არ არის ხე". სინამდვილეში საქართველოს ეს რაიონი ყოველთვის უდაბნოსავით იყო. ახა-ლი სახელწოდება ჯავახეთი, ჩემი შეხედულებით, მიეცა ხეთების ჩამოსახლების შემდეგ (10-11 ს. ჩვ.წ.ა.) კოლხეთის მიწაზე. ჯა-ვახეთი- "ჯა"-ხეა. "ხეთები"-ხეთები. ეს შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ ხეთებს თავისი შერეული ენით და წესჩვეულებებით ქონდათ განსხვევებები კოლხებთან, რაც მდგო-მარეობს ადგილმდებარეობის სახელწოდების შეცვლის მიზეზი..

მოვიყვან მცირე ამონაწერს ვლადიმერ ალპენიძის წიგნიდან: "ეგვიპტის ღმერთი პტახი, ეგვიპტური კოსმოგონიის თანახმად, წარმოიშვა ოკეანეში. ღმერთმა პტახმა მიწიდან შექმნა თავისი სხეული. მოატეხა იმდენი რამდენიც მას სჭირდებოდა (ნაგულისხმევია მიწა). პტახი მეგრულად ნიშნავს მოტეხვას. შემდეგ ალპენიძე გვაძლევს მეგრულ ენაზე ნათარგმნი ეგვიპტური ღმერთების სახელწოდებების ჩამონათვალს:

ტოტა - მთვარე- თუთა

ონი-ქალაქი-ონი საქართველოში და მეგრულად ნიშნავს უძველესს,

ნშ-გემი-ნშ

სახ- სხეული. სახე-სახე ქართულად

კეტ — ჯოხი - კეტ.

საკ — ტომარა - საკ

ბაბა - ბოროტი სულის ღმერთი; ბაბა - მამაა

სერდაბ-ცალკე. ოთახი-სარდაპი ცალკე

ვეპუატ - სასაფლაოს ღმერთი. ვეპუათ -არყოფნა.

ცნობილია, რომ ღმერთი "რა" ეგვიპტელებისათვის ერთადერთი ღმერთი იყო შედარებით სხვა ღმერთებისგან, რომლებიც მხოლოდ მისი გამოვლინებები იყვნენ, როგორცაა მაგ.: ღმერთი ატონი, ატონე ეს არის ღმერთი რომელიც გამოაფრქვევს სითბოს. ა-ტონ, ტონე-მეგრულად დისკი, ღუმელი რომელიც აფრქვევს შუქს, სითბოს.

ეგვიპტური-ხატორი, სიყვარულისა და მხიარულების მფარველი, ძალიან გავს ინდურ ხატხორს.

შემდეგ მოგიყვან ეგვიპტური ღმერთების, ქალაქების და სხვა. დასახელებებს, რომლებიც ითარგმნება მეგრულად:

შარა-გზა

კლამუს- კალამი-კალამ

ღმერთი მონტუ - ონტუ; ნათება, წვა.

შუ - ჰაერის და ქარის ღმერთი - შურ; ჰაერი.

ხუ - დაბადების ღმერთი. ხუ - დაბადება.

გორ - ნადირობის ღმერთი. გორ - ძებნა.

ატონი - მზის დისკი. ა-ტონე; ტონე-გახურებული.

სიტხუ- სიბრაზის ღმერთი. ხუ - დაბადება, დაბადებული.

მაათ-ადათ მსოფლიოო წესრიგის და ჭეშმარიტების ქალღმერთი; ადათ - მართმსაჯულების კანონი აიას კვეყანაში.

პატონ-პატონ, რაც ნიშნავს ბატონს.

ოსირისი-მიწისქვეშეთის მბრძანებელი ღმერთოსერიშ — სერიშ,

ღამის, სიბნელის ღმერთი.
ხორა - ხორას ტაძარი. ხორე- საცხოვრებელი სახლი.
შაკკარა - ეგვიპტის სამეფოს ძველი დედაქალაქი.
საკკარა; საკ-ტომარა; კარა-კარე-სასახლე.
საკკარა - სასახლე ტომარას მაგვარი. ცნობილია, რომ უძველესი დედაქალაქი იმყოფებოდა უდიდეს ორმოში (ტომარაში).
კაი - ასე ერქვა ეგვიპტელებში ლოცვის დროს საგალობლებს. კაი - ქართულად — კარგი.
ხეკუ - წმინდა ძალების მფლობელი ქურუმი; ხე - ხელი; კუ - კუალა კუ-შეგროვება, დაუფლება, ძალა. ხეკუ-ხელის ძალა.
სახმეტი - ქურუმი,ხსნიდა შავი მაგების გათვალვას, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას ზიანს აყენებდა. სახ- სახე; მეტ- ბევრი, ზედმეტი.

სახმეტ- ადამიანიდან ზედმეტი გათვალვის მოხსნა.

ხემეტი - ეგვიპტის უძველესი სახელწოდენა. ხე — დაბადება; მეტ-მეტი; მეგრულ-ლაზურენოვან ხალხში ღმერთისაგან იყო განკუთვნილი.ხემეტ- დაბადე მეტი.
ხეკუპტა - ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; ხეკუნტა; ხე -ხელი; კუნტა- მოკლე. ხეკუპტა- დაბადებული ქმნილებების მფარველად.
ხაპი - ძველეგვიპტურ ენაზე მდ. ნილოსი; ხაპი-ნაყოფიერების ღმერთი;
ხაპი - ჩხაპი- მორწყე მეგრულად, ხოშაპ-ჩხაპი-ხურიტულ ენაზე მორწყე. ხოშაპ- არხი ნაირის ცენტრში.
ქვეყანა ხემეტის (ეგვიპტე) ქალაქების დასახელება, ისევე როგორც ხამეტი ხალხის დასახელებები სავსეა ბგერა "ხ"-თი (დაბადება მეგრულად): ქალაქები ხართუმა, ხეკუპტა (მენფისი), ნეხენი (იერაკოპოლი), ხასეხემი.
ტაძრები: დაშხური, ხატხორი, ხაშეპსუგი, ხეკუპტახი.

## ხეთები

მე-3 ათასწლეულის ბოლოს (ჩვ. წ.ა.) ჩნდება ინდოევროპელების სხვადასხვა ტომების შემოსევა მცირე აზიაში. სახლდებოდნენ ისინი მთლიანად ტერიტორიებზე დაწყებული კავკასიიდან თითქმის ეგვიპტემდე. თანდათან დაიწყო მკვიდრი მოსახლეობის ენის დაკარგვა. შედეგად ადგილობრივი ენა ხდებოდა უცხოელების ღვთისმსახურების ენად. გამქრალი ტომების სახელები უცხოელებმა თავისი ღმერთების რანგში წარმოადგინეს, ეს ნათლად ჩანს სხვადასხვა რიტუალების ჩატარების დროს, სხვადასხვა შემონახულ იმდროინდელ ტექსტებში მცირე

აზიის, ხოლო შემდგომ ევროპელ და აზიის ხალხებში.

თანამედროვე მეცნიერები ამბობენ: "როგორც ლინგვისტიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, ჩატარებულ ვ.ვ ივანოვის მიერ, ხეთები-ნესილები, გადმოსახლებულები ანატოლიაში, ძირეულიხათებისაგან გადაიღეს რკინის დნობის ტექნოლოგია. შედეგად ეს დასახელება შევიდა ხურიტულ და აკადიურ ენებში, და შემდეგ სხვა ევრაზიის ხალხშიც, მაგ. ბერძნულში, ლიტვის და ძველჩინურ ენებში. ამ სახელს ესადაგება ძველი რუსული სიტყვა "ჟელეზო" (რკინა). ბერძნები ესხილის დროებამდე ინახავდნენ ხსოვნას "ხალიბების" მიმართ, ვინც პირველმა გამოიგონეს რკინის ტექნოლოგია. ხალიბები-ასე ეძახდნენ ბერძნები იქ მაცხოვრებელ მეგრელ ლაზებს. ჩემი აზრით ეს მათი პროფესიონალური თვითდასახელებაა. ხალიბები - ხელიბები, "ხე"-ხელი, "ლიბი"-რბილი.ხელიბი - რბილი ხელი მეგრულად. ხალიბები თავიანთი რბილი ხელით ამზადებდნენ ფოლადს.

ხშირად ისმის, თუ სად უფრო ადრე დაიწყეს დამწერლობა კავკასიში თუ ეგვიპტეში. ჩალსახად, ალბათ ვერავინ ვერ უპასუხებს. ყოვლად შესაძლებელია, რომ დამწთრლობა დაიწყეს ერთდროულად, რადგან ამ ტერიტორიაზე ჩვ. წ. აღ. მე-4 ათასწლეულში ცხოვრობდნენ მხოლოდ მეგრეულ-ლაზურენოვანი ხალხი. ენა იყო ერთი და ურთიერთდამოკიდებულებაც ნორმალური. ყველა ახალსაწყისები სწრაფად ვრცელდებოდა. ძირითადად ყველა ნაპოვნ ნაწერებში ჩვენ ვხედავთ ინდოევროპელებისა და სხვა ხალხების მონაწილეობას. ადრეულ დროში,რადგან ისინი წერდნებ მყარ მასალაზე:ქვაზე, თიხაზე,სპილენძზე. მკვიდრი მოსახლეობა კი წერდა არამტკიცე მასალაზე: ფიცრის ფირფიტებზე, პაპირუსის ქაღალდზე, ბატკნის ტყავზე.

"ხეთების ტექსტების კითხვა გახდა ჩვეულებრივი საქმე. მეცნიერებმა შეზლეს წაეკითხა ლურსმული დამწერლობის 20 ათასზე მეტი ნიმუში, ნაპოვნი, მხოლოდ ხატუსში. ეს გახდა უტყუარი (ნამდვილი) ხეთების ცივილიზაციის აღმოჩენის. რამოდენიმე ათასი ნიმუში ნაპოვნი იყო გათხრების დროს კიდევ სამ სხვა ხეთების ქალაქში.

ვ. ივანოვი: "თუმცა ლურსმული დამწერლობა თიხის ფირფიტებზე, რიგი მეცნიერების აზრით, ხეთებისთვის მეორეხარისხოვანი დამწერლობის სახე იყო. ხშირად ხეთები წერდნენ ფუჯით და ტუშით ხის ფირფიტებზე, რომელსაც ზემოდან აკრავდნენ გრუნტის ტილოს. ზუსტად ასეთ ტილოზე იყო მოსა-

ხერხებელი იეროგლიფებით დაწერა.

ხეთების იეროგლიფიკა-ეს უეჭველია თვით ხეთების გამოგონებაა. წერას ხეთები ბაშვობიდან სწავლობდნენ. ცნობილია ხეთების მეფისწულის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში ფუნჯი, ხოლო მარცხენა ტუშით სავსე ქილა უჭირავს. რვეული აკინძულია ხის ფირფიტისაგან და შეკრულია ჭიკარტის შესაკრავებით. ასეთ ფირფიტებს აგზავნიდნენ წერილების სახით. ამის გარდა გზავნილებს წერდნენ ტყავის ფირფიტებზე, რომლებსაც ახვევდნენ მილში. გაფხაჭნილი ასოები ადვილად სწორდებოდა და ფირფიტის მეორედ გამოყენებაც შესაძლებელი იყო. სახელმწიფო ხელშეკრულებებს ამოკვეთავდნენ ძვირფასი ლითონის ფირფიტებზე. ისინი აკეთებდნენ ისეთ მოულოდნელ სიტყვის შემოკლებას, რომ ეს საბოლოოდ გვიბნევს გზას. ხეთები იყენებნენ მარცვლით დამწერლობას. ეს კიდევ ერთი მაგალითია მათი ყურადღების სხვა იდეების მიმართ. მათ აითვისეს "ბაბილონების არაპრაქტიკული ლურსმული დამწერლობა" წერს ევა კანციკ-კირშჩბაუმი და ტრასფორმაციას აკეთებდნენ ისე, რომ ის გახდა მარცვლითი დამწერლობის ფუძე. თვითონ ბიზანტიელები ამას ვერასდროს მოიფიქრებდნენ".

აი რას წერს ჯონ გრეი: "მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიაში მოიხსენება ხეთები იუდეის დროინდელ პალესტინამდე, არ არსებობს ისტორიული მტკიცებულება, რომ ისტორიული ხეთები, რომლებიც მესამე ათასწლეულის ბოლოს გადმოვიდნენ ანატოლიაში, ბოსფორის გავლით, და მართავდნენ მცირე აზიას 1990წ. — 1200წ. ჩათვლით ჩვ.წ.ა, რომ ეს ერთი და იგივე ხალხია".

კულტურა, რომელსაც ჩვენ "ხეთებისას" ვუწოდებთ, სულაც არ აღმოცენებულა ცარიელ ადგილზე. "ხეთების კულტურა-არ არის დასაწყისი, ის განვითარების შედეგია",-წერდა ფრანგი არქეოლოგი ჟან მარკადე. საუბარია აქაური რეგიონალური კულტურის გამდიდრებაზე უცხო იდეებით, ურთიერთ კონტაქტებზე. ხეთების ენა თანდათანობით გამოიდევნებოდა ინდოევროპულ ენებთან შერწყმის შედეგად. შემდეგში ხათების ენა იწოდება როგორც ხეთების. ნაპოვნი ხეთების წარწერებიდამ ჯერ კიდევ შეიძლება ვნახოთ - მეგრულ-ლაზურენოვანი სიტყვები, მცირედი ცვლილებებით.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ხათები და ხურები ცხოვრობდნენ მთელ ტერიტორიაზე ანატოლიიდან ეგვიპტემდე უსახელო დამპყრობლების მოსვლამდე. რომლებმაც მერე დაირქვეს ხათების სახელი - ხეთი.

ა.ვ. ვოლკოვი, ნ.ნ. ნეპომნიაში თავის წიგნში (ხეთები) წერდნენ: "მოგონებები ხეთებზე შემოინახა მითებში და ცერემონიალებში, მრავალი ხეთების ღმერთები- მაგ. მზის ქალღმერთი-არინა, ვურესუმუ, ტელეპინუ და მისი მეუღლე ხატეპინუ, ხათების წარმომავლობის არიან. არინა-ხათების უძველესი ქალაქია".

აი რას ამბობს გადაშენებული ხათების შესახებ ო.გარნი: "ხათებთან დაკავშირებულია ხეთების სამეფოს უამრავი რელიგიოზური კულტურა. XIV-XIII საუკ. ჩვ.წ.ა. წმინდა ზეიმების დროს ქურუმები წარმოთქვამდნენ უცნაურ ტექსტებს იმ ენაზე, რომელსაც თვითონაც ვერ იგებდნენ, ეს შეიძლება შევადაროთ მაგ. : შუასაუკუნეების კათოლიკეების მიერ ჩატარებულ წირვას ლათინურ ენაზე, ბევრ მაცხოვრებელს ეს საიდუმლო ბგერების კრებული ეგონა".

ბიბლიაში ნათქვამია, რომ ოდესღაც დედამიწაზე ცხოვრობდა ერთი ხალხი, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობდა. ამ ხალხმა გადაწყვიტა აეშენებინა კოშკი, რომელიც ცის კიდეს მიწვდებოდა. ღმერთს ეს არ მოეწონა. მან დაანგრია ეს კოშკი და აურია ამ ხალხის ენა. ადამიანები ვეღარ უგებდნენ ერთმანეთს, შესაბამისად არ შეეძლოთ კვლავ წამოეწყოთ კოშკის მშენებლობა.

ეს ბიბლიური თქმულება ემთხვევა ინგლისელი მეცნიერის ო.რ. გარნის ჰიპოთეზას. მასში ნათქვამია ერთ უცნობ ხალხზე, რომელიც ცხოვრობდა უზარმაზარ ტერიტორიაზე კავკასიიდან, თითქმის ეგვიპტემდე, მოლაპარაკე ერთ ენაზე. მოვიყვან ციტატას ო.რ. გარნის წიგნიდან: "და ბოლოს ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ კიდევ ერთი დასაფიქსირებელი ჰიპოთეზა, სახელდობრ: "ხეთების" ენაზე შეეძლოთ ელაპარაკათ უზარმაზარი ტერიტორიის მცხოვრებლებს, მათში შედის პალესტინაც და ძველიაღთქმის "ხეთები", რომლებიც წარმოადგენდნენ უდიდეს ხალხს, შემონახულს იზოლაციაში იუდეის მთებში, მას მერე, რაც ჩრდ. პალესტინა და სირია მე-3 ათასწლეულის ბოლოს (ჩვ.წ.ა.) დასახლდა სემიტური და ხურიტული ტომებით."

შემდეგში გარნი წერს: "ეს ენა არსებობს ქურუმების გამონათქვამებში, სხვადასხვა რელიგიოზურ კულტურებში, მათ რიცხვში ხეთის პანთეონის უმთავრესი ღმერთების კულტების რიცხვშიც. მაგრამ ყველა ეს გამოთქმები ძალიან მოკლეა, იმისთვის რომ აღვადგინოთ სტრუქტურა ან ლექსიკონი ამ ენისა, ეს მასალა ძალიან ცოტაა. ჩემი აზრით ამ ენისთვის დამახასიათებელი იყო პრეფიქსების გამოყენება (მაგ. მრავლობითი რიცხვი

სიტყვიდან ბინი- "ბავშვი"- ინარმოება პრეფიქსის დახმარებით ლე-ბინი). იმის დადგენა თუ რომელ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა ის ჯერ ვერ მოხერხდა".

აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ ხეტების "ბინი" ძალიან გავს მეგრულად "ბაღანა" და ლაზურად "ბერი"-ბავშვი.

გარნის წიგნიდან, ქვემოთ მოყვანილ ტექსტში ძალიან ბევრია მეგრული სიტყვები:

"ტესუბი ზის ხარებით შებმულ ორთვალაზე... ჭექა-ქუხილის ღმერის და მისი მეუღლისათვის იხედება ჩვენთვის ცნობილია: ხარებს ერქვათ სერი და ხური, მთებს-ნამნი და ხაცი. ეს ხურიტული სახელებია წერს გარნი, ხურიტულ ენაში "სერი" და "ხური" ნიშნავს "დღეს" და "ღამეს". მეგრულ ენაზე "სერი"-ღამეა; "ხური"-თბილი, ნათელი-დღე.

ხეთებს შორის არსებობდა იდეა დაშვებული შეცდომების გამოსწორების და ადამიანის მონანიებისა: "თუ ვინმე მოკლავს ხეთების მოვაჭრეს, მაშინ მან უნდა გადაიხადოს 100 მინი ვერცხლი და გააგზავნოს მის სახლში". "თუ ვინმე ცხვირს მოაჭამს მონას, მან უნდა მისცეს 3 სიკლი ოქრო და გააგზავნოს მის სახლში". თუ ვინმე დაარტყამს მწყემსის ძაღლს და ის მოკვდება, მან უნდა მისცეს 20 სიკლი ვერცხლი".

"ძირითადად გაცვლა-გამოცვლის საშუალებად ხეთების სამეფოში, ისე როგორც ყველა ახლოაღმოსავლურ სამყაროში, იმ დროისათვის ითვლებოდა ვერცხლი (დაბალი ფენისთვის-ტყვია), რომელიც ფასდებოდა წონის მიხედვით. წონის ერთეული იყო სიკლი, 60 სიკლი შეადგენდა 1 მინას, როგორც ბაბილონში. არ არის გამორიცხული, რომ ხეთების სიკლი უფრო ნაკლებს იქწონიდა (8,4გრ) ვიდრე ბიზანტიაში. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ ხელშეკრულებაში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ ხარკი უნდა აიწონოს "ხათების ვაჭრების სასწორზე". შემდგომში, უფრო გვიანი ტექსტიდან ჩვენ ვიგებთ, რომ კარკემიშის მინა იწონიდა 300გრ-ს. განვიხილოთ ფასთა ჩამონათვალის ფრაგმენტები, ჩართული ხეთების კანონთა კრებულში.

ცხვარი - 1სიკლი. თხა-1სიკლი, ძროხა-7სიკლი.

ცხენი - 14სიკლი. შესაბმელი ცხენი-20 (ან 30?)სიკლი, ხარი რომელსაც იყენებდნენ "მოსახნავად"-15სიკლი.

1 პარისუ ემერა-1 სიკლი.

მცენარეული ზეთის 1 ციპიტანი - 2სიკლი.

კარაქის 1 ციპიტანი — 1 სიკლი.

1აკრი სარწყავი მიწისა-3სიკლი.

1 აკრი ხალანი მიწისა-2 სიკლი
1 აკრი ვენახისა- 1 მინი
სამოსი თხელი ქსოვილისგან- 30 სიკლი
სამოსი ლურჯი შალისგან- 20 სიკლი
თავის მოსახვევი – 1 სიკლი
თხელის პერანგი- 3 სიკლი
დიდი სელის პირსახოცი- 5 სიკლი

ასეთი მონაცემები მოყავს ხ. საგს თავის წიგნში: ეშანურების (ეშანანები) კანონების განლაგება გვიჩვენებს არსებით განსხვავებას ხამურაპის კანონებთან. აქ არ არის მოგონილი პროლოგი, მის ადგილს იჭერს თარიღი, მას მოყვება ფასის ტარიფი შემდეგი სახით:

1 გური ქერი – 1 სიკლ ვერცხლად
რაფინირებული კარაქის 3 სილა – 1 სიკლ ვერცხლად
6 მიდნი შალი – 1 სიკლ ვერცხლად
2 გური მარილი – 1 სიკლ ვერცხლად

ფულის ერთეულს საქართველოში უწოდებდნენ ლარს. მეგრულად "ლარი"-სწორია. ძველ დროში ანგარიშწორების დროს და საქონლის გაცვლის დროს ამბობდნენ: დოლარეშენ მე გამისწორე, გადამიხადე. ლაზები, ხატები, ხურები: უფრო მეტად ხმარობენ "სი კილე" – შენ მე დამიფარე (ვალები). "სიკლე"-"სი კილე"-"სი" მეგრულად შენ. "კილე"-დაკეტე, გადამიფარე. "სიკლე"-შენ დაკეტე, გადამიხადე. ზოგიერთ შემთხვევაში ამობდნენ სი გომბონ. გომ-ბონ; გომ-თავსართი; ბონ-სწორი, გომ-ბონ-გამისწორე, გადამიხადე.

ქვემოთ მოვიყვან მთელ სერიას ღმერთების, მდინარეების, მთების, ქალაქების, ქვეყნების დასახელებას, რომლებიც ისმის როგორც სუფთა მეგრული სიტყვები.

ხათების ღმერთები:

იშხარა -"ფიცის და ავადმყოფობის ქალღმერთი სადაც: იშ-მისი,ხარა-ჯანმრთელობა; იშხარა-მისი ჯანმრთელობა.

ესტან - ეა-სტან; აიასთან; ღმერთთან.

ალალუ - ალალი-კეთილი.

ხეპატ - ხიპატ-საშიში.

ნამხე - "ნამ"-ვინ. "ხე"-დაბადბა, ნამხე – ვინ დაბადა.

კილენ შესასვლელის ღმერთი. კილენ-კილა-გასაღები

იშტარ - "მის ძალაში იყო ავმოქმედებების გამოლოცვა დემონებისთვის ძალის წართმევა. იშტარ ; იშ - ტერ; მისი მტერი.(ხ. საგსი). იშტარ-იშტერ-მათი მტერი.

ციტხარია –ციტ-ცატ-ცნობილი ლაზების მეფეები.
ნამშარა "ნამ"-როგორი. "შარა"-გზა. ნამშარა-როგორი გზა.
ღმერთები - მაცულა, ხულა,ცინტუხი, ინარა.ხასამილია, ხაპანტალი.

შუმერული ღმერთები:

გიბილა-ცეცხლის ღმერთი,გიბილა-ალი,წვა. გიბილანს-იწვის, გიბილა-ცეცხლის ალი.
ხუმბაბა-ნაყოფიერების ღმერთი. "ხუმ" -მშრალი. "ბაბა"-მამა. ხუმბაბა-გვალვის მამა.
მარდუკი-"მარდუკი იყო ხელოვნების და მწერლების ღმერთი. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2000წ. (ჩვ.წ.ა) ქ. მარში არსებობდა სკოლები, რომლებსაც ეწ. "ფირფიტების სახლი". მარდუკ-მარდუ-აღმზრდელი მეგრულად.
ზუ - "ზ" - შექმნა, აზელვა.
ნინხუ - "ნინ" ნან- დედა. "ხუ"-დაბადება. ნინხუ-მშობიარე დედა.
კუტუ - ღმერთი მფარველი ქალაქისა პალი; ფალოსი.

ხანანების ღმერთები:

ხედადი – წვიმის და ქარის ღმერთი. "ხე"დაბადება.
"დად"-ღმერთი-ღრმად პატივსაცემი ადამიანი.
ვაალი – მეომრის და მიწათმოქმედის ღმერთი "ვალ-ელვა".
ათხარა- "დილის ვარსკვლავის ღმერთი". "ათ"-ათაკ- აქ. "ხარა"ჯანმრთელობა,
ილუ-ტალღების და შტორმის ღმერთი. ილუ, ილენს ზღვა-ზღვა ღელავს.
ანათ- ანათ, განათ - შუქი,მანათობელი.

ეტრუსკების ღმერთები:

ტინია - სიმართლის, სამართლიანობის ღმერთი. ტინ - ტინი, სწორი, მართალი. მეგრულად.
ნორტა – დაბრუნების ღმერთი. ძველი ეტრუსკები გემებზე დგამდნენ ქანდაკებას, რომელიც სიმბოლირდებოდა მშვიდობასთან.
ნორტა – ნორტა – დაბრუნებაა.
ლაზი – ცოდნის ღმერთი; ლაზ; ლა-ლაპა -ვარდნა - ზევიდან ჩამოსული.
ზ-ზალა-შექმნა, შემოკმედი. ლაზ-ჩამოსული შექმნისათვის, ცოდნისათვის.
მონტიკე – მაკითხე- მკითხავი.
მანა – ჯა - დო - კარი ძალა. მანა – მეგრულ-ლაზურენოვანი

ხალხი.

მანი — მეგრელები მცხოვრებნი არკვანიაში; აზერბაიჯანში.

არკვანია, მინი სახელმწიფო აზიის სამეფოს შემადგენლობაში. მოგვიანებით სახელმწიფო ალბანია - აზერბაიჯანი.

ვალხანს — მიწათმოქმედების ღმერთი; ვალ-ელვა; ხანსბადებს; ვალხანს-ელვის დაბადება, წვიმას.

ინკების ღმერთები:

ვირაკოჩა — ღმერთი შემქმნელი; ვირაკოჩა- დიდი ადამიანი.

ტონაპა - მზის ღმერთი; ტანა — გათენება;

ტანაპა — ამოსვლა; აღდგომა.

ოტანე — მეგრულად და ეგვიპტურად - გათენება.

საამის ღმერთები:

ნინჩურტ დასახელებაა მთის სეიდოზერას ახლოს კოლსკის ნახევარკუნძულზე. ნინჩურტ საამის ენაზე ნიშნავს ქალის მკერდს.

ნინჩურტ; ნინ-ნანა; ჩურტ-ქალის სასქესო ორგანო-მეგრულ ენაზე.

ნანხუ დედა მშობიარე — მეგრულადაც და შუმერულადაც.

სკანდინავიის ღმერთები:

ილმერი _ უმთავრესი ღმერთი, ბუნების შემქმნელი, ეს ხალხია რომელთაც ოდესღაც რუსეთში წარმოგვიდგენდნენ როგორც მიწათმოქმედების ხელოვნებს ხალხს. ილმერი — იბერი — კოლხები.

ნანა — ნანა — დედა

ფინური სიტყვები:

რუნი — სიმღერა ცხოვრებაზე, შექმნილ ბუნებაზე, ძალიან გავს აიას ქვეყნის რინას კანონებს.

ხანახანა — მოხუცი დედა — მეგრულ-ლაზურენობრივ ხალხში.

ტულიი — სვანური ტულეპია, მელია.

შოტლანდიური ღმერთები:

ხანანნანი - ხანიორ ნანა - მოხუცი ქალი.

საქსონური ღმერთი — დია-დედა - დედა.

ვოთანი- ეგვიპტური აიას ღმერთი. ვოთანა; გოტანა — გამთენია.

ტორ — ტაროზი — კარგი მოსავლის ღმერთი ხათების და მეგრელების ენაზე.

შემდეგ მოვიყვან მეგრულ სიტყვებს ხეთების ტექსტებიდან ა.ე.

ნაგოვიცინის, ო.რ გარნის და ჯონ გრეის წიგნებიდან.

ხანანანა-დედა სამშობლო

ტავანანა-მთავარი დედა-დედოფალი.

ბინი-ბავშვი-ბერი, ბაღანა

შარა-გზა-შარა.

პურულია-ზეიმის დასახელება-მარულე.

კალმუს-რიტუალური, ჯოხი-კალამ.

კილენ-გასაღები-კილა.

კილანა-დაკეტვა-კილუა.

ტეტესხაპი-ცეკვა-სხაპი.

ხას-დაბადება-ხანს.

სერი-ღამე-სერი.

ხიური-ხვრელი.

კირსე-ნაყოფიერების ზეიმი-კირსე.

დობსარჯი-ჩაწერა-დოპსანჩი, დობჩარი.

ქუვა-ქვა-ქუვა.

ზალა-აზელვა-ზალა.

ხუმა-მშრალი-ხუმლა.

კანნ-მარცვალი-ნიგოზი.

კი-მოსავლის აღება-კი.

რინა-ცხოვრება-რინა.

რეკი-განდევნა-გაგდება-რეკ, რაკუა.

ტარ-ტარ, ლაპარაკი, ტირ-ტინ.

ტარუ-ამინდი-ტაროზი.

ხეპატ-ხითვათი-ხითვათ.

პირვა-პიველი-პირველი.

პურული-პირობა (ღმერთისთვის შეპირებული-ზეიმობის დღე) ნადიმობა.

გან-გან; ხეთების ცეკვა. გან-განა, მეგრულად ერთი მხრიდან მეორე მხარეს. დღევენდელობაში ნაცნობი აჭარული ცეკვა „გან და განა“.

ადაპა-შუმერული ღმერთი, რომელმაც ასწავლა ხალხს ხორბლის მოყვანა.

მეგრული სიტყვები გვიპტურ ლექსიკონში:

ონი-წარსული შორეულ წარსულში - ონ.

შუ-ჰაერი - შურ

ოსირისი-ოსერე-ბინდი, ღამე.

პტახ-ტეხვა - პტახ

მერეხი-მერეხუა-განადგურება.

მნშ-ნშ-ნავი.

კეტ-ჯოხი-კეტ·

საკ-ტომარა-საკ.

ტუტანხამონი. ტუტა-ნ-ხა-მონ; „თუთა"-მთვარე, „ხა"-დაბადება. „მონ"- წარსული. ტუტანხამონი დაბადებული მთვარისგან შორეულ წარსულში.

შემდეგში მოვიყვან უძველესი ქალაქების და მდინარეები სიას მეგრული დასახელებით განლაგებული ანატოლიაში, მცირე აზიაში, ეგვიპტეში, ევროპაში და ამერიკაში:

ტაძარი ნანი-დედის ტაძარი.

ღალ-მდინარე - ღალ.

ქალაქები: მუშ-მისი - მუშ

უნკი-უნაყოფო - უნკ

ქუა-ქვა. კილიკიის ძველი დასახელება.

საკ-კარ. საკ-ტომარა. კარ-ჭიშკარი, კარი საკ-კარ-ჭიშკარი ტომარაში. ქალაქი ციხესიმაგრე აშენებული ტომრის ფორმით.

მარტუ-ქალაქი შუმერებში- მბრუნავი - მართუ

ხანა- ხურიტების ქალაქი.ხან-ასაკი ძველი.

შურუპაკე, შურ-უპაკე. „შურ-ჰაერი, უპაქე - სულები."

აშური-საამო სიგრილე, აი საამო ჰაერი - ა შურ.

კარაჭიკა; კარ-კარები, სახლი, სასახლე.

ჭიკ- მორი, კუნძი. კარაჭიკა სასახლე მორებისგან.

არნავა-არწავა.

კარ-კაშ. კარკაშ-შალითა.ქალაქი ციხესიმაგრე აშენებული როგორც ტომარა.

ურარტუ-მისი ძველი დასახელება-ნაირი, და უფრო ძველი ხუბუშკია.

ურა-დაუმორჩილებელი; ურაშდუ- ურასი იყო.

ხუსურ-კაშხალი ნინევიაში „ხუ-სორ"-„ხუ" დაბადა.

„სურ-არხი". ხუსურ -(ღმერთით) დაბადებული არხი.

შუპრია-კალდების ქალაქი ტბა ვანის დასვლეთით (მე9 ს)

„შუ"-ჰაერი. „პრია"-ჩინებული. შუპრია კარგი ჰაერი.

ერიდუ-კალდების ქალაქი ვანის ტბის ახლოს. „ერი" - ხალხი.

„დუ" - იყო. ერიდუ- იყო (ასეთი) ხალხი.

მუშიერი-ქალაქი განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამხრეთით. კობანის კულტურა. მუში - მისი; ერი - ერი (გ. ჩაილდის წიგნიდან „არიელები" ).

ილუ - ღმერთი, მცხოვრები ორი ოკეანის შესართავებთან, ღმერ-

თი ტალღების და შტორმების. „ილუ"-ღელვა მეგრულად.
ბაბილუ - ყველა ღმერთების ბაბუას მფლობელობა ა. საგსი)
ტროა მისი ძველი დასახელება ილუ. ილუ-ღელვა - ილუ.
კეანა-პალესტინის უძველესი დასახელება , ბერძნული წყაროებიდან ცნობილია როგორც კეანაანი. კეანა-მეგრულად ქვეყანაა. ( ჯონ. გრეი).
ქემი ნილოსი ძველი დასახელება ხემეტი, ხემეტ- ეგვიპტის ძირძველი მცხოვრებლები -ხამიტები.
არაკსი-ძველი დასახელება-ერიხი. ერიხი; დაბადე- ერი.
ხემეტია-ეგვიპტე, ძველი დასახელება კემი, ხემი, როგორც ვხედავთ სახელმწიფოს ერქვა ხემეტი, მდ. ნილოსს-ხემი და ხალხს რომელიც იქ ცხოვრობდა- ხემიტები. (სირილ ალდრედი).
ნაზია-აზია-ფაქიზი, მომხიბვლელი (კ-შელია)
ოროპა-ევროპა-სიყვარული (კ. შლია)
ჯახი-ლივანი-ძველი სახელწოდბა ჯახი (ხ. საგსი). „ ჯახი", სადაც ჯა-ხეა. „ხი" -დაბადება. ძველი ახლო მდებარე ქვეყნები ხე - ტყეს იმარაგებდნენ ჯახის ქვეყნიდან, რომელიც მდიდიარი იყო მერქნით.
ენგური შუმერული ქალაქი სახელმწიფო. ენგური, ენგური-მდინარე საქართველოში. ენგური-მისი გული, ცენტრი,
მისი დედაქალაქი.
ხატები-ხეთების ქალაქი (ხატუსილი). ხეთა-დასახლებული პუნქტი საქართველოში.
ანგორა-ანკარა. მისი ძველი დასახელება-ანგორა. ანგორა-მთიანი. ადრე ანკარას ეწოდებოდა ქუა-ქვა.
მენფისი ძველი დასახელება-ხიკუპტა. ხიკუნტა-დაბადე მოკლეები.
სენარი ასირია. ძველი დასახელება-სენარ. (ხ. საგსი) სენარ-ძალიან მოგვაგონებს საქართველოს უძველესი ქალაქის დასახელებას-სენაკს.

ასარპაია-კასკების ქვეყანა. სარპაია-მთიანი (ლაზურად) ქ. სარპი ლაზისტანში (თურქეთი).

არწავა-მინი სახელმწიფო ხეთების იმპერიაში. არწავა-არ წავა.

ესპანურია იბერია:

მდ. ტურია (ეშმაკი მდინარე)-თურქეთი -ტურა -მელა.
მდინარე ხუკარი-„ხუ"-დაბადება. „კარ" -ჭიშკარი.
ბრაზილია-მდინარე არაგუაია-მდ.არაგვი საქაეთველოში.
არაგვი მეგრულად - ეჯახე.

ჯავახოლ-ჯავა-ხეთები. ჯავა-ჯახე
ახუ-უდიდესი ქვის კანდაკებები აღდგომის კუნძულზე.
ახუ-აქ დაბადებული.

მოვიყვან ხალხის გვარების სიას სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც იდენთურია მეგრული გვარებისა: ხეთების მეფეების შორის არის ისეთი გვარები როგორიცაა: ტუდხალია, ხუნცია, მურსილი, ხაანტილი, მუვატილი, ხასამილი.

კასკების გვარები: ელურია, გახარია, შარია, ქეცბაია, თოფურია, გამახარია, პაჭყორია, ფილია, ფაცაცია და ა.შ. კასკები-კოლხეთის ტომებია, რომლებიც ოდესღაც სახლობდნენ ცაქართველოს ჩრდილო - აღმოსავლეთ რაიონებში და მას ერქვა კასკაია ანუ - კავკასია. შემდეგ კოლხეთის სამხრეთით. ამჟამად თურქეთის ჩრდ. ნაწილი. კასკები-მართავდნენ ბაბილონს 5 ათასწლეული, მაგრამ ეს უკვე შერეული ხალხი იყო ძირეული მეგრულ-ლაზურენოვანი და ინდოევროპული ტომებისა.

ბასკების გვარები (ესპანეთი); მატუა, ნოდია, ახურია, ალანია, ბოკერია, ჩეხერია, ურიდია, მედონია, ჩინჩალია, მაისაია და ა.შ.

ცნობილი ხანაანის წინასწარმეტყველთა გვარები: ოსაია, მალახია, ზაქარია, სათონია, იერემია, ოსია, მოსია. ძირი მეგრული გვარებისა ძირითადად მიგვითითებს თუ რომელი მხრიდან არიან ისინი (გვარი), ხოლო დაბოლოება მიუთითებს რომელი ქვეყნიდან იყვნენ ისინი (ქვეყანა-აია).

სლოვენების ღმერთის ვალუს, ანალოგიურია, როგორც ხანანების - ვალხეს ეტრუსკების ღმერთი ველხანსი-ცეცხლის ღმერთი, ელვის მტყორცნელი. სიტყვა სიტყვით თარგმანი მეგრულად „ველხანს“-ვალხანს: ვალ-ელვა. „ხანს“-დაბადება. როგორც ვხედავთ ამ სამივე ძირძველ ხალხს ერთი ღმერთი ყავს-ვალხე, ელვის და ჭექა-ქუხილის, მიწათმოქმედების ღმერთი და ითარგმნება მეგრულად.

რუსული ღვთაებები: სემარგლო (სამარგალო-მეგრელები), ქვასურა-ქვა-სურა, „ქვა“-ქვა, „სურა“ - ღვინის ჭურჭელი მეგრულად. ზემოთ ხსენებულს ჩემი თვალთახედვით განსაზღვრული მსგავსება აქვს ხეთების ლურსმნულ დამწერლობასთან. იმ სქემაში რომ რუსეთში, ერუტრიაში და ხეთების სამეფოში მანები და სამარგლო (მარგალი, მაკრონები), ლაზები თავს იყრიან ღმერთების რანგში.

მომყავს ხეთების ტექსტი (3500 წ) . ნოგოვიცინის წიგნიდან:

„...მშვიდობა მენვრის და ხერკლეს, მშვიდობა.
სიკვდილშემდგომი ზეიმი და მხიარულება,
და ასევე გარდაცვლიილთა სულების დახმარება,
მშვიდობა კეთილ მანებს და ლაზებს, მშვიდობა,
მშვიდობა ქალღმერთ მენვრის, როგორც დედის ქალ-
ღმერთს, მშვიდობა ნაყოფიერების ღმერთებს,
ეს მშვიდობა სჯის და ათავისუფლებს"...

აქ უნდა ავღნიშნოთ, თუ როგორ მოწიწებით ეპყრობიან ნესილის უცხოელები ხათების ძირძველ მოსახლეობას, „კეთილი მანების და ლაზების სამყარო". ხეთები ადიდებენ მანებს და ლაზებს ღმერთების რანგში.

ღვთიური ფრთოსანი სემარგლას წარმოშობა, შესული ვლადიმირსკის პანთეონში, როგორც ცალკეული ღვთაება, სხვა არაფერია თუ არა იმ ტრადიციის გაგრძელება, რაც იყო ხათებსა და ნესილის შორის. რაზეც ლაპარაკი იყო ტექსტში " კეთილი მანების" (მარგალების-სემარგლო) და ლაზების სამყაროს შესახებ. აქ მინდა დავამატო, რომ მათი კვალი არამარტო კავკასიაში არამედ სხვა მრავალ ევროპის სახელმწიფოში და ამერიკაშიც კი. ხეთების იმპერიის დაცემის შემდეგ ხეთები ჩნდებიან არა მარტო რუსეთში არამედ ევროპაშიც. რაზეც საუბარია ქვემოთ მოყვანილ ტექსტში.

ძველი რომის ისტორიკოსი ჟ. ბეიე წერს ეტრუსკების წეს-ჩვეულებაზე, მუნდუსის ქვის გახსნის შესახებ." წმინდა პროცესიას მოქონდა რომის ქუჩებში ქვა, რომელიც ანთავისუფლებდა მკვდართა სამყაროდან არამარტო მანების წინაპრებს არამედ წვიმასაც.

მსოფლიო რელიგიის ენციკლოპედიაში არის საუბარი იმის შესახებ, რომ " ეტრუსკების ღმერთების განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ ლაზები. უმრავლესობა ლაზებიდან გამოიყოფოდა ქლღმერთი ლაზა- გაშიშვლებული ახალგაზრდა გოგონა, ფრთებით ზურგზე... ეტრუსკების კვალდაკვალ რომაელებიც თაყვანს სცემდნენ ლაზებს, როგორც სახლის კერის მფარველებს." ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ძლიერად აფასებდნენ ეტრუსკები თავის წინაპარ "ლაზებს" და "მანებს", აყენებენ რა მათ ღმერთების რანგში.

ხეთების წმინდა ტექსტებში ხანდახან მოიხსენიება წმინდა ხეები დაკავშირებული მსოფლიოს სფეროების მიმართ. ერთ-ერთი არის მითოლოგიური თხრობა, ჩართული რიტუალში და მიძღვნილი "ავი მოჯადოების ენას". ტექსტში ნათქვამია:

„წყარო (ლუ-ლი) დგას მათ ქვეშ მტერი (...)
ზევით კი ხე გახმა, ისიც მტერია , რომელიც
(...)მიზანს აღწევდა და ისიც გახმა."

მოცემულ ნაწყვეტში არსებობს მითითება, რომ ლულის ხე დაკავშირებულია მსოფლიოს ხესთან, ასე რომ მითითება იმაზე, რომ მაღლა ხე გახმა, უნდა გავიგოთ ისე როგორც მითითება უმაღლეს სამყაროზე. „ მტერი", მოხსენებული ნაწყვეტში შეიძლება იყოს ანალოგი სკანდინავური გველის, რომელიც ღრღნის იგგდრასილის მშვიდობის ხის ძირებს ისე როგორც სკანდინავურ ტექსტში მშვიდობის ხის წყაროების შესახებ.

„... იქვე მოევლინნენ სამი წინასწარმეტყველი ქალწული,
იქ დასახლდნენ ხის ქვეშ;
პირველი ურდი ვერდანდიც (ჭრიდნენ წილს)
ხოლო მესამე სკულდი, ბედს ასამართლებდნენ
ცხოვრებაზე ურიგდებოდნენ ყველას, ვინც
დაიბადა, კვანძს ადგამდნენ"...

როგორც ვხედავთ მოყვანილი ტექსტიდან სკანდი-ნაველებს მშვიდობის ხესთან აკავშირებს ქალღმერთები, განსა-ცვიფრებელია რომ სამივე ქალწულს მეგრული სახელები აქვთ: ურდ- არ აღმოცენებული, ვერდანდი- არ გაზრდილი, სკულდი-სკირდი, გამშრალი. ხეთების აღწერილობაში ასევე ლაპარაკია სამ ხეზე და სამ წყაროზე. ამის გარდა მითში ბუნების „ გახსნა"(იხ. ზემოთ) მონაწილეობს ქალღმერთი კემრუსეპა, რომელიც ხეთებში დაკავშირებულია ბედის მაგიასთან.

„იქამდე სანამ ის (ფუტკარი) მოფრინდა ქალღმერთ ხანიორნანიმ სამი წყარო (წყალსაცავი) შექმნა: (ერთი) რომლის თავზეც დგას ხე იპპი. მეორე, რომლის ქვეშ ხის ხუპარა (ხის ჭურჭელი), (მესამე), რომელშიც ცეცხლი ანთია. ზის პრაბაბკა თავის წინ და იყურება. მოფრინდა ფუტკარი და ხის ხუპპარი შიგნით ჩადო თავისი საწმისი, მოვიდა ღვთაება მიადაციპა და იპპის ხის ქვეშ დაჯდა."

მოცემულ შემთხვევეში კამრუსეპის ამოცანა იყო ეპოვნა დაკარგული ღმერთი სამყაროებს შორის, რაც ვერ მოახერხეს სხვა ღმერთებმა მან შეძლო განეხორციელებინა მაგიის შეღწევა სხვადასხვა სამყაროში. ამიტომ ხე იპპი შეძლება დავუკავშიროთ ციურ სამყაროს, ხის ჭურჭელი ხუპარუ მიწის, ხოლო ცეცხლი-მესაბსამისად ქვე სამყაროს.

შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი რომ სიტყვები იმის შესახებ, რომ ფუტკარმა ჩადო თავისი საწმისი(შესაძლებელია სხეული)

ხის ხუპარაში- მაჩვენებელია იმისა, რომ დაკარგული ღმერთის ტელეპინუსის საძებნად მიემართება მისი სულიერი მხარე, ხოლო მატერიალური ინახება ხის ხუპარაში.

მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხის არსებობას ევროპაში მიგვითითებენ მრავალი მეცნიერები: რომის პოლიტიკოსი და ისტორიკოსი, რომის ელჩი ესპანეთში (116-27წ.ჩვ. წ. ა.) მარკუს ტერენციოს ვარონი ამტკიცებდა, რომ ესპანეთში იბერიელები მოვიდნენ საქართველოდან.

პლუტარქე ვარაუდობდა, რომ ეტრუსკების მონათესავე ხალხი მიეკუთვნებიან მათ წინაპრებს, კერძოდ- იბერიულ კავკასიის ხალხს.

ხოლო პიგანიოლი თავის ნაშრომებში ამტკიცებს, რომ ეტრუსკები ხალიბების(მეგრელ-ლაზები) შთამომავლები არიან.

გორდონ ჩაილდი: ამ დროისთვის ზუსტად არის დადგენილი რომ დაახლოებით მე-14 ს. ჩვ. წ. ა. რკინის გამოდნობა პირველად ისწავლეს ხალიბებმა, მცხოვრები მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში. ზუსტად ამ ტომების დასახელებიდან წარმოიშვა ლათინური სიტყვა ხალიბუს - ფოლადი. რუსულ ენაში მასზე მიგვითითებს ისეთი სიტყვები როგორიცაა :"კალიბრ", „კალიბროვკა".

## მეგრელ - ლაზები

ძველი ადამიანი ყველაზე მეტად ღებულობდა მონაწილეობას ბუნებრივი ნივთერებათა წრებრუნვაში. ის შეიგრძნიბდა მას გამძაფრებულად რომ ის არის ბუნების ნაწილი. ჩვენი ძირძველი წინაპრები გრძნობდნენ არამარტო ამ სამყაროსათვის მისადაგებას არამედ შეიძლება ითქვას გაგებული ჰქონდათ ყველა უნიკალური მდგომარეობა მასში. რწმენა ეს არის უმთავრესი ნაწილი ადამიანის მსოფლმხედველობისა ცხოვრებისეული პოზიციის, დარწმუნებული ეთიკური და ზნეობრივი წესებით რომელშიც ის ცხოვრობს. ქვემოთ მოყვანილში ჩვენ ვნახავთ თუ როგორი შეუპოვრობით შეჰქონდათ თავისი ღმერთები პირველ მიწათმოქმედებს, ღვთისმსახურების კულტურა მთელი სამყაროს ყველა კუთხეში, მათ სჯეროდათ რომ ღმერთების კეთილდღეობა და მათ მიერ შექმნილი სამყაროს შენარჩუნება დამოკიდებულია ხალხზე.

ზუსტად ის პირველსაწყისი, რომელსაც ადიდებდნენ ჩვენი წინაპრები: მსოფლმხედველობის კანონების განდიდება, განდიდება მეგობრობის და სიყვარულის კანონებისა, მსოფლიოს იდეის, ჰუმანიზმის, და სამართლიანობის, მდგომარეობდა

მათ ცხოვრებაში ძირითად აზრად. აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ საინტერესო მაგალითი მსოფლიოს იდეის განდიდების საბაბის მიზნით. ცნობილია რომ მეგრელების ენობრივ რწმენას ეწოდებოდა „წარმარტთ." წარმართ სიტყვა სიტყვით ნიშნავს სწორ წამწამებს ანუ სწორ ხედვას, სამართლიანობის განდიდებას. უნდა ითქვას რომ ძველი მეგრუ-ლაზურენოვანი ხალხის დანიშნულებად ითვლებიდა ყველგან და ყოველთვის სიმართლის განდიდება. უფრო მეტიც ისინი თვლიდნენ თავიანთ თავს ბუნების განუყოფელ ნაწილად, რაზეც მეტყველებს ძველი მეგრული ლექსი:

„მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი, ხოლო ხვიჩა- ხვიჩა ვარსკვლავები- ძმები და დები ჩემი"...

აი კიდევ ერთი მტკიცებულება მზის, მთვარის და ვარსკვლავების კულტი გამოიხატა ძირძველ მეგრულ კვირეულ კალენდარში:

| მეგრულად | სვანურად. |
|---|---|
| ორშაბათი- ტუტაშხა- მთვარის დღე. | დელიტიში |
| სამშაბათი- ტახაშხა- მარსის დღე- | ტახაში |
| ოთხშაბათი- ჯუმაშხა- მერკურის დღე. | ჯგმაში. |
| ხუთშაბათი- ცაშხა- ცის დღე. | ცააში. |
| პარასკევი- აბიშხა-ვენერას დღე. | ვებიში. |
| შაბათი-საბატონი- ეშმაკის დღე. | ბსაბნტგნი. |
| კვირა- ჟაშხა- მზის დღე. | |

აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ მეგრული წლის კალენდარის თვეების დასახელება განსაკუთრებულია. აქ თითქოს ყველა თვის დასახელება გვკარნახობს ბუნების მოქცევის ხასიათებს:

| მეგრულად: | ლაზურად: |
|---|---|
| იანვარი-გურუ(მკვდარი) | ცინაგანი |
| თებერვალი-ფურ(ცუდი) | კუნდურა |
| მარტი-მელან(მოლიპული) | მირკანი |
| აპრილი-პირელ(აყვავება) | იგრიკა |
| მაისი-მეს | პუკირობა |
| ივნისი-მანგ(სწორი) | ხცალა |
| ივლისი-კვირკვე(მწვავე მზე) | ჩხალა |
| აგვისტო- მარაშნა(მოგონება) | ჩხალა |
| სექტემბერი-ეკენია(არსებულის აღება) | გაიმატუტა |
| ოქტომბერი-გუმმა | |
| ნოემბერი_გეორგობა(გიორგობის თვე) | ცილვა |
| დეკემბერი_კირსე | ხრისტანა |

მეგრელებში დღევანდელ დროში მზე და რძე სახელდება ერთი სიტყვით - ბჟა. ეს დაკავშირებულია მეგრულ-ლაზურენიბრივი ხალხების კოსმოგონიასთან: ხათების, ხამიტების, ხურების. (ძროხამ მზისგან დაბადა ადამიანი და ყველაფერი ეს გაერთიანდა ერთ სიტყვაში- ბჟა).

დღეს მეგრელ-ლაზები კომპაქტურად ჩასახლებულნი არიან საქაეთველოს დასავლეთ ნაწილში შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით, მდ. ფსოუდან (ადლერი) ქ. ტრაპეზუნამდე(თურქეთი). ეს მცირე ნაწილია იმ ტერიტორიის რომელიც ადრე ეკავა კოლხეთს(აიას).

ჩვენამდე მოსული ბერძნული ლიტერეტურის ნაწარმოებებიდან „აია", გვხვდება 7-6 საუკუნებში(ჩვ.წ.ა.) ლირიული პოეტის ნ. ე. მინიმერმის პოემაში „ნანო". უფრო გვიანი პეროდოტეს ძველ ბერძნულ ლიტერეტურაში აია ფიგურირებს რიგორც მთელი ქვეყნის სახელწოდება(კოლხეთი). ამაზე გვამცნობენ ჩვენ სტრაბონი, სტეფანე ბიზანტიელი, აპოლონი როდოვსკი. ყველაზე შესამჩნევია ის რომ აიას ქვეყანაში მთვარ და ყოვლისშემძლე, ადამიანის წარმოშობისა ითვლებოდა ღმერთი აია. იქმნება ვარაუდი რომ პირველი მკაფიოდ გამოხატული ბგერები....ააააა, ეს იყო პირველი ადამიანის მიმართვა უმაღლესისადმი...აია.შესაბამისად. იმ ქვეყანას სადაც გაჩნდა ღმერთი აია უწოდებდნენ აიას.

თავის წიგნებში დევიდ ლენგი წერს: " ლაზური და მეგრული ენები ფართოდ იყო გავრცელებული მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. უფრო ადრე შუასაუკუნეებში, დაწყებული მე-7 საუკუნიდან ქართველეები, აღმოსავლეთიდან, სურამის გასასვლელის გავლით, შევიდნენ კოლხეთში, და გაემართნენ კიდევ უფრო შორს შავი ზღვისკენ, პირდაპირ აჭარის და გურიის, თანამედროვე რაიონებში. შედეგად ლაზური და მეგრული ენები განვითარდნენ დაყოფილი მიმართულებით.

ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლაში აუცილებლად უნდა ჩავრთოთ ლაზისტანი, ფართო ზოლი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებიდან, დასავლეთით ტრაპეზინიდან, აგრეთვე აღმოსავლეთით მდ. ჩოროხის სათავეებიდან, შორს ბეიბურტამდე და ტერიტორიებამდე განლაგებული ქალაქებს შორის კარსის და არდახანის ციხესიმაგრეების შორის, ერზერუმის სამხრეთ-დასავლეთით. მე-11 ს. თურქსელჯუკების შემოჭრამდე, ამ მთიან რაიონში, ამჟამად შესული თურქეთის რესპუბლიკაში, მთავარ როლს თამაშობდა კულტურული-ლინგვისტურ და

ეთნიკურ განვითარებაში.

შემდეგში ის წერს:" უმრავლესობა ქართველს აქვს შავგვრემანი ან მოყვითალო კანი და მუქი თმები, აგრეთვე გვხვდება ქერებიც. უმრავლესობა ყავისფერ თვალებაა, მაგრამ 30%-ს ცისფერი თვალები აქვს. ჩვეულებრივ ისინი საშუალო სიმაღლის არიან, გამოირჩევიან ათლეტური და მოქნილი ტანისწყობით. აღმოსავლეთ ქართლის და კახეთის პროვინციის მოსახლეობას აქვთ გამორჩეული არწივის მსგავსი ცხვირი და მაღალი რკალისებური თავის ქალა. დასავლეთ საქართველოში უფრო გავრცელებულია სწორი, თხელი ცხვირი თუმცა საერთო სახის გამოსახულება მოგვაგონებს ხმელთაშუაზღვის ტიპის ვარიანტს, და ეხლა გავრცელებულია სამხრეთ იტალიაში და საბერძნეთში. როგორც დღევანდელი ანატოლიელი გლეხები ისე ქართველები წარმოადგენენ ეთნიკური შერევის შედეგს, რომელიც ხდებოდა რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში.

ამ ბუნებრივი პროცესის მიმდინარეობაში, საწყისი სუბტრატი გადაიკეტა რიგი ტალღებით, შემოჭრილი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიდან.

თანამედროვე თურქეთში გავრცელებული ეთნო ტიპი, მაღლა აწეული, არწივის ფორმის, მას არაფერი საერთო არ აქვს წვრილთვალება თურქ-მომთაბარეების წარმომადგენლებთან ალტაიდან. მაგრამ ძალიან მოგვაგონებს ძველი ხეთების ფრესკებზე გამოსახულ პერსონაჟებს".

აი რას გვამცნობენ არქეოლოგიური გათხრები: აშელის ნამოსახლარის კვალი, ხელის ნაჯახები, შავი, წითელი, სერი აბსიდიანასგან ნაპოვნი ჯერ კიდევ 1933წელს.

საბჭოთა გეოლოგი ა.პ. დემეხინის მიერ." არქეოლოგების ს.ნ.ზამიატინის და მ.ზ. პანიჩკინის გათხრები. მრავალრიცხოვანი აშელის მონაპოვართა ერთობლიობა, გაგრასა და სოხუმს შორის და შავი ზღვის სანაპიროზე წარმოებული გათხრებსა და იმათ შორის რომელიც აღმოჩენილია სამხრეთ ოსეთში, უშუალოდ სამხრეთისკენ, კავკასიის ქედიდან, ეს კვალი, აშელის კულტურისა სომხეთში მოწმობს მნივნელოვან თუმცა გაფანტული, მოსახლეობის არსებობაზე მთლიან კავკასიაში, 400ათასწლეულებსა და 100ათასწლეულებს პერიოდში ჩ.ა. აღ.

სმოხეთისა და დას. საქართველოს ტერიტორიებზე, ბოლო 25 წლის განმავლობაში დემონსტრირებულია აბევილური კულტურის ფართო არსებობა, რომელიც თარიღდება 400-500 ათასწლეულები. თურქეთში თურქების და საბჭოთა არქეო-

ლოგების მიერ ჩატარებულმა გათხრებმა უფრო გააღრმავეს ჩვენი წარმოდგენა იმ დროის ყველაზე ადრეულ ადამიანის ნამოსახლარზე კავკასიის რეგიონში.

კოლხეთის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია ''რიტუალური კერები". რომლის გარშემო ტარდებოდა კულტურული ცერემონიები „ცხვრის მსხვერპლშეწირვა" დათარიღებული მე-6 ათასწლეულით ჩვ.წ.ა. „იმირის გორაზე" და „მელიგელეში" აღმოჩენილია სპეციალური შენობები კულტის გასაგზავნად, პრიმიტიული ტაძრები, აშენებული 5-7 ათასწლეულებში, ჩვ.წ.ა.

ამ არქეოლოგიური მონაპოვრის დამადასტურებლად მომყავს ამონაწერი „არგონავტებიდან".

თუ როგორ ხვდება იაზონის ხალხი ერთ ერთი კოლხეთის ტაძრის ქურუმს, გაძევებულს და გადასახლებულს დაუსახლებელ კუნძულზე, მეფე აიეტის მიერ ( 3-4 ათას.წ.)

ძველბერძენი ისტორიკოსები ჰეროდოტე, აპოლონი, როდოსკი ერთდროულად კოლხეთს უწოდებენ აიას. ძველბერძნულ ლიტერატურაში აია ფიგურებს, როგორც მთლიანი ქვეყნის სახელწოდება სინონიმით კოლხეთი. ჰომეროსის გარდა ქვეყანა აია ნახსენებია ლირიული პოეტის 7-6 ს. ჩვ.წ.აღ. მინიმერმას პოემაში „ნანო". ბერძენი მეცნიერების ერთი ჯგუფის (ეგგემერისტები), ხერაკსა,პერგამსკი,ესტაფი, დესალოკიმსკის მტკიცებით, „ოქროს საწმისი"- ეს არის ოქროს დამწერლობა პერგამენტზე, ხოლო მეორე ჯგუფი იოანე ანტიოქიელი და პილაფეტი ამტკიცებენ რომ დამწერლობა შესრულებული იყო ბატკნის ტყავზე.

ჩემი ვარაუდით ეს „დამწერლობაა ბატკნის ტყავზე" ეს უდავოდ კოლხეთის სამეფოს კანონთა კრებულია. „ ოქროს საწმისი", სიტყვა (ზოლოტოე რუნო) „რუნა" არ არის ბერძნული და არ მიეკუთვნება ინდოევროპილ ჯგუფს. როგორც ჩანს ეს მეგრული სიტყვაა. ოქროს საწმისი-ოქრო რინა, სადაც ოქრო-ოქროა, რინა-ცხოვრებაა. „ოქრო-რინა"-ეს არის კანონთა კრებული სადაც შედიოდა ხალხის ცხოვრების კანონები:

კანონი - „ადატი", კანონი - „ხატი", სწავლება ღმერთზე - ეფუტ", და ასევე სწავლებები: სპილენძის და რკინის წარმოება. აგრეთვე კანონი მიწის სარგებლობის შესახებ და წამლების მომზადების ტეხნოლოგია.

კანონი - „ხატ" -ეს არის მართლმსაჯულების კანონი.

კანონი „ადათ"-სამართალდამცავი და საზოგადოებაში

მოქცევათა ნორმის კანონია. (მაღლა ნათქვამია სიტყვების რინა; არინას მნიშვნელობები.ეპუტ-სწავლება ღმერთზე, საიდანაც ქურუმები მოიპოვებდნენ ცოდნას ღვთის მეტყველებაზე, სწავლობდნენ წერას, კითხვას, წინასწარ მეტყველებას, მკითხაობას, ასევე ასტრონომიას, მედიცინას, მატემეტიკას და ა.შ. რინა ძალიან გავს სიტყვა რუნის. რუნი-სკანდინაველ ქურუმებს ეწოდებოდა.

ძალიან დიდ ინტერესს წაარმოადგენს ქსენოფონტის ცნობები იმის შესახებ, რომ მის მიერ აღწერილი მოვლენები კოლხეთში (401 წ.ჩვ. წ.ა.) მეფობდა აიეტის მემკვიდრე.

ბერძენი ისტორიკოსის ეს შეტყობინება იმით არის საინტერესო რომ ეს პირდაპირი დამოწმებაა კოლხეთში მე5 ს.ჩვ.წ.ა. მეფის ხელისუფლების არსებობის და რომ კოლხეთის მეფეები თვლიდნენ და უწოდებდნენ თავიანთ თვს აიეტიდებს, ე. ი. მეფე აიეტის, მზის ღმერთის შვილის მემკვიდრეებს. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ მეფე-აიეტები მეფობდნენ ჯერ კიდევ 5 ათასწლეულის დასაწყისში - სახელმწიფო აიაში. ამაზე დაზუსტებით ქვემოთ არის მოხსენებული.

ძველი ეგვიპტის ლინგვისტები თეთრი რასის აბორიგენულ ტომებს უწოდებდნენ ბერბერებს (იბერი), ხამიტებს. სახელწოდება ხამიტები ძალიან გავს ხათებს. აქ უნდა გავიხსენოთ ისტორიის მამის ჰეროდოტის სიტყვები: „ კოლხები ეგვიპტელები არიან, მე გამოვთქვამ ამ აზრს თვითონ, მისული მასთან ადრეც, ვიდრე სხვებისგან გავიგებდი, და კოლხებს უკეთესად ესმოდათ ეგვიპტელების, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხების...დავასახელებ კოლხების და ეგვიპტელების კიდევ ერთ მზგავსების ნიშანს. მხოლოდ ისინი ამზადებდნენ ტილოს ერთნაირი ხერხით. ასევე მთელი ცხოვრების წესი და ენაც მზგავსი ჰქონდათ. ელინელებში მართალია, კოლხურ ტილოს უწოდებდნენ სარდონულს, ხოლო ეგვიპტიდან ჩამოტანილს-ეგვიპტურს". აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მთელ მის გზაზე ეგვიპტიდან კოლხეთამდე, ჰეროდოტე ვერ პოულობს ხალხს რომელსაც მზგავსება აქვთ ეგვიპტელებთან. მაშასადამე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იმ დროს ჰეროდოტეს მოგზაურობისას (მე5 ს.ჩვ. წ.ა.) ამ ადგილებში მოსახლე მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხი უკვე ასიმილირებულნი იყვნენ.

ინგლისელი მეცნიერი დევიდ ლენგი „არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად ჩატარებული მე20 სკ.ს მეორე ნახევარში ზუსტად გვიჩვენებს, რომ საქათველო არის ერთ-

ერთი იმ რაიონებიდნ, სადაც ხდებოდა ადამიანის ჩასახვა მთელ პლანეტაზე. პირველყოფილი ადამიანის ევოლუციის და განსახლების პროცესები გრძელდედოდა ძირითადი პერიოდების განმავობაში ისტორიამდელ და დამწერლობით დროებამდე".

ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური მონაპოვრები საქართველიში: საქართველო გამოთქვამს პრეტენზიას იმის შესახებ რომ ის უნა ჩაითვალოს პირველი ევროპელების წინაპარ სამშობლოდ და რათქმაუნდა ევროპული ცივილიზაციის ფუძემდებლად.

ფუძედ პირველყოფილი ქართველების წამოწევისა, ევილუციის პირველ რგოლში, ხელი შეუწყო ქ. დმანისის მახლობლად მთებში აღმოჩენილმა მონაპოვრებმა, გაკეთებული 1999-2001 წლის ჩათვლით. იქ აღმოჩენილია ძვლები რომელთ ასაკი როგორც მეცნიერებმა ჩათვალეს, თითკმის 1.8 მოლიონო წელია. კონკრეტულად მოხერხდა 6 თავისქალის და ჩონჩხების ნეშთების ამოთხრა. მიღებულია რომ ყველაზე უძველესი ძვლები, რომლებიც ნაპოვნია აფპრიკის საზღვრებს იქით, სადაც მიღებულია, რომ მილიონი წლის წინ მაიმუნებმა მიიღეს პირველი ადამიანის ნაკვთები და თვისებები. ადამიანის მსგავსი ქართველები იყვნენ დაახლოებით მეტრანახევარი სიმაღლის, იწონიდნენ 50 კილოგრამს, ტვინის მოცულობა 2-ჯერ ნაკლები ვიდრე დღევანდელი დაახლოებით 600 კუბური სანტიმეტი. მაგრამ შეეძლოთ გაეკეთებინათ შრომის იარაღები, ნადირობდნენ, იმარაგებდნენ ხორცს, და საკვებად ვარგის მცენარეებს.

რაშია აქ საკუთრივ საქმე? არსი ამ საქმისა გაგვაცნო საქართველოს ნაციონალური მუზეუმის დირექტორმა პროფესორმა დავით ლორთქიფანიძემ, როდესაც ის გამოვიდა სიტყვით ბრიტანეთის მცნიერებათა ფესტივალზე. მისი თქმით, დმანისის ახლომახლო მონაპოვრებმა გააქარწყლეს მოძველებული შეხედულებები. მიღებულია რომ წინაპრები მოხვდნენ ევროპაში აფრიკიდან მილიონი წლის წინ და რომ მათ უკვე თანამედროვესთან ახლო სახე ქონდათ. და რომ შეეძლოთ სხვადასხვა შრომის იარაღების დამზადება. გამოდის რომ მოვოდნენ უფრო ადრე-თითქმის 800 ათასწლეულით და ჯერ კიდევ მაიმუნებს გავდნენ.

მეცნიერები ეხლა არ გამორიცხავენ, რომ მთელი ევროპული ცივილიზაცია წარმოიშვა ადამიანის მზგავსი ქართველებისგან, რომელნიც დროთაგანმავლობაში ჩამოსახლდნენ მთებიდან.

ნაწილი დაბრუნდა აფრიკაში და იქ ამაღლდა ევოლუციის რამდენიმე საფეხურით. მაგრამ შემდეგ ისევ დაბრუნდა ევროპაში მაგრამ ნაწილი დარჩა. ასე რომ ნამდვილი ძირძველი ქართველები, ისინი არიან რომლებსაც მოყავს თავისი გვარი წინაპრებიდან ნაპოვნი დმანისში. დანარჩენები მოსულები აფრიკიდან გადმოსახლებულების მეორე ტალღა.

გორდონ ჩაილდი: დღეს დღეობით საყოველთაოდ ითვლება რომ მსხვილ მასშტაბებში რკინის დნობის ყველაზე ადრეული ცენტრები მდებარეობდა სადღაც ხეთების სამეფოში, მცირე აზიის ჩრდილოე ნაწილში. ცნობილია, რომ ხეთების გამოჩენამდე რკინას უკვე ადნობდნენ ძირძველი ხალიბი ხალხი, რომლებიც ცხოვრობდნენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზუსტად ამ ტომების სახელწოდებიდან წარმოიქმნა ლათინური სიტყვა „ხალიბუს"- "ფოლადი".

მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები ქალბატონი სონია კოული, ვიქტორ ხენი, ედვერდ ხაიამსი, დევიდ ლენგი და სხვები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ წინა სამშობლოდ ხორბლის მარცვლეული მცენარეების: ერთმარცვლოვანი გარეული ორ რიგიანი ქერის და ღვინის სამშობლო არის კოლხეთი.

„თავის წიგნში „ნეოლითიკური რევილუცია" ქალბატონმა სონია კოულმა აჩვენა, რომ სომხეთი და საქართველო (სომხეთის და საქართველოს ტერიტორიები) შედიან თანამედროვე მარცვლეული კულტურების წინასამშობლოს რიცხვში. სომხეთი ფიგურირებს იმ გათხრების რიგში სადაც პირველად იყო აღმოჩენილი უბრალო ხორბალი ცნობილი როგორც „ერთმარცვლოვანი", და ასევე გარეული ორ რიგიანი ქერისა.

ყველა ნეოლიტიკური სადგომების გათხრების დროს სომხეთში და საქართველოში პოულობენ უამრავ მარცვლის დანახშირებულ გადმონაშთებს. ნეოლიტიკური კერამიკა ოდიშიდან, ზუგდიდიდან მორთულია თავთივების ორნამენტებისაგან".

„ერთერთი ყველაზე უძველესი ავტორიტეტი ამ განხრით ვიქტორ ხენი თავის წიგნში „მცენარეების და ცხოველების მოგზაურობა" (1888 წ.) ამტკიცებს, რომ ღვინის ჭეშმარიტ სამშობლოდ ითვლება „ღვთისგან ბოძებული ადგილი", განლაგებული სამხრეთისკენ კასპიის ზღვიდან... კოლხეთში ფაზისში (ქ.ფოთი საქართველო), კავკასიის არარატის და ტავ-რების ადგილებს შორის. ამ რეგიონებიდან ღვინო გავვცელდა

ევფრატის დაბლობებზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ უდაბნოებზე და სამხრეთ დასვლეთის ედემის ბაღებზე.

აი რას ამბობს ამაზე დევიდ ლენგი: „ ბაბილონსაც და ძველ ეგვიპტეს უკვე მე-3 ათსწლეულიდან ჩვ.წ.ა. ჰქონდათ განვითარებული ღვინის წარმიოება; იმდენად რამდენადაც მათ არ ჰქონდათ ადგილობრივი გარეული ყურძენი, მათ უნდა შეეძინათ ეს მცენარე და გადმოეღოთ კეთების წესის კულტურა. მაშინდელ მოვაჭრეებს ჰქონდათ მდიდარი შესაძლებლობა ჩამოეტანათ ეს სასარგებლო მცენარე კავკასიის ქვეყნებიდან თვით მოხმარებისთვის და შემდგომი განაშენებისათვის. რასაც აკეთებდნენ ბერძნები, ჩამოჰქონდათ რა ის კოლხეთიდან“.

ბატონ ედვარდ ხაიამსი ვარაუდობს, რომ ბუნებრივად გადადუღებული ყურძნის წვენის მიღება ანატოლიაში და კავკასიაში შეიძლება უფრო ძველი იყოს ვიდრე ნეოლითის განვითარებული კულტურა.

უნდა ავღნიშნით თუ რას წერს სირილ ალდრედი: „პალესტინაში ჩამოსახლებულებმა მოიტანეს თან ეგვიპტეში ახალი სწავლება მიწათმიქმედება. ისინი თესავდნენ ხორბალს და ქერს მიწებზე, რომლებსაც ატენიანებდა მდინარის ნაკადი“. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა რომ ეგვიპტეში ცივილიზაცია მოვიდა მცირე აზიიდან თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ წინ გველოდება ბევრი არგუმენტები და ტექსტები.

მეცნიერებების გამონათქვამების დასამტკიცებლად გვეხმარება შემდეგი მტკიცებულება. ლორთქიფანიძე: მსოფლიოში ცნობილი მეგრული ხორბლის ჯიში როგორიცაა პიტაკობალი, ირკიში, ჩვე, მახა: (მისანიშნებელია ის, რომ ყველა ეს სახელები მეგრულია)

1) „პიტა-კობალ“, „პიტა“-წვრილი. „კობალ“-პური მეგრულად. „პიტაკობალ“ -წვრილი პური, შეიძლება თარგმნის დროს დაშვებული იყო შეცდომა; არა „პიტაკობალ“, არამედ „პიტაკოპალ“, მაშინ მივიღებთ სულ სხვა თარგმანს რაც, ჩემი აზრით უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან. „პიტაკოპალ“, სადაც „პიტა“-წვრილი, „კოპალ“ -აღმოცენდა, დაიბადა, გაიხარა.

   „პიტაკოპალ“-პიტა ალმოცენდა შემდეგ ჩვენ უფრო მეტ დეტალებში გავიგებთ სიტყვის მნიშვნელობას. პალი, პალნს - გაიფურჩქნა.
2) „მახა“-„მა“-მე. „ხა“-დაბადება. მახა -მე დავბადე, მე გავზარდე.
3)“ჩვე“ მოსავალი. ჩვალუა მოსავლის აღაბა-მოწველვა.

4)"ირკიშ"-ძალიან უხეში, მაგარი."

ისტორიიდან ცნობილია მეგრული ჯიშები ძროხის, ცხენის, ფუტკრის და ასევე უველესი ყურძნის ჯიშები: ტერეკუჩხი, ხარდანი. უნდა ავღნიშნოთ რომ ჩამოთვლილ დასახელებებში ხშირად ფიგურირებს „ხა", „ხი", „ხუ" რაც მეგრულად ნიშნავს დაბადებას, გაზრდას. აქ უნდა ავღნიშნოთ რომ ყველა წარმართი ღმერთები და ღვთიური ადგილები, ყველა ძველ ხალხებში ბუდისტების და ინდუსები ჩათვლით შეიცავენ ღვთიურ ბგერებს „ხი", „ხუ", „ხა". ხანაური სახელები: ხა-ცორ , იე-ხუ, დარმე-ხე, სულ-ხე. ამის შესახებ დაწვრილებით 72 გვერდებზე. იესოს სახელი ებრაულ ენაზე-იეშუა-იშუა, რაც ქართულად დაბადებას ნიშნავს. ებრაული ღვთის დამწერლობა- ტანხუ ტენა-ხუ მეგრულად ნიშნავს - ეს დააბადა.

ცნობილია, რომ „ხუ"- ს ძველი ეგვიპტელები თვლიდნენ ღვთიურ სიტყვად, ხუ-ტიბეტურად, უმაღლესი მანტრაა. შემდეგში მოვიყვანთ შედარებებს თუ როგორ ჩანს მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხის თვით დასახელება ამტკიცებს მათ პირველ საწყისს და რაც მთავარია ღვთიურ დანიშნულებას დაბადოს, გააჩინოს, გამრავლდეს, დათესოს, შექმნას:

ხათები. ხა-თი; ხა-დაბადება; თი-თოვლი. ხათი-თოვლივით გამარვლება.

ხალიბები. ხა-ლიბ. 'ხა"-დაბადება; „ლიბ"-რბილი. ხალიბები-რბილხელიანების ბადება. პირველი მეტალუტგები.

ხურები. ხურები-თბილები. თბილი, მგრძნობიარე, ხალხისადმი ყურადღებიანების დაბადება.

ხანანები, სადაც „ხა"- დაბადება. „ნანი"-ნანა-დედა, ხანანები ღვთისმშობლის დედის ქვეყანა.

ხამიტები. ცნობილია, რომ ეგვიპტე ადრე იწოდებოდა, როგორც ხემე (ხემეტია). მდინერე ნილოსი -ხემი. შესაძლებელია ამ ქვეყნის ხალხის ხემეტები და არა ხამიტები. თუ ეს ასეა, მაშინ ხემეტი შეიძლება წავიკითხოთ სხვანაირად:

„ხე"დაბადება. „მეტ"-ბევრი. ხემეტ-ბევრის დაბადება

დიაუხი. დი-დიდი, პატივსაცემი, ხი-დაბადება; დიაუხი-დიდად პატივცემული

ტაოხი. ხი-დაბადება

ხევსური. ხე-ვსური

ერცუხი. ერცუ-ხი (ინგილო, ერეტები)

მოსხი. დაბადება, გამრავლება.

ჯავახე ჯა-ვა-ხე.

ჯავა. ჯა-ხე

ლეჩხუმ. ლეჩ-ხუ-მ

ცახური. ცა-ცა, ხუ - რი; თბილები.

პალი. გაზრდა, გახარება, გამრავლება, როგორც სარეველა.

პელაზგი. პე-ლაზ-გი; გი -მზგავსი; პელაზგი-ლაზების მსგავსი.

აბაზგი. ა-ბაზ-გი; ბაზ - ლაზ; გი-მსგავსი; აბაზგი-ლაზების მსგავსი.

მარგალ. მთესველი (ადამიანი რომელიც რგავს, თესავს) ალბათ ამან შეუწყო ხელი, რომ მეგრელებს უწოდეს-გე-ორგია-ჯორჯია. რაც ძველ ბერძნული ნათარგმნიდან ნიშნავს-მიწათმოქმედს. ისტორიაში მარგალები ცნობილი არიან კიდე როგორც: მაკრონები, მანები, მანრალიები.

კასკი. კასკები. „კა"-რქა, მაგარი; „კა"- კაკალ-მარცვალი.„სკი"-დადება (კვერცხი), დაბადება. კასკი - ძლიერების დაბადება.

მანი. მა-ნა, სადაც „მა"-მამა (მამა). „ნა"-ნანა-(დედა). ნანა-ოჯახი;

მანა: დჟა - დო - ქარი ძალა - მეგრულად.. მანა - ჯადოქარი ძალაა; ინგლისურად, ინდიურად, ტიბეტურად,რუსულად და. ა შ.

ლაზი. ლა-ზ: „ლა"- ვარდნა, დაბლა დაშვება. „ზ"-ზალა, შემოქმედება,

ზელვა. ლაზ-ქვემოთ დაშვებული შემოქმედებისთვის.

იბერიელები-ხა-იბირი; ხა-დაბადება,იბირი-იმღერე; ტომები ხა-იბირები სიტყვა-იბირი არ ეკუთვნის არც ინდოევროპულს და არც სემიტურს ენათა ჯგუფს.

ხა-იბირები კალდებთან ერთად ცხოვრობდნენ მდინარის ხაბურის ირგვლივ არხთან ახლოს. ვფიქრობ, რომ სახელწოდება ხაბური ჩვენამდე მოვიდა ინდოევროპელი უცხოელებისაგან. ადგილობრივი ტომი ხა-იბერები ერთმნიშვნელოვნად უწოდებდნენ თავის მდინარეს ხა-იბირის. ძირძველმა მოსახლეობამ დაარქვა ამ მდინარეს არა ხაბური,არამედ ხა-იბირი და შესაბამისად თავიანთ თავსაც ასე უწოდბდენ. შეიძლება ვივრაუდოდ,რომ ესენი იყვნენ მეგრულ-ლაზურენობრივი ტომები. ერთი ნაწილი გადავიდა ჩრდილოეთსში (მე-4 ათასწლეული რვ.წ.ა.) და უწოდეს თავის თავს იბერები,მეორე ნაწილი წავიდა სამხრეთისკენ და უწოდეს თავის თავს ებრაელი.რა თქმა უნდა გადაადგილებამ და სხვადასხვა ტომებთან შერევამ გამოიწვია ხა - იბირების ენის შეცვლა. ცნობილია,რომ ჰეროდოტი უწოდებდა ხა-იბირებს - ებრაელ იბერებს.

მოვიყვან კიდევ ერთ ხეთების ლურსმულ დამწერლობის ამონაწერს ო.რ. გარნის წიგნიდან "ქურუმებს შეეკითხეს რა

მოხდა?და მათ მოყვეს:"...ნადიმი უგულველყოფეს, სიტტარი? (მზის დისკი) არ შეალამაზეს." ჩვენ ვხედავთ,რომ სიტყვის მნიშვნელობა "სიტტარ" გარნისთან კითხვის ნიშნის ქვეშ არის. ჩემი შეხედულებით გარნი ალბად ფიქრობდა,რომ არაზუსტად მიუთითა სიტყვის მნიშვნელობა"სიტტარ"-მზის დისკი და ამიტომაც დაესვა კითხვის ნიშანი.

სიტყვა „სიტტარ" მეგრულად ჟღერს როგორც „საშ-ტარ,ცაშტარ," რაც თარგმანში ნიშნავს ცის დისკი, გვირგვინი."ცაშ-ტარ," "ცა"-ცაა, „ტარ"-„ატარ" ღერძი, დისკი თებში.

ის რომ პირველი რელიგიური რწმენის ჩანასახი მოდის ღმერთი აიას მიწიდან (კოლხეთი), შეიძლება გავითვალისწინოთ ო.რ. გარნისთან: „მზის ქალღმერთ არინას წარმოადგენდნენ როგორც „ხათების მიწის დედოფლის, დედოფალს ცის და მიწის, მეფეების ქალბატონს და ხათების მიწის დედოფალს, რომელიც მიმართულებას აძლევდა მეფეს და დედოფალს ხათების მმართველობაში." ის გახდა ხეთების სახელმწიფოს და მონარქიის უმაღლესი მფარველი; სახელდობრ, მას მიმართავდა მეფე პირველრიგში დახმარებისთვის ომის დროს და როდესაც სახელმწიფოს კეთილდღეობა საშიშროების წინაშე იდგა. მეფე მუვატალი (ტექსტი ხათების ლურსმულ დამწერლობიდან მე-2 ათასწლეულის. ჩვ.წ.ა.) მიმართავს მას შემდეგი ლოცვით.

„ციურო მზის ღმერთო, ბატონო ჩემო
მომწყესე ადამიანური გვარი!
შენ ამოდიხარ ციურო მზის ღმერთო,
ზღვიდან და ადიხარ ცაში,
ო ციურო მზის ღმერთო, ბატონო ჩემო,
ყოველდღიურად მართლმსაჯულების კანონის
ზევით დგახარ ადამიანის ძაღლის,
ღორის და გარეული ცხოველების თავზე".

რატომ არის ნათქვამი, რომ მზის ღმერთი ამოემართება ზღვიდან? ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, ჩვენს წინაშეა მტკიცებულება იმისა, რომ მზის ღმერთის ხოტბის კულტი არ ჩასახულა ანატოლიაში ის იყო შემოტანილი ვიღაც ხალხისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ სანაპიროზე. ცნობილია, რომაღმოსავლეთსანაპიროზე(შავიზღვა)ცხოვრობდნენმეგრელ-ლაზები და ჰქონდათ კარგად განვვითრებული სახელმწიფო-აია. ხეთების სამეფოს წარმიქმნამდე. ყველა ირგვლივ მცხოვრებნი მეგრელ-ლაზურენოვანი ტომები მიბაძავდნენ მათ ყველაფერში. მათი ცხოვრების წესებს თვლიდნენ ღვთიურად.

მათი ღმერთები ხდებოდნენ ხათების და ხურების ღმერთებად. შედეგად ინდოევროპელი ტომების შემოსვლასთან ერთად იცვლება ზოგიერთი ღმერთის დასახელება. რომელიღაც რჩება შეუცვლელად. არინა, ადგილობრივი ხათების ქალღმერთია.

ა.ვ. ვოლკოვო, ნ. ნ. ნეპომნიაში თავის წიგნში ადასტურებენ; „და მაინც ხეთების ორ ღმერთს შორის უნდა გამოვყოთ განსაკუთრებულად. უპირველესად, „ხათების ქვეყნის დედოფალი, დედოფალი ცის და მიწის, ხათების ქვეყნის მეფეებისა და დედოფლების მბრძანებელი"-არინას მზის ქალღმერთი. ეს არის ადგილობრივი პროხეთური (ხათური) ქალღმერთი. ჩვენ არ ვიცით მისი ხეთური სახელწოდება, ვიცით მხოლოდ ხათური: ვურუსემუ. ის უფრო ძლიერია ვიდრე ჭექა-ქუხილის ღმერთი. ეს მიგვითითებს მის ძირძველ წარმომავლობაზე. მის მიმართ თყვანის,მცემლობა აღმოცენდა ჯერ კიდევ მატრიარქატის ეპოქაში. ზუსტად მას მიმართავდნენ ხეთელი მეფეები, უპირველესყოვლისა მაშინ, როდესაც ქვეყანას აწყდებოდა უბედურებები. მისი კუტურის ცენტრად იყო ქალაქი არინა (არქეოლოგებმა ჯერ ვერ იპოვეს ეს ქალაქი) ამ ქალაქში მოხვედრა შეიძლებოდა ერთი დღის განმავლობაში ხატუსიდან".

ის რომ არინა ხატების ქალღმერთია, შესაბამისად ქალღმერთი მეგრულ-ლაზურენივანი ხალხისა ამტკიცებს თვითმნიშვნელობა ამ სიტყვისა მეგრულ ენაზე. ამის გარდა დღევანდელ დღეს უამრავი დასახელებაა ადგილებისა მსგავსი დასახელებებით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (ძველი აზიის ტერიტორია). არინა; ა - რინა; აი ცხოვრება, აი ღვთისნაირი ცხოვრება. სწორედ ეს სიტყვა იხსენიება აიეტის კანონში. „ოქროს საწმისი" –„ოქრო რინა; მეფე აიეტის ცხოვრების ოქროს კანონი. არინა რომ მეგრულ ლაზურენოვანი ხალხის ღმერთია ადასტურებს შემდეგი მეგრული სახელწოდებები:

ნახარინა ნაირის ძველი დასახელება. ნახა-დაბადება; რინა-ცხოვრება. ნახარინა- ადგილი დაბადებული კარგი ცხოვრე-ბისათვის.

აჩარა (აჭარა) რაც მეგრულად ნიშნავს: აჩარა-აი სანუკვარი ცხოვრება, ადგილი სანუკვარი ცხოვრებისთვის.

აიმარა-„აია-(მა)-რა. „აია"-ღმერთი აიაა. „რა"-მზე „აიმარა" -მზის ღმერთის აიას ადგილი.

ახუცა-ა-ხუ-ცა; ა-ადგილი; ხუ-დაბადებული; ცა-ცა. ახუცა-ცით დაბადებული ადგილი.

ეშერა; ეშე - მაღლა, რა - მზე; ეშერა-მზის მაღლა: შუმერული

ეპოსიდან ნაცნიბია სამოთხის ცხოვრებაზე ხალხისა რომელიც იქ ცხოვრობდნენ.

არატა; ა-რა-ტა; ა-ადგილი; რა-მზე. ტა-ტუტა-მთვარე. არატა-მზის და მთვარის ადგილი.

ხუმარა-სოფ.კრასნოდარის მხარეში. ხუ-მა-რა; ხუ-დაბადება; მა-მე; რა-მზე,გახარება.ხუმარა-მე მზისგან დაბადებული.

კალდახარა-მთიანი სოფელი დასავლეთ საქართველოში. კალდა-ღმერთი მფარველი კალდუს ხალხში. ხარა- გახარება, ბედნიერი ცხოვრება.

ისტორიიდან ცნობილია,რომ სხვადასხვა დროში, სხვადასხვანაირად უწოდებდნენ მეგრელებს (მარგალეფს): მაკრონები, მანები, არგები, ეგრები. აი როგორ ითარგმნება მანა. მა-ნა,სადაც მა-მამა-მამაა. ნა-ნანა-დედაა. მანა-კაცს და ქალს შორის კავშირი; ოჯახი; არაბუნებრივი ძალა. ძლიერი ოჯახები-ძლიერი ქვეყანა,ასე თვლიდნენ ძირძველი მეგრელები, უწოდებნენ რა თავიანთ ქევაყანას-მანას.

ძველ აღთქმაში ჩაწერილი-(ასევე ენციკლოპედიაში) სიტყვა - პასხა ნიშნავს გვერდით გავლას. „პასხა“ვფიქრობ არალათინური სიტყვაა და არც ებრაული, არამედ მეგრულ-ლაზურია. იკითხება შემდეგნაირად პასხა,სადაც „პა“-ფენაა, შემდეგი; „ხა“-დაბადება. პასხა-მეორედ დაბადება - აღდგომა.ამტკიცებს ამ ჰიპოთეზას კიდევ ერთი მეგრული დასახელება თანაფა - აღსდგომა. თანაპა;სადაც ტანა-მზის ამოსვლა, (ტანა,ოტანე,ეგვიპტურ,ინკური,ეტრუსკული,პიკტური და შუმერულ ენებზე - განთიადს ნიშნავს); ფა - ფენა, შემდეგი. თანაფა - მეორედ მოსვლა - აღსდგომა.

თვით აიას ქვეყნის და მისი მეფის აიეტის დასახელებაში იმალება მრავალი საიდუმლოება ამ საოცარი ხალხისა ამბობენ ჩვენამდე მოსული ბერძნული ლიტერატურის თხზულებები. „აია“ მოიხსენიება ლირიული პოეტის მინიმერმის (7-6 საუკუნის ჩვ.წ.აღ) პოემაში - „ნანო".უფრო ძველ ბერძნულ ლიტერატურაში აია ფიგურირებს,როგორც მთელი ქვეყნის დასახელება. ამაზე გვამცნობს სტრაბონი,სეტეფანე ბიზანტიელი აპოლონ როდოსკელი.

ცნობილია,რომ ძირძველ მეგრელებს ყავდათ ღმერთი აია. ღმერთი აია-ადამიანების შემქმნელი,ხანდახან მზის ღმერთი. თავის ქვეყანას უწოდებდნენ აიას და მეფეს ამ ქვეყნისას აიეტს. მეგრელებმა მარტო ქვეყანას კი არ დაარქვეს ასე,არამედ თავიანთ გვარებსაც მისცეს დაბოლოებები აია და ია: როსტობაია ,დოლობაია,ჟვანია,შენგელაია,ბერია,მოსაია,ბოკერია,მესხია და

ა.შ. აიას ქალაქების დასახელებები ოტობაია,ანაკლია,ქუთაია და ა.შ. დასავლეთ საქართველოში იყო ცნობილი ეკლესია აიანოშა,რაც მეგრულად ნიშნავს: ღმერთი აიას ოდობადეს - დაბადების ადგილი.კოლხების და ხათების ნათესაობის მტკიცებულებად ლაპარაკობენ თვით მეფეების სახელები,ხანტი ლი,მურსილი,ხუცია,ტუტხალია (ტელეპინუ,ტულეპია,სვანებთან) და აგრეთვე ენაც, რომელზეც ქვემოთ არის მოხსენებული.

ისტორიაში ცნობილი ხალხი კასიტები(კასკები) პირველსაწყისად ცხოვრობდნენ საქართველოს ჩრდო-აღმოსავლეთით,ხოლო მოგვიანებით აღმოსავლეთიდან ანატოლიის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში მათი სალაპარაკო ენა მეგრულ-ლაზური იყო.

უილიამ კულიკანი თავის წიგნში „სპარსელები და მიდიანელები",წერს,რომ ხათები და კასიტები(კაშკები) კავკასიური წარმოშობის არიან. შემდეგ ის წერს: „1800 წ. ჩვ.წ.აღ. კასიტებმა დაამყარეს თავისი უზენაესობა და XII ს.ჩვ.წ.აღ. ბაბილონში შექმნეს დინასტია და მართავდნენ ამ სახელმწიფოს 400 წელი". კასიტების შესახებ საინტერესო ფაქტები მოყავს ქართველ მეცნიერს,ენათმცოდნე გრიგოლ გიორგაძეს : "ხეთთების ლურსმულ დამწერლობიდან ცნობილია მრავალი ადგილების გეოგრაფიული სახელწოდებები,რომლებიც მთავრდება სუფიქსებით „ია"და აია" აშხარპაია, ელურია, გახარია, პატაშია, შუხურია,კაშკაია,ტახანტარია,ტალიპაცია,გიმია,გილია,ვაშხაია,ცი ხარია,ცატხარია,შაია. აქ გვაქვს მეგრული გვარების გარკვეული ანალოგია :ქეცბაია, ტოფურია, გახარია,გამხარია,პაჭკორია,ოდი შარია,ფიფია,შარია, პაჭკორია, ფაცაცია, ფილია, გვალია".

შემდეგში მეცნიერებს მოყავთ შემდეგი ტოპონიმები კაშკა სუფიქსით „შკა" და „სკა",ტიტშკა,ციანტიანშიკა,ხუმნტიშკა,მუმისკ ა,ტატისკა,ტუტუსკა,ლუდუსკა, ციანიტისკა. მეგრულად სუფიქსი „შკა" ითარგმენება როგორც „შუაგული"-„შუა". ჟირგალიშკა -ორ მდინარეს შორის,გალიშ-შკა-შუაგულ მდენარეში; მინდორიშ-შკა-შუაგულ მინდორში; ჩკინ-შკა; ჩვენ შორის.

კასკური სახელები: პაატა, ფიხუნია, ფია, ფაციცი, დადა, ტიტა, ტუტუ და ა.შ. ხშირად არის გავრცელებული მეგრელებს შორის. ზემოთ მოხსენიებული მეცნიერების გამონათქვამებიდან გამომდინრე,უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ აია ის ადგილია სადაც ჩაისახა ცივილიზაცია ჩვენს მიწაზე. მეგრელ-ლაზები ეს ის ეთნოსია,რომელსაც არ შეუცვლია თავიანთი ისტორიის ადგილმედებარეობა. სამეგრელო ეს ის

ადგილია,სადაც არასოდეს,მთელი ისტორიის განმავლობში, არ გაჩერებულა არცერთი დამპყრობელი.ისინი როგორც ქარიშხალი გაიქროლებდნენ ხოლმე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ან პირიქით. არსებითი ცვლილებები ენაში არ ყოფილა. ენა ისეთივე დარჩა როგორიც იყო პირველად ანუ პირველადი ენაა.. ეს ძირითადში დაკავშირებული იყო მძიმე კლიმატურ პირობებთან.ამ ადგილებში მძვინვარებდა მალარია,რაც შეუძლებელს ხდიდა უცხოელების ცხოვრებას. თუმცა მეგრელ უხუცესებს სხვა ვერსია ჰქონდათ:“ჩვენი მიწა და ენა ღმერთი აიასგან არის. ის რომ ღმერთი აია არის ღმერთი ღმერთებისა და ადამიანის შემქმნელი ღმერთი დედამიწაზე. აია ჩვენ გვფარავს და ჩვენზე ზრუნავს“. შორეულ წარსულში ამ ქვეყანას აია ერქვა.სახელმწიფო აიას საზღვრები გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.კავკასიის მთებიდან თურქეთის ჩრდილო ნაწილის ჩათვლით. მეგრელ-ლაზები ეს არის ეთნოსი დარჩენილი დედამიწაზე მეგრულ-ლაზურ ენოვანი ხალხის უდიდესი კოგორტიდან; ცნობილი ისტორიაში,როგორც პირველი ცივილიზაციის დამაარსებლები დედამიწაზე და რომლებსაც მეცნიერებმა უწოდეს პროხატები და პროხუიტები. აიას ტერიტორიაზე მე-4 ათასწლეულის დასაწყისში ჩვ.წ.ა. ინდოევროპელების და სემიტების მოსვლამდე ცხოვრობდნენ მარტო მეგრულ - ლაზურენოვანი ტომები: მარგალები (მანები), ლაზები,იბერიელები, ხატები, ხურები, ხამიტები,ხანანები,შუმერებ ი,მესხები,კასკები,ხალდეები,ხალიბები,პალები.

ცნობილია,რომ კავკასიის და მცირე აზიის აბორიგენებად ითვლებოდნენ მეგრულ-ლაზური ტომები.აქ უნდა ავღნიშნოთ,რომ უძველესი დასახელება „კავკაზ“, „კავკასია“ (ქართულად) წარმოიშვა კასკების ძირეული მოსახლეობის დასახელებიდან- „კასკაია“. კასკები პირველსაწყისად ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში და არკვანიაში (ალბანია-აზერბაიჯანი) და არამხოლოდ კასკები არამედ ჰერები,მანები,ზანები,ინგილოები. ურარტუელი მეფის სარდურის ცნობებით ყარაბახს ერქვა ურტეხე,სადაც ურტე-ტრიალია; ხეხელი. აგრეთვე უამრავი დასახელება ადგილებისა კოლხური ტოპონიმით: ნარძიხი, ჯირმა, სოხტა, ტოხტა,ზენი,ჯავახა, ოჯახე,კალარჯა.

ზემოთ ჩამოთვლილი ხალხები ხურიტები, ხეთები და კასიტები მოსულები ბაბილონში ნაბქუდოსორის მმართველობის დროს უკვე იყვნენ შერეულები ინდოევროპულ ტომებთან.

მკვიდრ ბაბილონელებად ითვლებოდნენ: ხატები,ხანანები, ხურები, ბიბლიაში მოხსენებულია ეს ხალხი,როგორც მცხოვრები ამ ადგილებში მესამე ათასწლეულისთვის ჩვ.წ.აღ. ებრაელების მოსვლამდე.

ამ ხალხებს შორის იყო 2 შესამჩნევი ჯგუფი ხეთე-ბი(ხათები) და ხურები (ხურიტები). ორივე ჯგუფის დასახელება არის მოცემული ბიბლიაში (ხურიტები,როგორც ხორეები ან ხურები-თბილები),მაგრამ უნდა გვახსოვდეს,რომ ხალხი,რომელიც ბიბლიაში ინოდებიან როგორც „ხეეთები და „ხორეები",შესაძლებელია ჰქონოდათ სუსტი და შორეული კავშირი იმ ხალხთა ჯგუფთან,რომლებიც ცნობილნი არიან ლურსმული დამწერლობის დოკუმენტებში,როგორც ხეთები და ხურიტები. ხეთები უსახელო ინდოევროპული ხალხია რომლებმაც მიითვისეს ხათების სახელი. მოსულების ენა ახლო მონათესავე იყო ლათინურთან.ისინი ჩრდ.ანატოლიაში გამოჩნდნენ 2-ათასწლეულის დასაწყისში და ცენტრალურ ანატოლიში შექმნეს უძლიერესი სამეფო. სულ მალე 1700 წ. ჩვ.წ.აღ. ხურიტები, რომლებიც არ მიეკუთვნება არც ინდოევროპელებს და არც სემიტიებს, თავმოყრილნი იყვნენ ტბა ვანის რეგიონში,ჯერ კიდევ აკადეს დინასტიის მმართველობის დროს,მაგრამ მე-2 ათასწლეულის დასაწყისში მათ დაიწყეს მასიური გარღვევა სამხრეთისაკენ".

აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგიერთი მეცნიერები, კაშკებს,ხათებს და ხურებს მიაწერენ იდოევროპულ ხალხს. გავბედავ და შევეპასუხები პატივცემულ მეცნიერებს. ზემოთ ჩამოთვლილი ხალხის სახელები- ეს მკვიდრი მოსახლეობის სახელებია, ხოლო, უცხოელები, უსახელო ველური ინდო-ევროპელ ბარბაროსებს არავითარი კავშირი არ ქონია მათ მოსვლამდე მცირე აზიაში მკვიდრ მოსახლეობასთან. ისინი ითვისებდნენ ამ მკვიდრ მოსახლეობის სახელებს, ზუსტი სახეცვლილებით სახელები კაშკები, ხატები, ხურეები, შეიცვალა-კასკებზე, ხეთებზე და ხურიტებზე.

კაშკები, მცხოვრებნი დღევანდელი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე (მე-2 ათასწლეულის დასაწყისში ჩვ.წ.აღ.)- ეს მკვიდრი მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხია. ინდოევროპელი ტომების (უსახელო მომთაბარე-ბარბაროსები) შემოჭრის შემდეგ მკვიდრი ხალხის ენა ირევა ინდოევროპულ ენასთან. უცხოელებს არ ჰქონდათ, თავისი დასახლება ან არ უნდოდათ რომ ქონოდათ, ამიტომ ისინი მიითვისებდნენ

აბორიგენების სახელებს და შემდეგშიც ასახელებდნენ თავის თავს. ამასთან ერთად იცვლებოდა მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების ყაიდაც. ისინი რაღაცით უკვე ემსგავსებიან უცხოელებს, რაზეც მეტყველებს კასკების (კასიტები) მიერ ბაბილონის დაპყრობა, რომლებიც 500წლის განმავლობაში მართავდნენ ბაბილონს (მე-17-12 ს.ჩვ.არ.) ეჭვ-გარეშეა, რომ ესენი იყვნენ ინდოევროპელი ტომები (შერეული ადგილობრივ ქაშკეფთან), რომლებმაც მიითვისეს კაშკების სახელი.

ანალოგიური ისტორია ხდება ხათებთან, ხურებთან, ხანანაელებთან. მოსული ინდოევროპული ტომები-დამპყრობლები, მიითვისებენ მკვიდრი მოსახლეობის სახელებს. ( და არა მარტო სახელებს, არამედ ბევრ სხვას, რაზეც დეტალურად გვექნება საუბარი ქვემოთ).

ასეთი შემთხვევებს ვაკვირდებით კავკასიის რესპუბლიკებშიც, სადაც უცხოელები ძალით ახვევდნენ თავს მკვიდრ მოსახლეობას თავიანთ ენას, და თვითონ, მრავალი მიზეზების გამო, როგორც ეს იყო ისტორიაში სხვადასხვა მომთაბარეებთან, ქრებოდნენ. მომთაბარეეების გაქრობის შემდეგ, დარჩენილი მეგრელ-აბაზგები, ერთი რეგიონის მკვიდრი მოსახლეობაა. მაგრამ ენა მათ უკვე განსხვავებული აქვთ. (ერთ ნაწილს მკვიდრი მოსახლეობის ენა უხდებათ ინდოევროპული). ხალხის მახსოვრობაში შემორჩა ის, რომ ეს ადგილი მათი სამშობლოა, მაგრამ რატომ აქვთ მათ განსხვავებული ენა? მოსახლეობის ასიმილირებაც ნაწილს ეცვლებათ ცხოვრების წესი. ისინი ხდებიან ამპარტავნები, სამუშაო მათთვის დამცირების ტოლფასი ხდება, ქურდობა ხდება თითქოსდა მამაკაცურ საქმედ, მაგრამ ის, რომ მათ ენა აქვთ გაცვლილი, ამის გაგონებაც არ უნდათ. ერთ-ერთ ძირითად მიზეზად გახლეჩისა არის, შეუკავშირებელი ენა უცხოელებთან. რადგანაც ყველა მხარე თვლის, რომ თუ ენა სხვაა, ე.ი. ეს ნიშნავს რომ ის უცხოელია ( აბხაზები, მეგრელები).

ჯერ კიდევ მე-5 ს. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტი, წოდებული „ისტორიის მამად", ამტკიცებდა, რომ „კოლხები, ეგვიპტელები", არიან. რატომ წერს „ისტორიის მამა" ასე?

დღეს ამ კითხვას შეგვიძლია ვუპასუხოთ არაორაზროვნად. ისტორიკოსებისთვის ცნობილია კოლხებს და ფარაონებს შორის ნათესაური არსებობა. ბიბლიიდან ცნობილია, რომ კოლხები და მისი მონათესავე ტომები პალესტინაში ცხოვრობდნენ ებრაელების მოსვლამდე. ისიც ვიცით, რომ ხატები, ხურები, მესხები, კასიტები, ხანანები, ხამიტები ცხოვრობდნენ არა

მხოლოდ პალესტინაში, ისინი ქმნიდნენ უდიდეს სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთის და ეგვიპტის ტერიტორიებზე.

ლურსმული დამწერლობის წარწერები და არქეოლოგიური მონაპოვრები ამტკიცებენ, რომ კოლხეთის და მასთან მონათესავე ტომები ქმნიდნენ ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა აია, აიადუ, ნაირი, ჯახი (ლივანი), სენარი (ასირია), ურუ (ბაბილონი), ხამიტია, ხემი(ეგვიპტე), მოშკების სახელმწიფო, ხურიტების და ტუბალების სახელმწიფოები. უნდა ავღნიშნოდ, რომ პირველსაწყისი დასახელებები ყველა მეგრულ-ლაზურენოვანია. შემოსული ბერძნები-ახეიცები ყველგან ცვლიდნენ სახელებს.

ძველაღთქმაშიხეთებიმოხსენიებულნიარიანრამდენიმეჯერ. ბიბლიური ლექსიკონები გამოსული წინა საუკუნის დასაწყისში, ტყუილა არ გვამცნობდნენ: „ხეთები-ხანაანის ხალხია“. როდესაც საუკუნეების წინ ისრაელის შვილები დაიძრნენ პალესტინისკენ, მოსეს კვალდაკვალ, ხეთები უკვე ცხოვრობდნენ იქ: „ამიალიკი ცხოვრობს ხეთების, იევუსეების და ამორეების მიწების სამხრეთ ნაწილში, ცხოვრობენ მთაზე“...

ინგლისელი მეცნიერი ო.რ გარნი წერს: „ცნობილი მეფე სოლომონი ნახევრად იყო ხათების წარმომადგენელი, ვინაიდან ის იყო დავითის შვილი, ურიას ცოლისგან, რომელსაც მეფემ უღალატა, რათა დაუფლებოდა მის ცოლს".

ხანაანების როლის, ძველი ებრაელების თანამედროვე ეთნოსის ეთნოგენოზის პროცესში, გადამეტება არ შეიძლება: „ და ცხოვრობდნენ ისრაელის შვილები ხანაანებსა და ხათებს შორის, მოყავდათ მათი ქალიშვილები ცოლად და თავიანთ ქალიშვილებს მიათხოვედნენ მათ ვაჟებს“. ასე ბელადმა გედეონმა აიყვანა მძევლად ხანანენეის ასული შხემიდან, და მათმა შვილმა ავილექესმა შეძლო შეეკრა, ეთავა და ორგანიზება გაეკეთებინა ხანანური სიტყვისა „ვაალ“-ის, სისხლით მონათესავე ტომების ერთობლიობა მესოპოტამიის წარსულის მაღალი ჰუმანიზმის და სხვა განხრის წარმომადგენლებს შორის.

ყველაზე გამოჩენილ ბიბლიური ხატებიდან ითვლებოდა „ ურია-ხეთეიანინი“, ეს ხომ მისი ცოლი ვირსავია მოიყვანა მეფე დავითმა. დავითის შვილი სოლომონი უკვე ნახევრად ხეთი იყო დედის, ვირსავიის მხრიდან. ურია დაიღუპა ქალაქის ალყის დროს. ურიის ხალხი, რომელთა წინამძღოლად ის ითვლებოდა გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს.

ხატების ერთი ნაწილი, გაძევების შემდეგ, დაბრუნდა თავის სამშობლოში, აიაში. შედეგად კოლხები პალესტინიდან ყველა

მოსულებს უწოდებდნენ ურიებს. დღეს მეგრულ ენაზე ებრაელებს უწოდებენ ურიას. ხალხში ცნობილია, რომ ბევრმა ლტოლვილმა თავის წინამძღოლის (ურიას) ხსოვნასთან დაკავშირებით გადაიკეთეს გვარები, მაგ: დემურია, ლასურია, ჯგუბურია, ბაღათურია, წიფურია, ქებურია, ცაგურია, ჭანტურია, თოფურია, ურიდია და სხვა. მეორე ნაწილი გაძევებული იქნა სამარიის უვარგის მიწებზე, სადაც ისინი იხოცებოდნენ შიმშილისაგან.

მეცნიერებს აღელვებთ სხვა კითხვებიც. ბიბლიაში ნათქვამია, რომ ხეთები ცხოვრობდნენ პალესტინაში, როდესაც მათ შორის ჩასახლდა წინასწარმეტყველი აბრაამი. ისტორიკოსების შეფასებით ეს მოვლენა მოხდა დაახლოებით 2700 წ. ჩვ. წ.აღ.- ზუსტად იმ დროს, როდესაც ხეთებმა გააერთიანეს ანატოლია თავისი მართველობის ქვეშ. მაშინ მათი ჯარი ჯერ კიდევ არ ახორციელებდა ლაშქრობას სირიაშიც კი. საერთოდ, პალესტინა არასოდეს ეკუთვნოდა ხეთებს, მისი უმაღლესი სიძლიერის დროსაც კი.ის ყოველთვის რჩებოდა ეგვიპტელების გავლენის სფეროში. აქედან გამომდინარეობს, რომ აბრაამი პალესტინის მთებში შეხვდა ხათების ტომებს.

არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება ერთ საინტერესო ფაქტს. ბიბლიიდან ვიცით, კოლხების და მისი მონათესავე ტომების, ხატების ისრაელის მიწაზე არსებობის შესახებ. ნაცნობია აგრეთვე 16 წინასწარმეტყველის სახელი, რომელთა წინასწარმეტყველება შეადგენს ბიბლიის მნიშვნელოვან ნაწილს. ექვსი წინასწარმეტყველის სახელი არ იწვევს ეჭვს, რომ ისინი კოლხური წარმოშობისაა: ოსაია, მალახაია, ზაქარაია, საფონია, იერემია, ოსია. წინასწარმეტყველმა ისაიამ დიდი ხნის წინ იწინასწარმეტყველა ადამიანების გადამრჩენი მესიის- იესო ქრისტეს მოვლენა, მისი ცხოვრება, ტანჯვა, სიკვდილი და აღდგომა.

ამის დასტურად მინდა მოვიყვანო კოლხების უფრო ადრინდელი წინასწარმეტყველება მესიის მოსვლასთან დაკავშირებით. არგონავტებში მოიხსენიება (მე-16 ს.ჩვ.წ.აღ.) მედეას წინასწარმეტყველებაში: „...კანონები აღარ არსებობს, შვილი კლავს მამას, ძმა ძმას, ხალხი იცინის სიკვდილის სიცილით ... რჩება მხოლოდ ერთი ნუგეში, რომ ცა გამოგვიგზავნის მიწაზე გადამრჩენს"... ეს ადასტურებს იმას, რომ კოლხეთში უფრო ადრე ელოდებოდნენ მესიის მოსვლას ვიდრე ეს აღწერილია ისაიას წინასწარმეტყველებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი

გარემოება. ბიბლიიდან ცნობილია, რომ ხატების (კოლხების) ტომების ლიდერი ურია მოკლული იყო რის შემდეგ ნაწილი ამ ხალხისა დაბრუნდა კოლხეთში, ნაწილი გაძევებული იქნა უვარგის მიწებზე. ეს ხალხი მუხლჩაუხრელად, დილიდან საღამომდე მუშაობდა, მაგრამ შედეგი არ ქონდა. ეს მიწა მოსავალს არ იძლეოდა. ხალხი მთელი ოჯახებით იხოცებოდნენ. ამ მიწას უწოდეს სამარე-დიხა (მკვდარი მიწა). იმ ისრაელებს ვინც ამ მიწაზე ცხოვრობდენ შეარქვეს სამარიანელები. მეგრულად „სამარე" ითარგმნება როგორც „მკვდარი, გაციებული". გარდა ამისა, ჰიპოთეზას ამტკიცებს მეგრელებში არსებული წყევლაც „დიხა სამარეს ქუმტხონტხორას" რაც ნიშნავს: „ შენ დაგმარხონ მკვდარ მიწაზე". მთლიანობაში, დამაჯერებლად შეგვიძლია ვთქვათ, ხალხი, რომლსაც „ხეთებად" იწოდებოდნენ ბიბლიაში ესენი ხატები არიან.

ჰეროდოტი გვამცნობს: „ მეოტიდის ტბიდან (აზოვის ზღვა) ფასისის მდინარემდე და კოლხეთიდან მიდიამდე ცხოვრობდა მხოლოდ ერთი ხალხი „სასპერები". სხვა შემთხვევებში ჰეროდოტს მოჰყავს მრავალი ტომის დასახელება მცხოვრები კოლხეთში: ალაროდები, არსმენები, მაკრონები (მეგრელები), მარები, ლაზები, მატიენები მარინდინელები, მიკები, მოსენიკები, მოსხები, ხალიბები."

ცნობილია, რომ ჰომეროსი წერდა ხალხის ეპოსიდან, სადაც მშვენივრად აღწერს ტროას. ტროას ბრძოლა მიმდინარეობდა სადღაც მე-15 ს. ჩვ. წ. აღ. გამოდის, რომ ჰომეროსი წერდა მერვე საუკუნეში 600 წლის გარდასულ ისტორიულ ამბავს. ისიც ცნობილია, რომ იაზონის ლაქრობა კოლხეთში მოხდა ტროას ომის დაწყებამდე. ეს მოსაზრება მტკიცდება იმითაც, რომ გმირი არგონავტების შვილები მონაწილეობდნენ ტროას წინააღმდეგ ბრძოლაში. აქედან გამომდინარეობს, რომ კოლხეთი სახელმწიფო არსებობდა წარღვნამდე დიდი ხნით ადრე. ასეთი ძლიერი წარღვნის შემდეგ სახელმწიფოს კარგ მდგომარეობაში ყოფნა მიუთითებს მის ძლიერებაზე (კოლხეთის დაბლობის ასეთი დანგრევის შემდეგ, კიდევ სახელმწიფოს აღდგენა ბევრზე მეტყველებს).

დამატებით, ავღნიშნავ, რომ ღმერთი აიას და აიეტის არსებობა ძველი შუმერების, ხანაანების და ხამიტების ტექსტებში, ჯერ კიდევ მე-4 ათასწლეულში მიგვითითებს იმაზე, რომ სახელმწიფო აია და მისი მეფე აიეტი არსებობდა მანამდე, სანამ ეს უძველესი წარწერები გამოჩნდებოდა. თუ

ასტრახასის და სხვა შუმერული ნაწარმოებები თარიღდება მე-4 ათასწლეულით და კოლხეთის ღმერთები ფიგურირებენ იქ, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო აია არსებობდა 5-7 ათასწლეულებში, გამოდის, რომ პირველად სხვადასხვა ადგილზე ხალხის გადაადგილება ხდებოდა აიადან. ამასთან, ყველა მიმართულებით, როგორც ჩრდილოეთის ასევე სამხრეთის. კოლხეთი აღდგა დამანგრეველი წარღვნის შემდეგ. როდესაც არგონავტები მოვიდნენ ქვეყანა აიაში. არგონავთები აღფრთოვანებულნი იყვნენ ნანახით, აიეტის სამეფოს სიმდიდრით, განსაკუთრებით განაცვიფრა ბერძნები მიწათმოქმედების მაღალმა კულტურამ.

აქედან ვხედავთ, რომ მიწათმოქმედების კულტურა ქონდათ მათ გაცილებით ადრეულ პერიოდში, წარღვნამდე. შესაბამისად დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო აია არსებობდა გაცილებით ადრეულ პერიოდში, შუმერულ ცივილიზაციამდე.

ყოვლადარგუმენტირებულადხსნიანმეგრელიმკვლევარები ვ. ჩარგაზია და ი. კვეკვესკირი პირველი სალაპარაკო ენის არსებობაზე კოლხეთში. ამტკიცებენ, რომ მეგრული ენა არის პირველადი და ძირეული ბევრი სხვა ენებისა. ბევრი საიდუმლოს გასაღები დევს მეგრულ ენაში. თვით მეგრელების დასახელება მეგრულად -„ მარგალ"- „რგნც"- მთესველი, დამრგველი. არ არის გასაკვირი, რომ პირველმა მიწათმოქმედმა ასე უწოდა მის თავს. ეს იყო მისი პირველი მიღწევა იმ დროისათვის. ბერძენ-რომაელმა მეცნიერებმა გადათარგმნეს თავიანთ ენაზე სიტყვა „მარგალი", რაც ბერძნულად გეორგიას-მიწათმოქმედს ნიშნავს, ხოლო ინგლისურად ჯორჯია, უწოდებენ ევროპელები საქართველოს. სახელწოდება საქართველო, სპარსული სიტყვიდან გურჯ-გურან. მეგრელები თბილისს უწოდებენ-ქართს და ქართველებს-ქორტუ; ქორტუ-შერეული. ადრეულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოშიც სალაპარაკო ენა იყო მეგრული. სხვადასხვა დამპყრობლების შემოჭრის შემდეგ სალაპარაკო ენა ნაწილობრივ შეიცვალა. ამის დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ რიგი არგუმენტები: კასპიის პირა ალბანია იწოდებოდა როგორც-არკვანია და რიგი ტომებისა, როგორც ერცუ-ხი (ინგილო), ერი-ხი, ასევე ქართლ-კახეთის მთიან რაიონებში, ხე-ვსური, მო-ხე-ვე, კა-ხი, მეს-ხი, ჯავა-ხე, ჯა-ხე (ჯავა), ლეჩ-ხუ-მე, ყველა მეგრული ტომებია ითარგმნება მეგრულად. და როგორც ხედავთ ყველას სახელს ერთვის ბგერა "ხე", "ხუ",

"ხა" - ხვთისგან ბოძებული ბგერაა.

გარდა ამისა რევაზ ერისთავი ამტკიცებს,რომ ენისა და კულტურის არეალი ამ ხალხისა (კოლხებისა) გაცილებით მეტია ვიდრე კავკასია და მცირე აზია. თავის წიგნში „მზის შვილები", რ. ერისთავი ზუსტად გვიჩვენებს მეგრულ-ლაზური(კოლხები) ტომების მიგრაციის გზას. რ. ერისთავი თავის წიგნში ეყრდნობა ისტორიაში გამოჩენილ მეცნიერებს : „რომის ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, რომის ელჩი ესპანეთში (116-27 წ.ჩვ.წ.აღ),მარკუს ტერენციოს ვარონი ამტკიცებდა,რომ ესპანეთის იბერიელები მოვიდნენ საქართველოდან.პლუტარქი ვარაუდობდს,რომ პელასგები - ეტრუსკების მონათესავე ხალხია და მიეკუთვნებიან მათ წინაპარ იბერ-კავკასიელ ხალხს. ა.პიგანიოლი თავის ნაშრომებში ამტკიცებს,რომ ეტრუსკები ხალიბების (მეგრელ-ლაზების) შთამომავლები არიან.

რუსი მეცნიერი ი.კნოროზოვი თავის სტატიაში აღსდგომის კუნძულის მოსახლეობის ლეგენდები:",ჟურნალში „საბჭოთა ეთნოგრაფია □4" გვ.146 წერს,რომ ლეგენდა რომელიც მოყვნენ ამ კუნძულის მცხოვრებლებმა,მეტეოსმა და გაბრიელმა -„ვარიბერიცი". ვარ-იბერიიცი ქართულად ნიშნავს - ვარ იბერიელი.

შემდგომ რ.ერისთავს მოყავს ტოპონიმები,რომელიც ძალიან გავს ქართულ სიტყვებს. მდინარე ბრაზილიაში „არაგუაია",საქართველოში მდინარე „არაგვი" -მეგრულ ენაზე ნიშნავს დაჯახებას, ბიძგებას.

რ. ერისთავი არ ეთანხმება ზოგიერთ ქართველ მეცნიერს იმის თაობაზე, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ენები ქართული ენის დიალექტები არიან. ალბათ უფრო, როგორც იოანე ზოსიმემ თქვა-ეს ღმერთების ენაა. რ. ერისთავი ამტკიცებს, რომ მეგრულ-ლაზური, სვანური და ქართული ენები-ეს განსაკუთრებული გვარია ენისა, რომელსაც მოიხსენიებს იოანე ზოსიმე, როგორც ღმერთების ენას და ეს ენები უახლოეს მომავალში მთლიანი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოექცევა. გეკატელის აზრით:"იბერია (ესპანეთი) ეს საერთო დასახელებაა, თუმცა „იბერი" და „ტერტეიცები" ურთიერთშეცვლადია,შეიძლება „ტერტეიცები" მოსულები ყირიმიდან არიან „ტიბერიელები". შულტერის აზრით იბერი (ბერბერი) აფრიკიდან (კართაგენი) შეერივნენ ცენტრალური ევროპის კელტებს.ნაპოვნი ტყვიის ფირფიტები წარწერით ლასარეტადე-ალკოდან (6.ს.ჩვ.წ.აღ). ეხლა უკვე განსაზღვრულია,რომ ის არ იყო კავშირში არც

ინდოევრეპულ არც კელტების ენასთან.ბალეარიკაში და ანდალუზიაში (ესპანეთი)-ნაპოვნი ხარის თავები მოწმობს იბერიელების ხარის კულტის თაყვანისცემას, ისე როგორც მეგრულ-ლაზურენობრივი ხალხის. აზალიის მხატვრულ კერამიკაზე და დესპენიაპეროსის დისკზე გამოსახულია წმინდა ხე.ესპანეთის მდინარეების ძველი სახელწოდებები: ტურია და ხუკარ ძალიან გავს მეგრულ ენას ხუ-კარ,ხუ-დაბადება,კარ-ჭიშკარი,მდ. ტურია -ტურა- მელაა

ქართველი მეცნიერები დღევანდელ დღემდე ვერ მოვიდნენ ერთიან აზრამდე.თუ სად ცხოვრობდნენ ქართველები ადრე,საიდან მოვიდნენ. ქალდუდან ან კიდევ საიდან? ასეთი მსჯელობა დამღუპველი და დამანგრეველია და ძირს უთხრის ქართველი ხალხის ავტოქტონობას. ის რომ,ადრე მთელ კავკასიაში ლაპარაკობდნენ მეგრულ ენაზე ამტკიცებს მდინარეების,მთების და სხვა დასახელებები. დღევანდელ დღესაც შემორჩა მდინარეების ძველი მეგრული დასახელებები აღმოსავლეთ საქართველოში. მაგალითად: მდ. არაგვი მეგრულედ ნიშნავს-დაჯახებას ბიძგებას, მდ. ალაზანი (ალაკუნს-ზენას) ნიშნავს „მოედინება ზეგანის გაყოლებით". მდ.ლიახვი, ეს წყალ-მეჩხერი მდინარე მთებში ნალექების დროს,შეიძლება გაფართოვდეს ორმაგად. ლიახვი, „ლია"-წუმა,წკარდიდ-თავსხმა,წყალდიდობა. „ხ" (ვ)-ი-დაბადება. მდინარე თერგი-(თერგულა)-დამანგრეველი. ხაშური,ხაშ-შურ-ი. „ხაშ" -მოხარშული, „შურ"-ჰაერი," ხაშური- ცხელი ქარების ადგილი. მდინარე რაჩხა-ჩხრიალა. მდ.ჭოროხი, ჭორო-ხი.ჭორო-ერთად,ხი-დაბადება. ჭოროხი - ერთად დაბადებული. ჯავახე-არ არის ხე. ცუნდა-ცვარი. ნელკარი-მცხეთა. ცხუმ-ცხიმური; აქუვაშ ციხე- და არა აყვას ციხე. და კიდევ სხვა: ; ნარჯიხი,ჯირმა, სოხტა,ხოხტა,ზენი,ჯავახა,ოჯახე,კლარჯა.

აიას სახელმწიფო მოცემული ფაქტების დაყრდნობით 30-40 საუკუნეებით ადრე, გაჩნდა ვიდრე ქართლის სახელმწიფო (მე3.ს.ჩვ.წ.აღ), ასევე ცნობილია, რომ ეს ადგილები:ქართლი კახეთი, ინგილო და ერეთი შედიოდნენ აიას სამეფოში. ერცუ-ხი (ინგილო), ერი-ხი, ასევე ქართლ-კახეთის მთიან რაიონებში, ხე-ვსური, მო-ხე-ვე, კა-ხე-ლი, მეს-ხი, ჯავა-ხე, ჯა-ხე (ჯავა), ლეჩ-ხუ-მელი, ყველა მეგრულ-ლაზურენოვანი ტომებია და ითარგმნება მეგრულად.

რ.ერისთავი არ ეთანხმება ზოგიერთ ქართველ მეცნიერს იმის თაობაზე, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ენები

ქართული ენის დიალექტები არიან. ალბათ უფრო, როგორც იოანე ზოსიმემ თქვა-ეს ღმერთების ენაა.

რ. ერისთავი ამტკიცებს, რომ მეგრულ-ლაზური, სვანური და ქართული ენები- ეს განსაკუთრებული გვარია ენისა, რომელსაც მოიხსენიებს იოანე ზოსიმე, როგორც ღმერთების ენას, და ეს ენები უახლოეს მომავალში მთლიანი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოექცევა. გეკატელის აზრით: „ იბერია (ესპანეთი), ეს საერთო დასახელებაა, თუმცა „იბერი" და „ტერტესიციები" ურთიერთშეცვლადია. შეიძლება „ტერტესიციები" მოსულები ყირიმიდან არიან „ ტიბერიელები". შულტერის აზრით იბერი (ბერბერი) აფრიკიდან ( კართაგენი) შეერივნენ ცენტრალური ევროპის კულტებს. ნაპოვნი ტყვიის ფირფიტები წარწერით ლასარეტადე- ალკოდან ( 6ს.ჩვ.წ.აღ.). ეხლა უკვე განსაზღვრულია, რომ ის არ იყო კავშირში არც ინდოევროპულ არც კელტების ენასთან. ბალეარიკაში და ანდალუზიაში (ესპანეთი) ნაპოვნი ხარის თავები მოწმობს იბერიელების ხარის კულტის თაყვანისცემას ისე როგორც მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხის.

აზალიის მხატვრულ კერამიკაზე და დესპენიაპეროსის დისკზე გამოსახულია წმინდა ხე. ესპანეთის მდინარეების ძველი სახელწოდებები: ტრუია და ხუკარ ძალიან გავს მეგრულ ენას: ხუ-კარ, ხუ-დაბადება, კარ- ჭიშკარი, მდ ტრუა- მელა მეგრულად. ტურია-ცბიერი მდინარე.

მოვიყვან კიდევ ერთ დეტალს ხეთების ისტორიიდან. ცნობილია, რომ ხეთების ქვეყანა დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს (10-11 ს. ჩვ.წ.აღ.) „ზღვის ხალხმა", „ახეიელებმა". ახეიელების ბარბაროსობა და უხეშობა ჩანს მეგრულ ენაში; მეგრელებში არსებულ ყველაზე საშინელი წყევლით „ახხავოი სკან დუდს" იგივეა ქართველებშიც „ახხია შენ თავზე".

ასეთი ბარბაროსობის შედეგად ხეთების ერთი ნაწილი გაემართა დასავლეთით - ევროპაში; მეორე ნაწილი გაემართა ჩრდილოეთით, ესენი იყვნენ ხურები, ხეთები, მესხები და კასკები უკვე შერეულ ინდოევროპულ ენით. მოვიდნენ რა აღმოსავლეთ აიაში ისინი შეერივნენ კოლხ ხალხს (მეგრელ-ლაზები) და შექმნეს ახალი დასახლებები, და შეიქმნა ახალი სახელები. ჩემი აზრით, ამის დამამტკიცებელია ადგილმდებარეობის დასახელებები: კა-ხეთი, მეს-ხეთი, ჯავა-ხეთი.

ისტორიიდან ცნობილია, რომ აიას სახელმწიფოებრივი წარმოშობა გაჩნდა ადრე, ვიდრე ქართლის სახელმწიფო (მე-3

ს.ჩვ.წ.აღ.), ასევე ცნობილია, რომ ეს ადგილები; ქართლი კახეთი, ინგილო და ერეთი შედიოდნენ აიას სამეფოში. გავიხსენოთ საქართველოს გენიოს პატრიოტების სიტყვები.

კოლხური წარმოშობის დასამტკიცებლად მოვიყვან აღ. საქართველოს სოფლების დასახელებებს: სოფ.წნორი-(წნორ, წუნოხონიშ ოხორე)- წინაპრების საცხოვრებელი. სოფ. ნაღვერი. საჩხერე - ცხელი ადგილი,.სოფ. მელიგელე (მელენ-ღელე) -მოპირდაპირე სანაპირო. სოფ. ხირსა (ხირსა-ხეთურად, კირსე-მეგრულედ, გახზაფხულის ზეიმი დღე.

ყველაზე გამაოცებელი ის არის, რომ დღემდე შემოინახა ძველკოლხური ბრინჯაოს ხანის სახელებები ცნობილი ისტორიაში როგორც ყორღანები-თრიალეთის კულტურა, სადაც აღმოჩენილია 86 ათასი ნივთი, ბევრი კერამიკული, ოქროს და ვერცხლის ნაკეთობები.

კურგანი ულევარი-(ულევარ) -ულევი.

კურგანი ბედენი (ბედ)-ბედი

კურგანი მარტყოპი; მარ-მარად-მუდამ; ყოპა-ცხოვრება. მარ-ტ-კოპი, მუდმივი- საცხოვრებელი.

კურგანი ტაბაცკური ;ტაბა- ტომბა - დიდი; წყური - სასმელი წყალი.

კურგანი ტოპკარ-(კარ) -კარები. ტობ-თბილი.

ამ სამარხებში სახელწოდებით „ენიმკის მოამბე", ნაპოვნია უამრავი ნახატებისა და წარწერები. სიტყვა „ენა- იმკი":ენა-ენაა; იმკი-მოიმკი, ისწავლე. მეგრულად „ენა-იმკი'" -ისწავლე ენა.

ი. ჯავახიშვილი ვარაუდობს რომ ქართველები მოსულები არიან კალდუდან, აგრეთვე წერს, რომ ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები და დრილები ლაპარაკობდნენ ლაზურ ენაზე. შემდეგ აღნიშნავს, რომ იმერლები ეკუთვნოდნენ მეგრულ-ლაზურ განშტოებას. მოგვიანებით ქართლელებმა ძალაუფლება ხელში აიღეს და მთელ საქართველოში შემოიღეს თავისი ენა და დამწერლობა.

ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: უეჭველია რომ საბოლოდ იმის შესწავლამდე თუ რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ძველი ქართველენი-ეს აღმოჩნდება მეგრული ენაა.

აკაკი წერეთლის ცნობილი სიტყვები: მეგრული ენა ეს ქართული ენის ფუძეა. აკაკი წერეთელი მოუწოდებდა მეც-ნიერებს, რომ გაემდიდრებინათ დამახინჯებული ქართული ენა მეგრულით (დამახინჯებული, სომხური, ირანული,თურქული სიტყვებით).

დიდი ილია ამბობდა წიგნი „ქართლის ცხოვრება" არ არის გამოსადეგი საქართველის ისტორიის დასაწერდ.(არ არის ცნობილი თუ ვინ და რატომ დაწერა ესეთი ისტორია, შესაძლებელია ვინმე ამზადებდა ნიადაგს შემდეგი კოლონიზაციისთვის).

პოეტი ა.წერეთელი წერდა, რომ სამეგრელო ქართული ენის სიბრძნის წყაროა.

რად ღირს ბრძენი გრიგოლ რობაქიძის სიტყვები „თუ გინდა იცოდე ვინ ხარ, და გინდა გახდე ვინმე, შენ უნდა გაიგო, საიდან მოხვედი და სათ მიდიხარ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ მეგრულ-ლაზური ენა ჰქონდათ კასკებს, იბერებს, მესხებს, ხატებს, კალდებს, მანებს,ხურებს, ხამიტებს, ხანანებს, ინდოევროპელი ბარბაროსების შემოსევამდე. ამას მოწმობს ხეთური ხანანური, ეგვიპტური ლურსმულ დამწერლობის ტექსტები, სადაც უამრავი მეგრული სიტყვებია, სახელები, ადგილების სახელწოდებები, ღმერთების რიტუალების, წეს-ჩვეულებების დასახელებები და სხვა.

რამდენიმე განსხვავება თრიალეთისა და დასავლეთ კოლხეთის კულტურებს შორის აიხსნება ხეთების და ხურიტების მიგრაციით აღ. აიაში რომლებმაც მეთოთხმეთე საუკუნისთვის (ჩვ.წ.აღ.) განიცადეს გარკვეული ასიმილაცია კულტურის, ენის და ყოფა-ცხოვრების ინდოევროპელ დამყრობლების მხრივ.

მეცნიერების მტკიცებულებით, ერთადერთი იმ ადგილთგან სადაც ჩაისახა კაცობრიობა, იყო აია. პირველი სახელმწიფო წარმოქმნილი მსოფლიოში იყო აიაის სამეფო. გარდა ამისა შესანიშნავია ის რომ ქალაქების, დასახ. პუნქტების, მდინარეების, მთების, ღმერთების დასახელებები მცირე აზიაში, ბაბილონში პალესტინაში, ეგვიპტეში ძირითადად მეგრულ-ლაზურია. ყველაფერი ეს იძლევა საფუძველს, რომ ითქვას კავკასიიდან ეგვიპტის ჩათვლით მე-4 ათასწლეულში, იქ მცხოვრები ხალხის სალაპარაკო ენა იყო მეგრულ - ლაზური. დაწვრილებით ამის შესახებ მომდევნო თავში.

## მეგრელების ენა და დამწერლობა

ცნობილია, რომ ენის ხარისხის ნატიფობას ასახავს მისი მატარებლის მენტალიტეტი. ასახავს და ინარჩუნებს აზროვნების სახეს, უფრო ხშირად კი უპირატესობას აძლევს ინტელექტუალური პროგრესის დონის ამაღლებას.

ცნობილი ენათ მეცნიერები პაულ კრეტშერი და ფელიქს

ლუშანი ამტკიცებდნენ რომ მცირეაზიელები მიეკუთვნებიან განსაკუთრებულ ენათა ჯგუფს, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ ინდოევროპულ და სემიტურ ჯგუფებთან.

ის რომ აიაში არ არის ნაპოვნი არცერთი ძველი დამწერლობის დოკუმენტი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კოლხებს არ ქონდა დამწერლიბა,. ცნბილია რომ კოლხეთში წარწერებს აკეთებდნენ ხის ფირფიტებზე ან სხვა არაგამძლე მასალებზე, რომელიც უკვალოდ გაქრა. მაგრამ არხეოლოგებმა მოიძიეს ეს ენა ხატების, ხურების, ხანანების, ხამიტების, პელაზგების საცხოვრებელ ადგილების გათხრების დროს აღმოჩენილი ფირფიტებით და დისკებით, ეს ენა განსხვავებულია ყველა ენებისაგან, რომელსაც მეცნიერები ეძახიან პროხათურს და პროხურიტულს.

ო.ლორთქიფანიძე: „კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ შეიძლება არაორაზროვანი მითითებები ვნახოთ ამ დამწერლობის არსებობისა, ბერძენ ავტორებთან.აპოლონ როდოსსკის ცნობების მიხედვით (მე3 სკ. ჩვ.აღ.) კოლხებში შემოინახა კირბებზე დაწერილი წარწერები, სადაც გადმოცემულია ყველა წყლის და მიწის გზები მოგზაურთათვის. ევგემერისტ პილაფეტი (მე-4 ჩვ.აღ.) „კოლხებთან შენახულ (საწმისი), წიგნი დაწერილ ტყავზე, რომელშიც აღწერილი იყო თუ როგორ მოვიპოვით ოქრო".

ევსტაფე ფესალონიელი: „ოქროს საწმისი ეს არის საშუალება პერგამენტებზე ოქრო დამწერლიბისა, რის გამოც მოხდა არგონავტების ლაშქრობა.

აპოლოდორის განსაზღვრით კირბებს" უწოდებდნენ სხვადასხვა სახის კანონებს და დოკუმენტებს. კირბი-კირიბი მეგრულად ბატკანია. ეჭვ გარეშეა მეგრელები კირიბს უწოდებდნენ ბატკნის ტყავს, მომზადებულს დასაწერად. ხოლო მწერლებს, რომლებიც წერდნენ ბატკნის ტყავზე უწოდებდნენ კირბებს, კირიბანტებს.

ოთარ ლორთქიფანიძე თავის წიგნში საქართველოს უძველესი მემკვიდრეობა წერს: „ პირველ მსხვილ გაერთიანებას ძველ კოლხური ტომებისა (ასირიული წყაროებიდან: უეჭველია რომ კოლხებს უშუალო კონტაქტები ჰქონდათ ძველ აღმოსავლურ სახელმწიფოებთან 1 ათასწლეულის დასაწყისისთვის (ჩვ. წ. აღ.) ურარტუს წყაროებში გვხვდება სახელწოდებით „კოლხა" და აწარმოებს სისიხლისმღვრელ ომებს ურარტუსთან და დიაოხის მეზობელ ქვეყნებთან...

ჰეროდოტე: „სპარსელები ცხოვრობდნენ სამხრეთ ზღვის

სანაპიროებზე „სპარსეთის ყურე", მათ მაღლა ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ მიდიანები, მათ ზევით-სასპერები და სასპერების მაღლა კოლხები"...

მე-15-17 ს-ში ჩვ.წ.აღ. მესხეთის ტერიტორიაზე (ჯავახე) ნამდვილად ცხოვრობდნენ კოლხური ტომები. მუშკები კი ამ პერიოდისთვის ლოკალიზდებიან მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეებში, მხოლოდ მე-7ს. ჩვ.წ.აღ. მუშკები იკავებდნენ ტერიტორიებს რომელსაც შემდეგ დაერქვა მოსხების ქვეყანა. გამოთქმა „ მოსხები კოლხური ტომია", ეკუთვნის სტეფანე ბიზანტიელს. მე-4 ს.ჩვ.წ.აღ.

ცნობილია რომ მოსულმა, უსახელო იდოევროპულმა დამპყრობელმა, ხათების სახელწიფოს უწოდეს-ხეთების( თვითონაც დაირქვეს სახელი - ხეთები), შექმნეს უზარმაზარი ტერიტორია, მოახდინეს ადგილობრივი მოსახლეობის,ხათების, ხალიბების,ფალების, მოსხების, ტუბალების, კალდების, ხურების,კაშკების ასიმილაცია და მათი ენა ხდება ნახევრად ინდოევროპული.

კოლხური ენის წარმომავლობის საკითხებით ინტერესდებოდნენ წარსულშიც. ჯერ კიდევ მე-5ს. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე „ისტორიის მამად" წოდებული ამტკიცებდა,რომ კოლხები ეგვიპტელები იყვნენ.(აქავღსანიშნავია, რომ ჰეროდოტე, სტრაბონი, და სხვა მრავალი ბერძენი მეცნიერი, დაიბადნენ ქ. გალიაში- კაბადოკიაში, ბერძნულად გალიკარნეს. და ორივეს დედა ლაზები ჰყავდათ). მე მსმენია სხვებისგან, რომ კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობდნენ, რომ მათი აზრით კოლხები წარმოიშვნენ სეზოსტრისას ჯარებიდან". ჰეროდოტეს სიტყვები: „ კოლხებს უკეთ ახსოვთ ეგვიპტელები..." მეტყველებს იმაზე, რომ კოლხები უკეთ იცნობდნენ მათ, ვინაიდან ისინი ეგვიპტესთან აწარმოებდნენ სავაჭრო ურთიერთობას ჰეროდოტებდე ადრე. ალბათ კოლხების კარგმა გათვითცნობიერებამ ეგვიპტელბზე, ისტორიის მამა შეცდომაში შეიყვანა. ამასთან ერთად ჰეროდოტეს მოგზაურობა ხდებოდა 5ს. ჩვ.წ. აღ. ამ დროისთვის ეგვიპტის მოსახლეობის ენა ცოტათი ჩამორჩა, განსხვავდებოდა მეგრულისგან- სხვადასხვა ინდოევროპული დამპყრობლების შემოჭრის გამო.

აი რას წერს ამის შესახებ სირილ არდრედი: „ თუ ვიმსჯელებთ უმაღლესი ქურუმების ბეკენხონსის მიხედვით, რამზეს მეორის დროს, სწავლა იწყებოდა 4 წლის ასაკიდან და მთავრდებოდა

20 წლის ასაკში. შუა საუკუნეების მეფობის კლასიკური გამონათქვამების შესწავლის დროს, რომელიც გამოიყენებოდა ლიტერატურაში ბერძნულ-რომაულ დროში, მოსწავლეს უხდებოდა წინააღმდეგობა მკვდარ ენასთან, რომელიც ძალიან ცუდად ესმოდა, რაც ჩანს კლასიკური ნაწარმოების ასლების აღმოჩენაში, ამიტომ ეგვიპტური ლიტერატურა ჩვენამდე მოვიდა დამახინჯებული სახით".

პროფესორი სეისი: „ ყველაზე დასაშვებია ის ვარიანტი რომ ნასილი ( ასე უწ. მკვიდრი მოსახლეობა მოსულ ბარბაროსებს, რომელთაც შექმნეს ხეთების იმპერია) არის ხელოვნური ლიტ. ენა შექმნილი სასახლის ქურუმებისა და მწერლების მიერ. ასეთ შემთხვევაში არიული ელემენტები, სიტყვები და დაბოლოებები შეიძლებოდა ყოფილიყო გადმოღებული შედარებით უცნობი პრიმიტიული მცირე აზიულ დიალექტებში, რომლებიც წარმოადგენდნენ მხოლოდ ჩამოსაყალიბებელ ენის ფუძეს.

თუ ჩვენ მაინც ვაღიარებთ კაბადოკიის ენაში ინდოევროპული ელემენტების არსებობას, მაშინ იბადება კითხვა, საიდან მოვიდნენ ისინი. ჩვეულებრივ პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ არიული ელემენტები, ისევე როგორც მიტანიის სახელმწიფოში იყო მხოლოდ მმართველი არისტოკრატიისთვის, ხოლო მათი ქვეშევრდომები ეკუთვნოდნენ მცირე აზიულ ტიპს".

მეგრელ-ლაზები ძირითადად ცხოვრობდნენ დღევანდელი საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის ჩრდ. ნაწილის და სომხეთის ტერიტორიებზე. მესამე ათასწ.ჩ.წ.აღ. ინდოევროპელების შემოჭრამდე, მეგრულ-ლაზურად ლაპარაკობდნენ: ხატები, ხურები,კასკები, ხამიტები,პალები, ხანანები,ხალიბები - მცირე აზიის მთელ ტერიტორიაზე ბაბილონის პალესტინის და ეგვიპტის ჩათვლით. მე-4 ათასწ. დასაწყისამდე ჩვ.წ.აღ. დომინირებდა მხოლოდ ეს ენა ( ამ დროისთვის ჩნდებიან სემიტური ხალხი და ინდოევროპელი ბარბაროსები). ამის შესახებ ნათქვამია ქვემოთ.

ხ.საქსი: „ სენარის ქვეყანაში ბიბლიური გადმოცემიდან იყო აშენებული ბაბილონის ციხესიმაგრე; აქ ცხოვრობდა აგრეთვე ერთიანი ოჯახი, რომელიც გადაურჩა მსოფლიო წარღვნას, სადღაც ამ მიდამოებში კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში მდებარეობდა მითიური ედემის ბაღი".

ზუსტად ამაზეა ლაპარაკი ბიბლიაში, რომ ოდესღაც მიწაზე ცხოვორბდა ხალხის ერთი ჯგუფი, რომელიც ლაპარაკობდა ერთ ენაზე. ამ ხალხმა გადაწყვიტა: აეშენებინათ ციხესიმაგრე,

რომელიც ცის კიდეს მიწვდებოდა. ღმერთს ეს არ მოეწონა, მან დაანგრია ციხესიმაგრე და აურია ამ ხალხს ენები ერთმანეთში, ხალხმა ვეღარ გაუგო ერთმანეთს და შესაბამისად ვეღარ შესძლეს ციხესიმაგრის ხელახლა აშენება.

ეს ბიბლიური თქმულება ემთხვევა ინგლისელი მეცნიერის ო.რ. გარნის ჰიპოთეზას, სადაც ნათქვამია უცნობ ხალხზე, მოლაპარაკე ერთ ენაზე, რომლებიც ოდესღაც ცხოვრობდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე კავკასიიდან ეგვიპტემდე. მოვიყვან ციტატას ო.რ. გარნის წიგნიდან: „ ხეთების" ( ხათების) ენაზე შეეძლოთ ელაპარაკათ უზარმაზარი ტერიტორიის მცხოვრებლებს, რომელიც შეიცავდა პალესტინასაც. ძველი აღთქმის ხეთები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ამ ხალხის ნაწილი რომლებიც შემორჩნენ იუდეის მთების იზოლაციაში, მას მერე, რაც ჩრდილოეთით პალესტინას და სირიას, მე-3 ათასწ. დასასრულს, ჩვ.წ.აღ. ჩასახლდნენ სემიტური და ხურიტული ტომები. ამ შემთხვევაში ძნელია ვივარაუდოთ, რომ ჩვენ როდესმე მივიღებთ დამატებით ცნობას ბიბლიური ხეთების შესახებ".

შემდეგ ო.რ. გარნი წერს: „ ეს ენა არსებობდა სხვადასხვა რელიგიურ კულტებში, მათ რიცხვში ხეთების პანთეონის კულტებში, მაგრამ ყველა მსგავსი გამონათქვამები ძალიან მოკლეა და იმისთვის რომ აღვადგინოთ ენის სტრუქტურა ან ლექსიკონი ეს მასალა არასაკმარისია. ამ ენისთვის დამახასიათებელი იყო უამრავი პრეფიქსების გამოყენება. (მაგ. მრავლობითი რიცხვი სიტყვებიდან bini-„ ბავშვი"-იწარმოება პრეფიქსის დახმარებით le-lebini".

აქ უნდა ავღნიშნოდ რომ ხეთური ბინი ძალიან გავს მეგრულ სიტყვას ბაღანას და ლაზურ სიტყვას ბერი- ბავშვი. ენას, რომელსაც ეძებს ო.რ. გარნი, უეჭველად მეგრულ-ლაზურია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ენის არსებობაზე არაფერი იცის სწავლულმა მსოფლიომ. ეს ენა დიდი ხნის წინ ამოიღო ენების სიიდან რამოდენიმე „ კეთილმა" ხალხმა.

დავიწყოთ იქიდან რომ აიაში მკვიდრი ცხოვრების დაწყებასთან საქონლის მოშენებასა და მიწის დამუშავებასთან ერთად აუცილებელი გახდა იმ პირველსაწყისი ინვენტარებისთვის სახელების დარქმევა, რაც წინაპირობად იქცა სალაპარაკო ენის ჩამოყალიბებისთვის. შედეგად ხალხმა შექმნა რა თავისთვის ყველა წინაპირობა, ხალხს გაუმსუბუქთა ცხოვრება, ცხოვრების დონემ აიწია, ამან გამოიწვია სწრაფი გამრავლება. ხალხს უწევდა ახალი მიწების ათვისება. შემდეგში ღმერთი აიას ქვეყნის

ხალხი გამოირჩეოდა უკვე მიწათმოქმედების, მესაქონლეობის და ღვთის მსახურების გარკვეული ცოდნით. შესაბამისად პირველი ხალხის პირველი ენა იწყებოდა ზუსტად აქედან. და შემდეგში ირეოდა სხვა ტომებთან რომელიც ვრცელდებოდა მთელ დედამიწაზე. ამ ენის პირველსაწყისობას ადასტურებს მეგრულ ენაში არსებული სიტყვები, რომლებიც შედგებიან ერთი ბგერისგან, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პირველი მიწათმოქმედების სიტყვები გამოცემული განყენებული ბგერებით: ზ-აზელვა, შექმნა. ხ-დაბადება. კ-მოსავლის აღება. შ-სველი. გ-ბუ, ჭოტი. შ- სოველი; შ- ხსოვნა, ტ-ცური, ტ - ტყავი; ჩ-ჭამა; გ-გავს; წ-ამ წელიწადში; ც- ცაცხვი: ა-აქ; კა- მარცვალი; ფა-ფენა, ფურცელი, შთამომავლობა; წ-წოვა; ძ-ძევს; ლა-ჩამოსვლა, ვარდნა; ბუ-ბუ; კუ-კუ, ცა-ცა; თი-თოვლი, რა-მზე; თუ-გოჭი; სუ-ჩუმად; დუ-იყო; სკ- კვარცხის დადება; დი-პატივსაცემი ადამიანი; დუ - იყო; ჩი-აჭამე; კც-ქვის ტაფა, ჭა-ჩალა; კზ-კოვზი; უმ-უმი, ულ-წავალ; ქო-დიახ, დო-ისიც, კუ-ზღარბი, ტი-ტილი, ხე-ზის, ხე-დაბადება, დი- დიდედა, ნე - ღვიძლი,სო - სად,ჯა - ხე;

ზემოთ ჩამოთვლილი ბგერები, როგორც ცალკე სიტყვები არსებობს დღევანდელ მეგრული ენის ლექსიკონში.

უნდა ავღნიშნოდ რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ბგერებიდან შედგება თითქმის ყველა ღმერთების და სალვთო ადგილების დასახელებები და უმრავლესობა შემთხვევაში ერთი და იგივე მნიშვლელობა აქვს. ( ხა, ხი, ხე, ხუ-მეგრულად შობა, დაბადება)

შედარებისთვის მოვიყვან რამდენიმე მათგანს:

ეგვიპტური-ხუ, ხუხ, ხუხეტ, ხეკა, ხაპი, პტახა .

მაიას ხალხში-ცუნაბხა, ჩომიხა, ცუმუნიხა.

ინდოელებში-ხანუმან, შრატხი, ვაიკუნტხა, ხუნდი, ტირტხა, ხორდოღაია, სიგხა, ბაიგსახი.

ბუდისტურ ქვეყნებში-ბოდხი, კამანხატუ, რუპატხატუ, არუპადხატუ, ამიტაბხუ, შრადხა, სანგხა, მახაიანა, არბატა, ბოდხი.

| | |
|---|---|
| ტიბეტში | -აკანიშტხა ამიტაბხა |
| იაპონიაში | -ხიძირი, ამიტაბხუ |
| ჩინეთი | - ხუანდი, ხოუტუ,. |

ყველაფერი ეს მიუთითებს მეგრულ-ლაზური ენის პირველობას, რომლის კვალი მთელ ჩვენს პლანეტაზეა.

ქართველი ბერის იოანე ზოსიმეს თქმულებაში (მე-10ს, რომელიც მსახურობდა პალესტინაში) ლაპარაკია: დამარხულია ქართული ენა დღესდღეობით, მაგრამ მეორე მოსვლასთან

ერთად მისი ქარვასლები ამ ენით მორთული დალოცვილი სახელით, ღმერთისგან მიღებული იქნება. რომ ყველა ენები ღმერთმა გაანათოს ამ ენით მიძინებული და ეს ენა ქადაგებაში იწოდება ლაზარედ". სრული სიმართლეა რომ დამარხულია მეგრულ-ლაზური ენა მსოფლიომ არ იცის ამ ენის არსებობაზე. თვითონ ქართველები თვლიან, რომ მეგრული ენა ქართული ენის დიალექტია თუმცა ქართველებს მეგრული არ ესმით.

ბიბლიაში ნათქვამია რომ იესოს მეგობრები იყვნენ ლაზარე, დები მართა და მარია. იყო როდესაც იესო ჩქარობდა ლაზარეს მკურნალობას მაგრამ ვერ მიასწრო. მას მოუხდა ლაზარეს გამოცოცხლება. სახელი ლაზარე მეგრულად ნიშნავს; ლაზზი ვარ მე: აქ ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იღწვოდა იესო ემეგობრა და ახლოს ყოფილიყო სამარიანელებთან. ამის გარდა ქვემოთ ჩვენ გავიგებთ თუ როგორ გადასახლდება იესოს დედა იესოს სიკვდილით დასჯის შემდეგ კაბადოკიაში.

კიდევ ერთი საინტერესო დამთხვევა: „ თქმულებით, ივერია- ეს ღვთისმშობლის წილმხვედრი ქვეყანაა, ამაღლების შემდეგ მოციქულები შეიკრიბნენ რათა გადაეწყვიტათ, თუ ვინ რომელ ქვეყანაში წავიდოდა. მარიამ ღვთისმშობელმაც მოუწოდა მოციქულებს ქადაგებაში მონაწილეობის მიღება, და მას ერგო - ივერია. ღვთისმშობელი გაემზადა წასასვლელად, მაგრამ ღმერთმა მას იერუსალიმში დარჩენა უბრძანა და შეპირდა, რომ მისი ხვედრი შემდგომ დროში გასხივოსნდებოდა. და მაშინ ღვთისმშობელმა მოიხმო ანდრია და სვიმონი გადასცა მათ ხელთუქმნელი ხატი საქართველოს დასალოცად. ცნობები ამის შესახებ არსებობს ქართულ და რუსულ მატეანეში და ასევე ნიკონ ჩერნოგორცთან. ბოლო დროს გამოჩენილმა წმინდანმა უღირსეულმა სერაფიმ საროველმა საქართველოს უწოდა ღვთისმშობლის ხვედრი ქვეყანა. თავის მიწიერი სიცოცხლის დროს მას ბევრჯერ მოვლენია ციური დედოფალი".

(არქიმანდრიტი რაფაელი - კარელინას მატერიალებიდან).

ყოვლად საინტერესო ცნობები მოიპოვება საქარველოს ეკლესიის მთავარი ეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის ახლად გამოცემულ წიგნში, სადაც აღნიშნულია რომ ძველბერძნული ეკლესიის მგალობლები ბოლოში გალობდნენ უცხო სიტყვებით რომელიც მთავრდებოდა „ ნენანა- ნენანა" ამ მგალობლების ახსნით ასე უმღეროდა ღვთისმშობელი თავის პირმშოს. შემდეგში ის წერს, რომ იავნანა „ნანა" აქვთ მხოლოდ ქართველებს ამგვარად ვარაუდობს ავტორი წმინდა ღვთისმშობლის ქართულ

წარმომავლობას, როგორც ცნობილია დღევანდელ დღემდე იავნანას მეგრულად ეწოდება „ია-ნანა" სადაც „ ნანა" აღნიშნავს დედას „ ია" - სამშობლოს, ქვეყანას, აია-კოლხეთს, მოვიყვან მაგალითს, თუ როგორ მიმართავენ მეგრელი დედები თავის შვილებს: „ ნანაშ ნინათ გირაგადუქ ქუდამჭერ მა" რაც თარგმანში ნიშნავს „ მე გელაპარაკები შენ ნანას ენაზე", სადაც ნანა - "დედა მარიამია" , ნანხუ- მშობელი, ღმერთი. ნინა - ენაა.

კიდევ ერთი დამაჯერებელი დამთხვევა-ქრისტეს ნათქვამი ჯვარზე ( მარკოზის სახარება 15-34-36) ჟღერდა ასე: "ელოი! ელოი! ლამა სავახვამი".

უნდა ავღნიშნოდ, რომ ივრიტულად ალილუია „ ალილუ" -ადიდე", "ია" -ღმერთი. „ ადიდეთ ია, აია". ცნობილია რომ მეგრულ ენაზე ლა-დაცემაა, ქვევით; შესაბამისად: ლი-მაღლა; ლუ- უფრო მაღლა. ე.ი. მეგრულად ალილუ- ზევით, მაღლა; ია-აია-ღმერთი. სავახვამი - ქუმახვამი - დამლოცე.

ცნობილია, რომ ღმერთ აიას სხვადასხვანაირად უწოდებდნენ მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხი: აია, ელ, ეა, ია. ცნობა იმის შესახებ, რომ ბოგაზ კეაში ნაპოვნია 20 ათასამდე თიხის ფირფიტა, ეჭვს არ ბადებს იმაში რომ აქედან 20% აღმოჩნდება მეგრული სიტყვა.

აქედან დასკვნა, რომ მე-15 ს.ჩვ.წ.აღ. ხათების ენა თანდათან გამოიდევნებოდა, ერეოდა რა ინდოევროპულ ენებთან. შემდეგში ხათების ენას ეწ. ხეთური. მოძიებული ხეთურ ლურსმულდამწერლობის წარწერებში ჯერ კიდევ მოიპოვება მეგრული სიტყვები, უმნიშვნელო ცვლილებებით.

ბოგაზკეისკის ცენტრში, ციხესიმაგრეში დადგმულ ქვაზე წარწერა სიტყვებით „ ნიშან- ტაშ", ნიშნავს, რომ იქ იყო დაკრძალული ღრმადპატივცემული ადამიანი. სიტყვა სიტყვით თარგმანი მეგრულად „ ნიშანი". დღემდე სამეგრელოში შემოინახა ეს რიტუალი „ნიშანის" დადგმა მიცვალებულის საძინებელში. მიცვალებულის საწოლზე დებენ მის ტანსაცმელს და სხვა პირად ნივთებს, ეს რიტუალი გრძელდება 40 დღე ხანდახან მთელი წელი. „ ნიშნანს" მეგრელები მეორენაირად უწოდებენ საფლავის ქვასაც.

დასახელება „ალიშარა" ( შარა-მეგრულად გზა) ხეთების მოსახლეობა, ძალიან გავს აფხაზეთში დღევანდელ დასახლებას „ბაბუშარა", რაც მეგრულად ნიშნავს „ ბაბუას გზა".

ინდოევროპელი ტომების შემოჭრის შემდეგ ხათების და ხურების ენა შეიცვალა, და არამარტო ენა, არამედ მათი წეს-

ჩვეულებები. მშვიდობიანი ხათებისგან ჩამოყალიბდნენ მეომარი ხეთები რომლებიც იპყრობდნენ მთელ ტერიტორიას ეგვიპტემდე. ქვემოთ მოვიყვან ციტატას ა. ე. ნოგოვიცინის წიგნიდან სადაც ის ვარაუდობს ხურიტების ენის კავშირს კავკასიური ხალხის ენასთან.

ზემოთ მოყვანილი მქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ ძველ ბერძენი მეცნიერები აპოლონია როდოსკი, ევგემერისტ პალაფეტი, ხარაკსი, პერგამსკი, დიონისეა პერიეგეტა, იოანა, ანტიოქიელი თვლიდნენ რომ კოლხებს ქონდათ დამწერლობა და უწოდებდნენ მას „ კირბს". ისინი წერდნენ ხის ფირფითებზე და ბატკნის ტყავზე. კოლხები დამწერლობისათვის და მხატვრობისთვის იყენებდნენ სხვადსხვა მასალას, მაგრამ განსაკუთრებით მოსწონდათ ხის ფირფიტებზე წერა. კირბებს უწოდებდნენ იმ მწერლებს, რომლებიც ბატკნის ტყვაზე წერდნენ. მწერლებს რომლების ხის ფირფითებზე წერდნენ ეწოდებოდა" მოსარჯე".

ზემოთ თქმული დასტურდება რუსი მეცნიერის ა. ვოლკოვის და ნ. ნეპომნიაშის მიერ: "დღევანდელ დროში, დამტკიცებულია, რომ იეროგლიფები იყო პირველსაწყისი ხეთების უძველესი დამწერლობის და ყოვლად დასაშვებია რომ ეს თვითონ გამოიგონეს. როდის? ყველა მონაცემით ჯერ კიდევ თავიაანთ გამოჩენამდე მსოფლიო ისტორიის არენაზე, მცირე აზიის საზღვრებში. ამასთან ერთად ხათებმა ის შექმნეს ეგვიპტელებისგან დამოუკიდებლად, რომლებთანაც არავითარი კავშირი არ ქონდათ. ლურსმული დამწერლობა კი პირიქით, მხოლოდ გადმოიღეს. ხათების მწერალი წერს, ეს იყო ლურსმული დამწერლობა თიხის ფირფიტებზე თუ ტყავის ვერცხლის ფირფიტებზე- სიტყვა სიტყვით თარგმანში ის მაინც ინოდება როგორც „მწერლობა ფიცარზე" ( დუბ. შარ.გი) აქედან გამომდინარე გაშიფრული ტექსტები ამას ადასტურებს რომ ხეთები თვითონ ირქმევდნენ სახელს - (დუბ.სარ.გი ) - დობსარჯი ანუ მოსარჯე. დობ-წინსართი. სარჯი-მეგრულად სარჯუა- ჩასმა, სარჯელ, შრომა. დობჩკადი- დაჭედვა; დობსკანჩი - დაპრესვა. დოპსანჩი-შეკვრა.

აქ უნდა ავღნიშნოდ, რომ ძველი კოლხები ეგვიპტელებისგან განსხვავებით ( რომელნიც პაპირუსზე წერდენ) წერდენ ფიცარზე ან კირიბის ტყავზე. სახელდობრ სიტყვა დობსარჯი დაკავშირებულია ხის ფირფიტებთან. მოგვიანებით ხათები და ხურები წერდნენ ქვაზე, ტყვიის ფირფიტებზე, თიხაზე, მაგრამ ხელს აწერდნენ მიღებულ სიტყვას „დობსარჯი" -დობჩარე-

დანერა, მოსარჯე- მწერალი ფიცარზე. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ზემოთ ხსენებული „კირბი"-ბერძენი მეცნიერების მიხედვით არის ბატკნის ტყავი. მეგრულად ბატკანს ქვია „კირიბი". ამგვარად ის მწერლები რომლებიც წერდნენ ბატკნის ტყავზე ინოდებდნენ როგორც კირბები ან კირიბანტებად, ხოლო ისინი ვინც წერდნენ, ფიცარზე ინოდებოდნენ მოსარჯედ. თამამად უნდა ვთქვათ, რომ მეგრელ - ლაზები, ხათები, ხურები, ხანანები, ხამიტები ერთენოვანი ხალხია, ერთი ენით და დამწერლობით.

ზემო აღნიშნულის დასადასტურებლად არის ის რომ პირველი ალფავიტი მსოფლიოს მისცა მეგრულ-ლაზურენოვანმა ხალხმა-ხანანებმა.

და ბოლოს შეიძლება ითქვას,მეგრელ- ლაზების დამ-წერლობის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 5000 წლის წინ, ხდება უეჭველი, „ფესტოსის" დისკის წაკითხვის შემდეგ.

„ფესტოსის დისკის წაკითხვას კოლხურ ენაზე, მხარს უჭერს ლინგვისტური მასალა, მიღებული და აღდგენილი, მეცნიერების, თამაზ გამრეკელის და პროფესორი გივი მაჭავარიანის მიერ, პროტო-ქართველური ენის (კოლხური) შედარებითი მეთოდებით. და ყველა ეს მასალა ადეკვატურად ასახულია დისკის წარწერაზე. აღსანიშნავია რომ გია კვაშილავამა შესძლო წაეკითხა ცალკეულად დამარცვლით ნახატების და ნიშნების, მორფოლოგიური ღირსებების და მოახდინა დისკის ორივე მხრის გაშიფრება".

იქ სადაც გაჩნდა პირველი ადამიანი,დამაჯერებელია რომ იქვე გაჩნდა მეტყველება და შესაბამისად პირველი დამწერლობა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება თამად ითქვას, რომ მე-4 ათასწლეულისთვის ჩვ.წ.აღ. კავკასიის,მცირე აზიის, სენარის და ეგვიპტის ხალხები ლაპარაკობდნენ ერთ ენაზე და დამწერლობაც ერთი ქონდათ.

ვარაუდი, ბევრი დასავლეთის მეცნიერებისა, იმის შესახებ რომ ძველი საიდუმლოებების გასაღები დევს კავკასიაში(კოლხეთში)-ეს ჭეშმარიტებაა. ეს არის ის პირველადი ენა, ენა პირველი მიწადმოქმედების, ღვთისმსახურების მეტალურგების და მწერლების.

უძველესი კოლხები იყვნენ ღვინის წარმოების ხელოვნები, რომლებსაც ღვინო გაჰქონდათ მცირე აზიაში და ეგვიპტეში. ცნობილია ვაზის ძველი სახეობები, რომლებიც ძირითადად ითვლება გადაშენებულად: ჩარგვალი, საკმეველი, ჩვიტილური, ჩიტიში, უგვარო, ხოჯიში, კაბისონი, ხარდანი. დღეს-დღეისობით

გავრცლებულია შემდეგი სახეობები: ოჯალეში, ოდესა ოდოია, კაჩიჩი, ნოე.

სადაც გაჩნდა პირველი ღვინო, ბუნებრივია მას მისცეს პირველი დასახელება. მეგრულად ღვინ-ღვენა-რინა ანუ ცხოვრება სიმდიდრეში (სახლში ღვინის ქონა ითვლებოდა სიმდიდრედ), ღვინ - ღონე- ძალა (აძლევს ძალას).

ძველ კოლხებში თამადა ითვლებოდა სუფრის მთავარ წევრად. არჩეული თამადა უნდა ყოფილიყო, ადამიანი ერუდირებული და მაგალითი მისაბაძად. თამადა (დად) იყო როგორც ორატორი,უხუცესი. ძველი კოლხების ხალხური ეპოსიდან ცნობილია,რომ არჩეულ თამადას (ხალხის ორატორს) აკისრებდნენ მეომრების წინაშე გამოსვლას, რომ მას მიეცა დარიგება,იმედი გამარჯვებისთვის. თამადა-მეგრელებთან არის სუფრის თავი- ორატორი, ფილოსოფოსი.

ვფიქრობ, არ არი უსაფუძვლო, რომ ჩავთვალოთ მეგრულ-ლაზური ენა პლანეტის ენების პროტოენად. უდავოა,რომ მეგრულ-ლაზური ენა ასრულებს შიფრატორის როლს, აზრობრივი მნიშვნელობით, ბევრ ამოუცნობ საიდუმლოებებში დედამიწაზე. ერთი უეჭველია, რომ მეგრულ-ლაზური ენა არის გასაღები ყველა იმ ძველთა - ძველისა, უცნობისა მეცნიერებისათვის.

## მეგრელების რელიგია

ჩვენ დროში ზოგიერთი საერთოდ არ სცნობს რელიგიას, ამავე დროს ისინი ვინც ცნობენ მას,ცდილობენ იზოლირება გაუკეთონ,როგორც მათი ცხოვრების განუყოფელ ასპეკტს. ეს და სხვა ურთიერთობა რელიგიასთან წარმოუდგენელი იყო იმ დროისთვის. ძველად, ადამიანისთვის რელიგია იყო არა აუცილებელი დამატება ცხოვრებაში,არამედ არსებობის ასპექტი,რომელიც შეადგენდა მთელი მისი ცხოვრების არსს.

ძველ დროში ყველა ხალხს თავისებურად უყალიბდებოდა ღვთისმსახურება,ეს დამოკიდებული იყო მისი მოღვაწეობის სახეობაზე. ღმერთი ყველა ხალხს, მათ საკუთარ ენაზე ელაპარაკებოდა: კულტურული ტრადიციების,აზროვნების საშუალების,ღმერთის შეცნების ენაზე.

ხალხის სრულ პირდაპირ დამოკიდებულებაშია განმანათლების სულთან, რომელმაც გადასცა ხალხს ღვთიური გულწრფელობა. ყველა ხალხი ცხოვრობს იმ პირველი რწმენით, რომელიც მიეცა მას ღმერთისგან, მიუხედავად იმისა შეეცვალათ

მათ რელიგია თუ არა. (მაგალითი: ქვევით მოცემულია როგორ ეხამება წარმართი რელიგია მართმადიდებელ რელიგიას).

პირველი მიწათმოქმედებისთვის და მესაქონლეობისთვის (კოლხები) რელიგია იყო აუცილებელი ატრიბუტი ცხოვრების გაგრძელებისა, რაც დასტურდება კოლხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩატერებული არქეორეგიული გათხრებით. არქეოლეგებმა აღმოაჩინეს „რიტუალების კერები", რომლის გარშემოც ტარდებოდა კულტის ცერემონიები: „ცხვრის მსხვერპლშეწირვა", რომელიც თარიღდება მე-6 - 7 ათასწლეულით. „იმირის მთაზე" და „მელიგელეში" აღმოჩენილია სპეციალური ნაგებობები კულტის გასაგზავნად,პრიმიტიული დარბაზები, რომლებიც აშენებული 5-7 ათასწლეულში.

კოლხური ეპოსიდან ცნობილია,რომ „ეფუთი" ეს არის მეგრული საღვთომწერლობა, „ეფუთ". ის რომ მეგრულ-ლაზურენოვან ხალხს ქონდათ „ბიბლია" დასტურდება იტალიელი მეცნიერების გამონათქვამში ეტრუსკების ბიბლიის მიმართ. ამის გარდა ისინი ასახელებენ ეტრუსკების „ბიბლიის" შემქმნელს ღმერთს - თაგს. აქ უნდა გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ თაგი ცნობილია დასავლეთ საქართველოში. დასახლებულ პუნქტზე - ტაგილონზე, და ღმერთ თაგ -ზე ბევრია ნათქვამი უხუცესების მიერ: " ის რომ ღმერთი თაგი მოდის ყოველ წელიწადს მიწის დამუშავების დაწყების წინა დღეებში, თან მოივლის თაგილონის ყველა ადგილებს, და აძლევს მიწადმოქმედებს დარიგებას. ამ ადგილის სახელი მოდის ღმერთი თაგიდან, რაც ნიშნავს: თაგილონ; თაგ - ღმერთის სახელი; გილ - მოიარე; ონ - შორეული წარსული.

მეგრელებს შორის ეფუთი კარგადაა ცნობილი. უხუცესების თქმულებები ეფუთის მიმართ: " ის რომ ეფუთში დაწერილია ასეთნაირად და უნდა მივყვეთ მას, რომ ეფუთიდან ცნობილია 10 მცნება: არა მოკლა- კოჩ უაკვილა; არ მოიპარო-ვეხირა; პატივი ეცი და მოუსმინე უფროს - უნჩაშიშ რჩკილა და პატივისცემა გიღუდას; შენი თავი არ წარმოადგინო კერპად- დუდ ვაციკინუა; კაცი არ მოატყუო-კოჩ ვაღორა; ყოველთვის აკეთე სიკეთე-ირო ჯგირ აკეთ; არ უღალატო მეგობარს - ჯიმაკოჩის ვაუღალატა; დაეხმარე მოხუცებს და პატარებს-ჭიჭეს დო მოხუცებულს მეხვარ; მტერი არ დაამცირო - ტერ ვადამცირა; მტერს სახლი არ დაუწვატერიშ ყუდე ვაჭვა. მცნებები ეფუთიდან გავს ბიბლიის მცნებებს. აქ უნდა ვთქვათ,რომ სამეგრელოს ქ.ფოთი მეგრულად იწოდება ფუთ. ცნობლია,რომ ფუთ იყო წმინდა ქალაქი, ამაზე თვით

ბერძნები მოიხსენებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ თვით ღმერთსწავლულობა დაწერილია ამ ქალაქში. თვით სიტყვა ეფუთ მიუთითებს: ე - ეფუთ; ე იქ ფუთია, წმინდა წიგნის გაჩენის ადგილი.

ის რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ღმერთების სახელები შემოინახა მეგრულ-ლაზურენოვან ხალხში ამბობს იმას რომ ეს ღმერთები მათია და არსაიდან არაა გადმოტანილი. უმრავლესობა სახელები მეგრელ-ლაზებისა და გადმოტანილია მათი წარმართი ღმერთების სახელებისაგან:

უტა. დუტ. ხუტა. მუტუ. ტუტუ. მახუ. დიტო.
ტუია. ტაია. ტარო. მარო. ნესტანი. ციცო.
ტინია. ანად(ნათია,ნათელა). ლელა. ლევა.
ლუკა. კუსარ-კუსურა. ნანნა-ნანა.
გული-ექიმობის შუმერული რმერთი. გული-გული.

ბევრი ზემოთ ჩამოთვლილი ღმერთები გავრცელებული იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების ხალხს შორის,და მათი სახელები დღეს გავრცელებულია შეიძლება ასე ითქვას მხოლოდ სამეგრელოში. ეს ადასტურებს, რომ ამ ღმერთების სახელები მათ მიერ იყო გაჩენილი ანუ მათთან იყო გაჩენილი.მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხის ტერიტორია იყო ყირიმიდან ეგვიპტის ჩათვლით. დღეს მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხი ცხოვრობს მარტო საქართველოში და ჩრდილო - დასავლეთ თურქეთში.

მეცნიერების მტკიცებულებით „კუსარი" - ხანაანელების ღმერთია და ცნობილია როგორც ბრძენი, გამოსადეგი ოსტატი, ყველა საქმის მცოდნე: მშენებელი, მჭედელი, ჩამოსასხმელი მენალე. „კუსარი" მეგრული სიტყვაა და მისი მეგრული თარგმანი ადასტურებს მეცნიერების მტკიცებას.:კუ-სარ", „კუ-ჭედვა, შექმნა. „სარ"-სასჭელ, სარგებელ-სასრგებლო შრომა; კუსარ- შემოქმედი.

ლევანი-გაზაფხულის ღმერთი (ხეთების)

ტინია-ეტრუსკების აფროდიტა. ტინია სწორი, მართალი მეგრულად.

ლადო-ძველ რუსულ მატიანეში მოიხსენება როგორც ზეიმების დამხიარულების ღმერთი.

დატა-ლუვიის ღმერთების მეფე.

დიტო-კელტების ღმერთების მეფე.

ნესტან-ნესტიან დღა - მეგრულად; ხათო-ხურების ავდარიანი ამინდისღმერთი. ნესტიანი ამინდი.

მუტუ-ხანაანის მიწისქვეშეთის ღმერთი.

უტა-აკადეს მზის ღმერთის შვილი, ქალაქების სიპარის და

ლარსის მფარველი.
ტუტუ-შუმერული ღმერთი, ადამიანების წარღვნისგან გადამრჩენელი.
ილუ-ტალღების და შტორმის ღმერთი. მისგან წარმოიქმნილია ილორის ეკლესიის სახელწოდება - ილურ.
ტაროზ-„კარგი ამინდის ხათო-ხურიების ღმერთი ტაროზ(ტარო) დღევანდელ მეგრულში "ტაროზი" ნიშნავს -კარგ(მზიანი) ამინდს. აქედან გაჩნდა სახელი - ტარიელ; ნესტიან - ნესტან.

დაკიდევ ბევრი ღმერთების სახელებია ცნობილი მსოფლიოს ისტორიაში: ილია, ილარიონ, ილონა, ილუშა.

ის რომ ღმერთი რა- მეგრულ -ლაზურენოვანი ხალხის ღმერთია, ადასტურებს მეგრული, სვანური სიმღერები, რომელსაც დღვანდელობაშიც წაიმღერებენ:რაიდა, სივარაიდა, ვორერა, რაშოვდა და ა. შ. დღვანდელობამდე მეგრელებში არსსებობს ადმიანის ავადმყოფობისგან სულების განმწმენდის წეს-ჩვეულება. მაგალითად: თაგვს როგორც სოროში მცხოვრებს, მიწიერ ცხოველს აქვს ხტონური ხასიათი. ამიტომ მან უნდა წაიღოს მიწისქვეშა სამყაროში ადამიანის დაავადებები. დღეს-დღეისობით მეგრელებში ეს წეს-ჩვეულება მდგომარეობს შემდეგში: როდესაც ბავშვს უღებენ სარძევე კბილს, ამ კბილს მოაბამენ თაგვის ფეხს და უშვებენ, თან დააყოლებენ: „სკანჭირ უგალდას"- ყველა შენი ავადმყოფობა წაეღოს. ანალოგიური წეს-ჩვეულება ქონდათ ხათებს, ამაზე მოგვითხრობს შემონახული ხეთური ლურსმულ დამწერლობის ტექსტი (3500 წ):

„მე მოვხსენი ყველა ბოროტი შენგან. დაე თაგვმა წაიღოს ყველაფერი ავი, წავიდეს შორეულ გზაზე,მთისკენ და მინდვრებისკენ".

წეს-ჩვეულება „ცოდვების განტევება" მეგრელებში შემოინახა დღევანდელ დღესაც და ეწოდება მას „აშაზელი". სიტყვიდან ზალა. აშაზელ-მოზელვა.ეს წესჩვეულება მდგომარეობს შემდეგში: კლავენ ხარს და მისი სისიხლით განბანავენ ადამიანის ხელებს, რომელმაც ცოდვა ჩაიდინა, შემდეგ სისხლს აზელავენ მიწასთან და მარხავენ. რის შემდეგაც ცოდვა მოხსნილად ითვლება. ანალოგიური წეს-ჩვეულება გააჩნდათ ხეთებს, ხურიტებს და ეწოდება მას „აზაზელ", რაც ძალიან მოგვაგონებს მეგრულ „აშაზელ"-ს.

საიდუმლო არ არის, რომ ძველ გალობებში იმალება ამა თუ იმ რიტუალების საიდუმლო. „ტაია-ტაია-ვოტა-ტაია". სავარაუდოდ ეს დამღერებები სოკრარული ხასიათისაა. ეს

რიტუალი ერთვებოდა ეროტიკულ ცეკვებს. ეს სახელები მოიხსენიება ფარაონების ნათესავების სახელებს შორის: ტაია,ატ ა,ტეა,მახუ,კია,ხუმფუ,ტუტუ,ტუია.

მეგრული ფოლკლორიდან ვიცით,რომ მგელი,ძველ მეგრელებში ასოცირდებოდა, ერთიანობის გამძლეობის, გამარჯვების სიმბოლოდ. ცნობილია,რომ „გერკოჩ"-ი პირველად მინათმოქმედ ხალხ შორის აღმოჩნდა, როგორც „მინათმოქმედების" მფარველი სადღაც 6000 წლის წინ.

მეგრულ თქმულებებში ნათქვამია, რომ პირველ მინათმოქმედებს ძალიან უშლიდნენ ხელს „უჩაკოჩ"-ები, „ოჩოკოჩი",ბნელი ხალხი. რომლებიც ანადგურებენ მოსავალს. უცბად გამოჩნდებოდა გერკოჩი, რომელიც ანადგურებდა მათ თავისი მაგიური შუბლით. თქმულება „გერჩოკ გეორჯგინ" - შეიძლება ბერძნებმა გადმოიღეს პელაზგებისგან - კოლხების მონათესავე ტომებისგან. შემდგომში თქმულება „გერკოჩ გეორჯგინ" ჩნდება ქრისტიანულ რელიგიაში როგორც გიორგი ბრწყინვალე. არ არის გასაკვირი, რომ საქართველოში თითქმის ყოველი მეორე ეკლესია ატარებს გიორგი ბრწყინვალის სახელს და ის ხომ ახლო იყო კოლხების წარმართულ რწმენასთან.

დღევანდელი მეგრული ენის სალაპარაკო მეტყველებაში, სიტყვის წყობა „გერცალ კოჩრე" თარგმანში აღნიშნავს- „ ადამიანი მგელივით ძლიერი". ყოვლად შესაძლებელია,რომ აქედან წარმოიშვნენ მეგრული გვარები: გერ-ზმავა, გერგაია, გეგია, გეთია, გოგია. სახელები: გერონტი,გეორგი,გივი,გოგი,გელა გიგლა, გიგო. მეგრული სიტყვა გერდანაა: გერჯგინაპა-გამარჯვება, გერგინაპა - განადგურებული, გერაკაპა- შეხება, გერცკინაპა-მიცვალებულად გარდაქმნა, გერხინაპა-საფუძვლიანად განადგურება. თქმულება „ გეორჯგინ მაზაკვალს", გერ მგელია; გეორჯგინ- ნიშნავს ბოროტებაზე გამარჯვებას.

აქ უნდა ავღნიშნოთ რომ საქართველოს უდიდესი მეფის ვახტანგ გორგასლის მეტსახელი წარმოიშვა სიტყვა გერი-დან. მისი სიმაღლე ორ მეტრზე მეტი იყო და მის საომარ მუზარადზე გამოსახული იყო მგელი. ვფიქრობ მისი ნამდვილი მეტსახელია ვახტანგ გერცალი.

ზემოთ მოყვანილის დამადასტურებლად მოგვყავს ქართველი მკვლევარის რ. ერისთავის ცნებები, თავის წიგნიდან „მზის შვილები", სადაც ის გვივლენს რ. ლიუბიმოვის წიგნიდან ამონაწერს „ძველი ქვეყნიერების ხელობნება", გ. ვ. 282, სადაც არის კელტების მონეტის ფოტო. მოონეტის ერთ მხარეზე

მოჩანს მხედარი ამხედრებული თეთრ ცხენზე შუბით ხელში და წარწერით „გიურგი", ხოლო მეორე მხარეზე არის წარწერა „ იროძირი". იროძირი- ყოველთვის ნახე.გიორგი ყოველთვის ხედავს(ბოროტებას).ცნობილია, რომ აზოვის ზღვის სანაპიროზე და ყირიმში ცხოვრებდნენ კოლხური ტომები-იბერები .

უფრო მეტიც რ. ერისთავი წერს: „ეგვიპტეში ნაპოვნი ქვა, რომელიც 21 სმ სიმღლისააა მასზე ამოკვეთილია მხედარი თეთრ ცხენზე, რომელიც კლავს წყალხმელეთა ცხოველს" , ეს ქვა ამჟამად ინახება საფრანგეთის სახელმწიფო მუზეუმში. ფოტო გამოხატულია ყდაზე. გამოდის, რომ გერკოჩი-5ათას წელზე მეტი ხნისაა.

ცნობლია, რომ ყველაზე პატივსაცემი ეტრუსკების ღმერთი იყო გერკლე ,გერრე- მეგრულად მგელი. ეტრუსკებში იმქვეყნ-იური ღმერთი აიტა, ატარებდა მგლის სკალპს. გერმანულ ღმერთ ,,ოდი"-ნს — თავის მორჩილებაში ყავდა ორი მგელი როგორც ვხედავთ ევროპის უძველეს ხალხში მიწათმოქმედების გადასარჩენად ვლინდება ,,მგელი" გერკოჩი-ჰერაკლე. უეჭვე-ლია ეს მოტანილია ხეთების და ვენეტების მიერ, რომლებიც დიდხანს ცხოვრობდნენ მეგრულ — ლაზურენოვანი ხალხთან.

ბერძნული „გერაკლი" მეგრული სიტყვიდანაა გადმო-ტანილი. უნდა ითქვას, რომ არა მარტო გერი არამედ ბევრი სხვაა გადმოტანილი და სახე შეცვლილი.

აი კიდევ ერთი ფაქტი რომელიც ადასტურებს გერკოჩის არსებობაზე. ცნობილი მეცნიერეის დ. გამახარიას წიგნიდან "მასალები ეკლესიური, აფხაზეთს ეთნოპოლიტიკური ისტორიიდან". სადაც ნათქვამია რომ სამეგრელოს მმართველის ლ. დადიანის თხოვნით, რუსეთის მეფე მიხეილი( 1640წ) აგზავნის ელჩებს: დ. ელჩინს და პ. ზახარიას, იმისთვის რომ შეისწავლონ ყველა ეკლესია, მონასტრები, შესული ლეონტი დადიანის მფლობელობაში, ბიჭვინთიდან დიდჭყონამდე.

ფ. ელჩინის და პ. ზახარიევის მოხსენებიდან ჩანს თუ როგორ წმიდად და პატივსაცემად ინახავდნენ გიორგი ბრწყინვალის იარაღს ილორის ეკლესიაში. „იმავე ეკლესიაში დევს მგზნებარი გიორგის რკინის მშვილდი, მიდებული კედელზე, მის გვერდით დევს 12 ჭოკი".

ქრისტიანულ რელიგიაში წმინდა გიორგი ჩნდება კაბადოკიის მკვიდრ მოსახლეობაში მესამე საუკუნეში ჩ. წ. ა. ყველაზე განსაცვიფრებელია ქვემოთ მმოყვანილი არგუმენტი, რომელიც გვიჩვენებს გერკოჩის" არსებობას 4 — 5 ზე მეტი

ათასწლეულის წინ .

მეცნიერი სერგეი მაკალათიას წიგნიდან ჩვენთვის ცნობილია წარმართი ზეიმები რომლებიც 5 ათასი წლისაა. ზეიმებმა სახელწოდებით „ჯგერაგუნა" და „ ჯეგემისარონამ" ეს დასახელება მიიღეს ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ. ვინაიდან წარმართულ ზეიმებს დაემატა ქრისტიანული ზეიმები. ალბათ ეს გახდა ხალხისთვის ძალიან ზედმეტი, ამიტომ გადაწყვიტეს გაეერთიანებინათ სამსამად წარმართული ზეიმები და აღენიშნათ ერთ დღს.

„ჯეგემისარონა" ამ სიტყვაში გაერთიანებულია სამი წარმართული ღმერთი.

ჯე- გე- მისარონა, სადაც „ ჯე"- ჯა- ხეა. „გე"-გერ- მგელია. (უძლიერესი ყოვლისშემძლე გიორგი პირველი მიწადმოქმედთა გადამრჩენი და მფარველი).

„მისარონა" - სინათლის ღმერთი თვალის ჩინის ღმერთი ძველ მეგრელებთან(მირსა, გომირსელ, გომირსინაპილ).

ჯეგემისარონა"-ს აღნიშნავდნენ მირსასთვის (ქირსე-იენ-ვარი) ბოლო ოთხშაბათს. ამ დროისთვის კლავდნენ (სპეც. შერჩეულ) ღორს. სამჯერ შემოატარებდნენ ღორს კოცონის გარშემო რის შემდეგ სახლის უფროსი წარმოთქვამდა ლოცვას:

"გორონტ პატინ ამ დგარ დგა სი გომტიბინე,
ვხვამულენ დოდგიმირსუ,
სი გინატე ირ უბადოშე ჩილ დოსკუა,
ბრელ დოდგიმირიშ ხვამა ქუმაცალ გურ მხიარულო".

ცნობლია „ ჯეგე- მისარონას ეკლესია", თავისი ხატით სოფ. ჯიხაშკარში. ის მიეკუთვნებოდა გვარებს: შენგელაიას, ჩარგაზიას, ზარანდიას. ასევე ცნობილია ეკლესია- მისარონა სოფ. გეჯეთში სადაც სალოცავად დადიოდნენ გეგენავა და ალასანიას გვარის მატარებლები.

ხალხი თხოვდნენ მისარონას ხატს რომ გაენთავი-სუფლებინათ თვალის, და ზურგის ტკივილებისგან ავადმყოფები, მოპქონდათ შესაწირი ნემსები, ფული, ფერადი ძაფები.

„ჯეგემოსარონას" ზეიმის ანალოგიურად შემოინახა ჩვენს დრომდე წარმართული ზეიმი „ ჯგერაგუნა". მას აღიშნავდნენ განცალკევებულად. ჩვენს დროში ეს ზეიმი შედგება 3 წარმართული ღმერთისგან." ჯ-გერ- აგუნა", სადაც „ ჯ"- ჯა-ხეა. გერ"-(მგელი)-წმ. გიორგი. „აგუნა"- ალ- ალი მეგრულად. ცეცხლის ღმერთია. ამ ზიემს უძღნიან ფუტკარს. ამ დროს შესაწირად მოყავთ ბატკანი, ხარშავენ კვარეფს. (კვარეფ

ითვლებოდა ღმერთის კურთხეულ საქმელად) და რიტუალის ჩატარების შემდეგ წარმოთქვამენ ლოცვას:

„ჯგერაგუნა" სკან სახელ ხვამელ,
ჩქიმ სკალეპ გამიშხუნე, ბრელ ქოკია,
ჯგირ ტოპურ გაკეთებაფე,
მავნე ალიან-ჩალიან, შორიშა ქომირაქი,
თენა ჩქიმ სასარგებლოო ქოკია".
„ჯგერაგუნა"- დალოცე და გაამრავლე ჩემი ფუტკრები,
რომ მათ გააკეთონ კარგი თაფლი,
ცუდის მომტანი განდევნე შორს
და გახადე ის სარგებლის მომტანი".

მსგავსი ზეიმები ქონდათ ძველ ხათებს, რომლებიც გარკვევით შემოინახა ხეთურ ტექსტებში. ხეთების ღმერთი აგნი (აგუნა, ალუნა, ალ-ალი) -ცეცხლის ღმერთი. ამ ტექსტებიდან (მეთხუთმეტე-მეთორმეტე ს. ჩვ. წ. აღ.) ჩანს ღმერთ აგნის კავშირი ფუტკართან:

„.... ცეცხლი, მზის ღმერთის ვაჟი მოვიდა,
ხოლო ღამით წავიდა, გასრიალდა გველივით,
ის შეიკრა რგოლოვით და გაფრინდა ფუტკარივით......".
მაღლა ჩმოთვლილიდან უეჭველია, რომ გერკოჩის
გიორგის გაჩენის ადგილი არის- აია(კოლხეთი).

სამეგრელოში, ისევე რიგორც მცირე აზიის და ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე ხარს თვლიდნენ წმინდა ცხოველად. ძველბერძნული წყაროებიდან ცნობილია, რომ აეტის სამეფოში ჯერ კიდევ 4 ათასი წლის წინ ძალის და სიძლიერის სიმბოლოდ იყო ცნობილი „ცეცხლოვანი ხარები". ძველ კოლხეთში თვლიდენ, რომ ხარის რქები და თავი განდევნიდნენ უწმინდურს. ხარის რქებიდან დალევა ძველ მეგრელებში ითვლებოდა მფარველ მაგიურ ძალად, შხამების და ყველანაირი უბედურების წინააღმდეგ. ეს რიტუალი დღემდე შემოინახა. ქორწილებში ან სხვა სუფრაზე თამადას უდგამენ ხარის თავს და რქებს(ყანწებს). ძირითდ სადღეგრძელოს სვამენ ყანწიდან, დანარჩენი სურვილისამებრ.

წარმოუდგენელ ინტერესს იწვწვს მე-3 ათასწლწულში ჩვ. წ. აღ. რელიეფი, მომრგვალებული თავით, აღმოჩენილი ლეონარდ ვულის მიერ დუბლამაში, ქ. ურაში. "ამ რელიეფზე გამოსახულია ღმერთი ეა (აია), ქ. ერიდუს მფარველი (ქ. ერიდუ, ერი- დუ ითარგმნება მეგრულად: ერი- ხალხი; დუ-იყო). როგორც ვული წერს თვის წგნში: ურ ხალდეისკი", „ ძველი შუმერების

ტრადიციების თანახმად - მთვარეელი ღმერთი გამოსახულია ქოთნით ხელში, საიდანაც მოედინება წყლის ორი ნაკადი მათში მოცურავე თევზებით. ღმერთი ეა(აია), როგორც მარადიულობის მმართველი, ხელში უჭირავს სათავე საიდანაც იბადებიან ტყუპი მდინარეები - ტიგრი და ევფრატი, მესოპოტამიის მიწაზე სიცოცხლის მომტანი".

მთავარ ღვთაებად ხანაანის პანთეონის იყო ელი (აია), უმაღლესი ძალის განსახიერება, რომელიც მოქმედებდა ხალხის და ღვთაებების ყველა საქმეში. ელი-ს (აია) ხატში განსახიერებულია ხანანელების წარმოდგენა მაღალ ყოვლიშემძლე ღმერთისა, ბრძანებელისა, ყოველნაირ ავ ძალებზე.

ზამოთ ჩამოთვლილი ადასტურებს კოლხური კულტურის და რელიგიის ტრანსფორმაციას მცირე აზიის ქვეყნებში. ამას მოწმობს ბიბლიური თქმულებები, სადაც ლაპარაკია კოლხური ტომების: მოსხების, ტუბალების, ხეთების(ხათების), ხანანების არსებობას პალესტინაში ებრაელების მოსვლამდე. ასევე ხეთების( ხათების) ლიდერ ურიაზე, სამარიანელ იესოს მეგობარ- ლაზარეზე და ა. შ. კოლხები და მათი მონათესავე ტომები(ხათები), ებრაელების მოსვლამდე, პალესტინაში აშენებდნენ პატარა დარბაზებს, სალოცავებს სადაც ატარებდნენ ღვთისმსახურებას.

კიდევ ერთ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ქვემოთ თქმული, რომ მეგრელები ავრცელებდნენ თავიაანთ ღმერთ აია-ს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. მეცნირები თვლიან, რომ მე-4 ათასწლეულის ბოლოს, შუმერებმა გამოიგონეს დამწერლობა-ლურსმული, თიხის ფირფიტებზე. ქვემოთ მოვიყვან იმდროინდელ ფრაგმენტებს „თქმულებები ატრახასიზე"- გმირზე, რომელმაც იხსნა ხალხი, ცხოველები წარღვნისგან, ბიბლიური ნოეს მსგავსად. ატრახასისი გამოეცხადა კეთილ ღმერთს ეიას ( მეგრულად ღმერთ აია, ქვეყანა აიადან) და გააფრთხილა, რომ ღმერთებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ მსოფლიოო წარღვნა.

„... ატრახასისი...ასე ეუბნება მეუფე ეია-ს(აია):

აი რას წერს ჯონ გრეი: „ადმინისტრაციულ ტექსტებში მოიხსეიიებიან მომღერლები, რომლებიც შესაძლებელია მიეკუთვნებოდნენ იმ ხალხის რიცხვს, რომლებიც ემსახურებოდნენ ტაძრებს. აქ ისევ მათი გეოგრაფიული მდგომარეობა გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ რომ ხანანელები იმყოფებიოდნენ თავიანთი მეზობლის გავლენის ქვეშ. მეგიდოში ნაპოვნ სპილოს ძვლის ნარწერაზე მოიხსენიება ვინმე მომღერალი კერკერ-ი, კურკურ ან კულკულ-ი , მომღერალი პტახ-ი, რომელიც იმ დროს ეკუთვნოდა აშკალონის ტაძარს. ცნობილია, რომ ბიბლოსის მმართველსაც, ვენამონის დროს, ყავდა მომღერალი ტანეტ-ი ეგვიპტიდან-ნოტ, მაგრამ ის მოიხსენიება, როგორც ელიტური ტექსტების შემსრულებელი.

ისეთი მომღერლები , როგორიც კერკერი, რომლებიც ასრულებდნენ ეხნატონის ჰიმნებს მზის მიმართ, ცნობილია ებრაული ადაპტაციის ფსალმუნში 104. ეს შესაბამის ხდის ხანანელებთან ნაცნობობას.

როგორც ვხედავთ ტექსტიდან არ არის დადგენილი რა ერქვა მომღრალს ხანანში- კე-რკერ, კურკური თუ კულკული. უფრო მეტად მას ერქვა კარკალი, რაც მეგრულ თარგმანში ნიშნავს სიმღერას, ბულბულივით გალობას. ხეთური ტექსტებიდან ცნობილია რომ „ტარ-ტალ“-ლაპარაკი. ტარ-ტარი და პარ- პალ მეგრულად- ჩქარი ლაპარაკი, ხოლო კარკალი- სიმღრა.

აი როგორ აღწერს სიმღერებს და ცეკვებს ხეთებთან და ეტრუსკებთნ ა. ე. ნოგივიცინი თავის წიგნში:“ხეთები ცეკვებს ასრულებენ მსხვერპლშეწირვის დროს. ასე ერთ რიტუალში ძველხეთური პერიოდის დროს, დედოფალს და ღმერთის დას“ აძლევდნენ შეწირვის ჭურჭელს. შემდეგ უკრავდა მუსიკა, ხოლო ხაპის ხალხი ასრულებდა რიტუალურ ცეკვას.

უნდა ავღნიშნოთ ხეთბის და ეტრუსკების ექსტატიკური

ცეკვების შამანური ხასიათისაა. ნუმი პომპილიას ცხოვრების აღწერისას პლუტარქი აღწერს რომაული ქურუმული კოლეგიის სალიავების ცეკვას, რომელსაც აქვს შამანური ცეკვის მონახაზები. „ მოცეკვავეები ასრულებენ წარმოუდგელენ ბრუნვებს, ჩქარ და ხშირ მოხვევებს.

ხეთურ ტრადიციებში „ცეკვის შემსრულებლებს შეეძლოთ ეცეკვათ ღვთაების წინაშე, ერთმანეთს საწინაღმდეგოდ ანდა ხელიხელ ჩაკიდებულნი იხრებოდნენ (ცეკვევენ მოხრილნი) თუ მათ წინ იმყოფებოდა მეფე, მაშინ ისინი მოძრაობდნენ მხოლოდ სახით მეფისკენ, იმიტომ რომ მეფისთვის ზურგის შექცევა აკრძალული იყო".

წიგნში მოყვანილი ხეთური ცეკვა გადამეტების გარეშე არის დღევანდელი ქართული ცეკვა (გან დაგანა). ძველად ის იწოდებოდა როგორც „გან-გან"(ერტი მხრიდან მეორეზე). ყველაზე გასაოცარია ის რომ მუსიკალური ინსტრუმენტის დასახელებაში „ გოლ გოლ", შეიძლება დაშვებულია შეცდომა და შეიძლება ის იწოდებოდა დოლო დოლ. თუ ეს ასეა, „დოლ-დოლ" ეს ნამდვილად მუსიკალური ინსტრუმენტია, რომელიც დღევანდელ დღესაც ითვლება ძირითდ ინსტუმენტად ქართული ცეკვების შესრულების დროს.

მეცნიერები დიდი ხანია თვლიან რომ უძველესი პოემები „მახაბხარატა" და „ რამაიანა" არ არიან კავშირში ინდუიზმთან. მეგრულ ენაზე „რამაია" შეიძლება წავიკითხოტ შემდეგნაირად: „ რა-მა-აია", სადაც „რა"-მზე. „მა"-მე. „აია"-ღმერთ იაის მიწა. რამაია- მე (ვარ) მზის აიადან.

პოემა „ რამაიანას" ლეგენდარულ ავტორად ითვლება ბრძენი „ვალმიკი". ვალ- მიკი- მეგრულად ნიშნავს:" ვალ-ვალი. „მიკი"-გადახდა შესრულება. ვალმიკი - შეასრულე ვალი(გადაიხადე). „ვალმიკი" ნიშნავს- წინაპრების ცოდნა გადაეცი შთამომავლობას.

ამ ჰიპოთზას, მოტანილი ინდოეთს მიწაზე მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხისგან ადასტურებს გორდენ ჩაილდი: "ჯერ კიდევ ვედისტურ დროში პანდავები აიღწერებიან როგორც მაღალ ქერათმიანებად. ამის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ იკვეთებოდა განსხვავება შავგვრემანი დრავიდების ან პრპტოდავიდების, ??შ ?შ, რომლების რიგვედეშიც კი ნაჩვენებია როგორც თეთრთმიანები. „ ...ჩვენ დროში ახალი კულტურის გადმონაშთი უკვე ძირით წასულ ენეოლითს ეპოქაში იყო გამოვლენილი ინდას ხეობაში, სინდხში, ლერკანის ახლოს,

და აგრეთვე მონტგომერის დისტკრიტში, შესული პენჯაპას შემადგენლობაში, განლაგებული სატლეჯადან ჩრდილოეთით. ეს გავრცელებული აღმოჩენენბი უეჭველად ამტკიცებს კავშირს დასავლურ ტომებთნ. აქ აღმოჩენილი ცივლიზაცია, უეჭველია არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში იმდენად რამდენადაც ნაპოვნია რამოდენიმე ფენის ნანგრევები. რამოდენიმე მასალა ალბათ უფრო ადრინდელი ხანისა პოულობს აშკარა მსგავსებას ადრეული მესოპოტამიის ნიმუშებთან: მშენებლობის დროს აგურების მოხმარება, მოღუნული მცხედრების დამარხვა, დაკიდული ჭერი აკლდამებში, რაკოვიანების ბულავების და ესტიკების ინსტრუმენტები, ყველფერი ამას უახლოესი ანალოგია აქვს ადრეულ შუმერულ ნაწარმოების ფენებზე, რომელიც გავრცელებული იყო ტიგროსის და ევფრეტის ველებზე, ულამაზესი ბეჭდები, მორთულობები ხარისა და მარტორქის გამოსახულებით, აგრეთვე სხვადასხვა პერსონაჟების ლეგენდიდან აქვთ ზუსტი შუმერული ანალოგიები. იქვე აღმოჩენილია ცხვრის თხის ფიგურები და ქალის ფაიფურის ატატუები. ბოლოს მოხატული ტიხის ჭურჭელი, ინდების ველის მოსახლეობის, უეჭველი მსგავსება ასეთივე ალამის და სამხრეთ მესოპოტამიის კერამიკასთნ. ამგვარად, ჩვენ პირველად გვაქვს უეჭველი მტკიცებულება ინდოეთის და აღმოსავლეთ აზიის შორის კავშირისა, ჯერ კიდევ პირვე;ლი ათასწლეულიდან ჩვ. წ. აღ. ბუნებრივია ეს კავშირები იყო უძველესი, შესაძლებელია ისინი განვითარდნენ ცილინდრული ბეჭვდის გავრცელებამდე მესოპოტამიაში, რაც მოხდა დაახლოებით 2800 წლის წინ ჩვ.წ.აღ. მაგრემ უფრო ძველ პერიოდში, ისტორიის ცივლიზაციაში რომელიც არსებობდა პენჯაბის ტერიტორიაზე მოხდა არსებითი ცვლილებები: კრემაციის წესჩვეულების შეცვლა გვამების დამარხვის წეს-ჩვეულებით

დოქტორი ჰიუზინგი ასევე მიუთითებს მსგავსებაზე ადრეული ბუდისტური პერიოდის სტატუებსა და ანალოგიური შუმერული ხელოსნობის ნაწარმოებებზე.

ასკეტები მოლჩლნიკები-„მუნ"-ყრუ, რაც მეგრულად- „მუნჯ".

„სადხუ"-საგხუ.„საგ"-ბრძენი-ჭკვიანი.„ხუ"-დაბადება.საგხუ-დაბადებუ ბრძენად. გურუ- ინდურ ენაზე ავტორიტრტული მასწავლებელი. გურაპა-სწავლება მეგრულ ენაზე.

„აიანარ"-ი. დრავიდების უძველეს ღმერთს ერქვა „აიანარ", სადაც „აია"- კოლხების ღმერთია , ადამიანების შემქმნელი ღმერთი. „ნარ" - ასეთი, მსგავსი. „აიანარ"-აიას მსგავსი.

ინდური ღმერთი აგნი. შესაძლებელია მიტანილია მც. აზიიდან. ხეთბთან ის ცნობილი იყი 2500 წლის წინ ჩვ. წ. აღ. ამ დროს ინდურ ღვთსმსახურებასე ჩვენთვის არაფერია ცნიბილი. ღმერთი აგნის არსებობას მეგრელებში ადასტურებს წარმართული ზეიმი „ჯგერეგუნა". ეს ზეიმი ეძღვნება ფუტკარს ამ დღეისთვის მსხვერპლას წირავდნენ ცხვარს, ხარშავენ ხინკალს და განსაზღვრული რიტუალის ჩტარების შემდეგ წარმითქვამდნენ ლოცვას:

„ჯგერაგუნა სკან სახელ ხვამელ,
ჩქიმ სკალეტ გომოშხუნე,
ბრელ ქომია, ჯგირ თოფურ გაკეთებანენ,
მავნე არიან ჩლიან, შორიშა ქომირაქი,
თენა ჩკირ სასარგებლო ქოია".
„ჯგერაგუნა დამლოცე და გაამრავლე ჩემი ფუტკრები
რათი მათ გააკეთონ კარგი თაფლი,
ცუდის მომტანი გააგდე შორს,
კარგოს მომტანი დაიფარე."

სიტყვა „ჯგერაგუნა იშიფრება შემდეგნაირად - გერ-აგუნა, სადაც ჯ- ჯა-წმინდა ხე მეგრელებში. „გერ-გერკოჩ- გიორგი-ღმერთი გადამრჩენი პირველი მიწათმოქმქდებისა. „ აგუნა"- ალ-ალი-ცეცხლი მაგრულად ყოვლად სარწმუნოა რო ქრისტიანული რელიგიის შემოსვლის შემდეგ წარმართული ღერთები მჭიდროვდებიან და ხალხი იძულებული იყო გააერთიანებინათ ყველა ეს ზეიმი და ჩაეტარებინათ ყველა ერთ დღეს.

მეირე ათასწლწულუს ნახევარში ჩრდილოეთიდან დაიწყეს შემოსვლა მომთბარე ტომებმა ისინი უწოდობდნენ თავიაანთ თვს არიებს. „ არიებთან ერთად ინდოეთში მოვიდა სულ სხვა სამყარო რელიგიულრი წარმოდგენებისა. უცხოელებმა მოიტანეს თან სხვა ღმერთები რომელთაც ისინი ეთაყვანებოდნენ. ისინი ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვის რთულ რიტუალს- იაჯნუს- და წირავდნენ თავიაანთი ღმერთებს უხვ შესაწირს. ძირითდად შემწვარ ძროხის ხორცს და მათრობელი სასმისს სომუსს (სურიას).

პირველ ღვთის მსახურებს და მიწათ მოქმედებს მოაქვთ ინდოეთში თავისი ღვთის მსახურება, სადაც ის იწყებს განვითარებას, რამაც მისცა ინდოეთს მდიდარი, თვით დამკვიდრებული და ნაციონალური რელიგია.

## მაია, ინკები, ოლმეკები.

საქართველოში გამოჩენილი ისტორიული მეცნიერების დოქტორი, პროფესორი კლიმენტი შელია, თავის წიგნში „კაცობრიობის ისტორია იწყება კოლხეთიდან" წერს, რომ მსოფლიო ლიტერატურაში გამოვლენილია „კოლხუა" -ს ხალხის არსებობა მსოფლიო წარღვნემდე, რომლებიც იყვნენ ატლანტიდის მცხოვრებნი. ამერიკელი მწერალი და მეცნიერი იგნატიოს დონელი (მე-19ს.) თავის წიგნში წერს რომ ლათინური ენის წარმოქმნა ცენტრალურ ამერიკაში მიეკუთვნება ატლანტიდის მცხოვრებლებს. ის ამტკიცებს, რომ კოლხების ერა დამთავრდა ათასწლეულობით ადრ ქრისტეს გაჩენამდე. დონელი ეყრდნობა ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდის (1524-1579) წიგნს „მაიას დამწერლობის ისტორია" რომელიც ინახება ესპანეთის სამეფო აკადემიის წიგნ საცავში. დიეგო დე ლანდა იყო პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იუკოტანის ნახევარკუნძულზე, რომელიც წერდა:"მაიას ალფავიტი და მისი პირველ საწყისი სახე -იყო კოლხური ალფავიტი. ანტროპ-ოლოგები არიან სირთულეში, მიაკუთვონ თუ არა მაიას ტომები აზიაში შემონახულ მონღოლოიდურ რასის ჯგუფს, მიუხედავად ამისა, მაიას ფრესკებზე გამოხატული ხალხი მსგავსია ძველი შუმერების , ხეთებისა და ხანაანების ფრესკების გამოსახულე-ბებისა. მამაკაცები გამოხატულნი არაინ წვერით, ულვაშებით და "არწივისებური ცხვირით".

ა. ასოვი "ამერიკული ინდოელების ლეგენდები მოგვითხრო-ბენ წითურწვერიან და ღია ფერის კანის მქონე უცხოელებზე ოკეანიდან, რომლებიც არიან შემქმნელები და მფარველები, ინდიელთა კულტურის მიღწევების. აცტეკების, მაიას, ჩიჩბას ტომები თავიანთ ღმერთებს წარმოიდგენდნენ, როგორც ღია კანისფერ და წითურწვერიან ევროპელების მსგავსად".

მოვიყვან რამოდენიმე ამონარიდს მსოფლიო რელიგიის ენციკლოპედიიდან, სადაც ჩემი შეხედულებით არსებობს განსაზ-ღვრული კავშირი მეგრულ-ლაზურენობრივი ხალხის და მაიას, ინკების ცივილიზაციის თვით დასახელებაში. მაია, შეგვიძლია წავიკითხოთ მეგრულ ენაზე შემდეგნაირად: მაია; მა-აია. "მა"-მე. "აია"-ძველი კოლხეთის ღმერთის დასახელება აია."მაია"-მე ვარ აიადან.

ცნობილია ,რომ ილმეკების, მაიასა და ინკების სახელმ-წიფო ჩამოყალიბდა სადრაც პირველ ათსწლეულში ჩვენს ერა-მდე. პირველი ორი ხალხი იკავებდა ცენტრალურ ამერიკის

ტერიტორიას, ხოლო ინკები იკავებდნენ დვევანდელი პერუს, ეკვადორის, ბოლივიის, არგენტინის და ჩილის ნაწილს. მზის გაღმერთების, მოვლენა გავრცელებული იყო,მაგრამ ინკებმა გადაამეტეს ყველა ხალხს და ტომებს. იმპერიის უდიდეს ტერეიტორიაზე მზე ნაცნობი იყო სახელით "ინტი".

რამოდენიმე რაიონებში ვირაკოჩა და ინტები ერთიანდებოდნენ, როგორც ერთი ღვთაება.

მსოფლიო რელიგიის ენციკლოპედიიდან: "ინკების ლეგენდა გვამცნობს; როდესაც ტიტიკაკას ტბიდან ამოვიდნენ მეუღლეები; სხვა შემთხვევაში ძმა და და, მანკო კაპაკი და მამა ოკლო. თავიანთი მზის მამისგან მათ მიიღეს ჯადოსნური ოქროს კვერთხი , ამ კვერთხს უნდა ეჩვენებინა მათთვის სად დაეარსებინათ ქალაქი და ქვეყანა...

ტიტიკაკას ტბა უშულალოდ არ არის დაკავშირებული მზის დაბადებასთან , აიმარას ინდიელები ღრმა წარსულს მცხოვრებლებს ამ ტბის განაპირს, სჯეროდათ , რომ ღმერთიო-შემქმნელი ვირაკოჩა, ან ტონაპა გამოჩნდა მიწაზე ტბის ტაძრებიდან , შექმნა მზე და სხვა ციური მნათუბები. ვირაკოჩა საიდუმლო "თეთრი" ღმერთი-მაღალი, ძლიერი, ჩაცმული თეთრში.

ის ყოვლის შემძლეა. როდესაც ეს ღმერთი გამოჩნდა პრიველად ანდებში ხალხი მას ძალიან მტრულად შეხვდა და რომ ის ღმერთად ეღიარებინათ მას მოუწია ციდან ცეცხლის მიღება, რომ "დაენთო მთა"...

აი კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ აიყვანეს ღმერთების რანგში ხეთების და ეტრუსკების მსგავსად (მანები და ლაზები) ცოცხალი ადამიანი "ვირაკოჩა".

თავის წიგნში "ინკების ხალხის-ისტორიაი" ინკა გორსალესა დელა ვეგა (მე-15 11-ე ს) დეტალურად აღწერს ინკების ყველა მეფის ცხოვრებას. ინკების მეფის ვაჟის იავარე ვაკაკის მოთხრობიდან: "გუშინ , როდესაც მე ვიწექი ხის ქვეშ გამომესახა ადამიანი გაუგებარ ტანსაცმელში, რომელიც ჩვენ არ გვგავდა, თეთრი სახის, აწეული ცხვირით და იყო გამოწყობილი გრძელ კაფტანში კოჭებამდე , მან მითხრა: მე ვარ მზის კაცი და მქვია ვირაკოჩა"...(ვირა კოჩა მეგრულ ენაზე დიდი კაცი)

ის რომ ვირაკოჩა არ არის ლეგენდა ამტკიცებს ქვემოთ მოყვანილი გამონათქვამი;

აქ მოვიყვან ამონარიდს ესპანელი მეცნიერის რენე შანდელის წიგნიდან -"სხვა მხარე": "რაც არ უნდა გულდასაწყვეტი იყოს ტრადიციული თვალთახედვის მიმდევრებისათვის

ლაპარაკი იმაზე , რომ კოლუმბამა აღმოაჩინა ამერიკა, ნიშნავს უბრალოდ უგუნურობას. იმ მიწების მცხოვრებლები უკვე დიდი ხანი ელოდნენ ვირაკოჩას დაბრუნებას, რომელიც ანსახიერებდა მათ ღმერთებს.

განვიხილოთ ტექსტში დასახელებული ღმერთების და ადგილმდებარეობის დასახელებები მეგრულ ენაზე:

ინკების მზის ღმერთი "ინტი". "ინტი"-სიტყვა-სიტყვით — გაანათა□, მანათობელი.

"ვირაკოჩა"-დიდი ადამიანი : ვირ-დიდი: კოჩ-კაცი.

"თონაპა"- თანაპა - აღსდგომა; სადაც ტანა- მზის ამოსვლა. პა - ფენა, მერე ფენა. "ტანაპა"-მეორე ნათება, აღდგომა.

მამა ოკლო-ტექსტში მითითებულია, რომ თავის მამისგან(მზისგან) მან მიიღო ჯადოსნური ოქროს კვერთხი. სახელი ოკლო შეიძლება წარმოდგებოდეს მეგრული სიტყვით-ოკლო-ოქრო. მამა-მამას . "მამა ოკლო"-მამის ოქრო.

ტბა "ტიტიკაკა" საიდანაც ამოვიდნენ და ძმა, □ძალიან მოგვაგონებს მეგრულ თქმულებას და და ძმა ტიტიკაკაზე; ძველად გავრცელებულ საბავშვო თამაშს სამეგრელოში "ტიტიკაკა"-ს.სამეგრელოში ასევე ფართოდაა გავრცელებული სახელები ტიტი, ტიტე და გვარები -კაკა, კიკა , კუკა. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ბუდისტური სარწმუნოების დამაარსებლად თვლიან თეთრკანიან ხალხს - პალებს, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ დროს შრი-ლანკის კუნძულებზე და ინდოეთში. პალის ხალხმა შექმნა ბუდისტური კანონი "ტიპიტაკა". პალი-მეგრულად აყვავდი. მეგრული სიტყვის ტიტიკაკა-ს გამოჩენა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში, მოწმობს იმაზე , რომ იმ უძველეს დროში ღვთის მსახურების და სწავლების გამვრცელებლებად იყვნენ მეგრულ- ლაზურენობრივი ხალხი.

ინდური ტომის თვითდასახლეობა - "აიმარა". მეცნიერები თვლიან რომ ეს არ არის ინდური სიტყვა , უფრო მეტიც გამოდის , რომ მათ მიითვისეს ეს სახელი თავიანთი თეთრკანიანი ბელადებისგან. "აიმარა შეიძლება წავიკითხოთ ასე: აია-მა-რა, სადაც "აია" მეგრული კოლხეთის დასახელებაა. "მა"-მე. "რა"-მზე. "აიმარა"-ღმერთის და მზის ადგილი. ამ ჰიპოთეზის დასტურია სამეგრელოში არსებული იდენტური ადგილობრივი დასახლებები. უძველესი დასახლებული პუნქტის სახელწოდება აფხაზეთში - "აიმარა" , ცნობილი ეკლესია სამეგრელოში - "აიანოშა", სადაც ჯერ კიდევ წინა ათასწლეულებში მეგრელები ატარებენ ზეიმს - "აიანოშა" - ს. "აია-ნოშა" ნიშნავს- " აია"-ღმერთი აია,

ნოშა-აღმოცენების , ჩასახვის ადგილი "აიანოშა" - ღმერთი აია-ს ჩასახვის ადგილი.

ინკების მსოფლიოს დაყოფა სამ ფაზად, მოგვაგონებს ხათების მსოფლიოს დაყოფას სამ ფაზად, ითარგმნება შემდეგნაირად.:

უმაღლესი ფენა- ხანაან პაჩა,

საშუალალო ფენა-კაი პაჩა,

დაბალი ფენა - უკუ პაჩა.

მეგრულად ითარგმნება ასე: უმაღლესი ფენა-ხანან პაჩა".

ხანან-მოხუცი ქურუმი ქალი, უმაღლესი ქურუმი - მეგრულად, ხურიტულად, ხათურად, შუმერულად, ეგვიპტურად - მოხუცი დედა. "პაჩა", პა-ფენა, შთამომავლობა, "ჩა-ჭა - ჭყანა,ძალა, სიცოცხლის ენერგია.

საშუალო ფენა-კაი პაჩა.

კაი - ფაჩა; კაი - კარგი; ფაჩა - სიცოცხლის ენერგია.

დაბალი ფენა - უკუ - პაჩა

უკუ-ცუდი, უკან, პირიქით. უკუ-პაჩა- სიცოცხლის ენერგიის ცუდი ფენა.

შედარებისთვის მოვიყვანოთ ნაწყვეტი ხეთების ტექსტიდან:

" то того, как она (пчела) прилетела, богиня канаанана три источника (водоёма)соорудила:(один)над которым дерево иппи стоит, второй же под которым деревянная хупара(деревянный сосуд)стоит, (третий)в котором очень горит. Сидит ханаанана и напротив себя поглядывает. Прилетела пчёлка и внутрь деревянной хупары пложила руно своё, пришло божество Мия- даципа и под деревом иппи село.»

სადაც: იპის ხე - ციური სამყაროა. ხუპარა-დედამიწის სამყარო.

ცეცხლი — მიწისქვეშა სამყარო.

მეზოამერიკელების ღმერთების პანთეონში (ოლმეკები)

ჩნდება "ვოტანა» - ფრთიანი გველის ნაშიერი - მსოფლიოს შემქმნელი , ადამიანის შემქმნელი და მთელი სტიქიის მფლობელი: მას თაყვანს ცემდნენ აცკეტებიც.

ვოტანა-ოტანა-ოტანე-აისის ღმერთი, ამომავალი მზის ღმერთი - ეგვიპტელებში და ხანაანებში. მეგრულად «ოტანა» - აისი» განთიადი.

სიკვდილის ღმერთად მაიასთან ითვლებოდა

«ახ-პუჩ»-ი, მეგრულად «პუჩ» ცუდი. მაიას ტომები ადამიანის შემქმნელად თვლიდნენ ღმერთ ხუნაბა-ს.

აცკეტებს ეთაყვანებოდნენ ღმერთს ხუნაბაა-კუ ს,რომელმაც შექმნა ადამიანი სიმინდიდან.

ხუნაბა-კუ ძალიან გავს შუმერულ ღმერთს.ხუნაბა-ს ხუნაბა-კუ მეგრულად იკითხება ასე: ხუ-და-ბადება; ნაბე- ნება; კუ-ღმერთის ნებით დაბადებული შემოქმედებისათვის.

"აღსდგომის კუნზულის" აბორიგენების ერთ ლეგენდაში წერენ: "კუნძულს პირველი ესტუმრა თეთრკენიანი ბელადი ხოტუ მატუა, რამოდენიმე ადამიანთან ერთად. მათ თან მოიტანეს უამრავი მარცვლეული და 67 ფრიფიტა რომელზეც გამოსახული იყო იდეოგრამები. ხოტუ მატუა - ხუტა მატუა, ასეთი სახელი და გვარები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში, ლაზისტანში (თურქეთი), ბასკებს შორის (ესპანეთი). ბასკური გვარები ანალოგიური მეგრულ გვარებთან:მატუა, ნოდია, ჩინჩალია, ჭედია, ფაჩულია,ხობუტია, შონა, მალიშავა, ნაყოფია.

ცნობილია , რომ ინკების სახელმწიფოში შედიოდა კუნძული აღსდგომა დასახლებული პერუს ხალხით, მოგვიანებით მე-14 მე-15საუკუნეში ჩ.წ.ა. კუნძულზე გადმოსახლდა რამდენიმე ათასი პოლინეზიელი მარკიზის კუნძულებიდან. მათი რელიგია ინახავს მრავალ საიდუმლოს. მავარი მეგალიტები ეგ. წოდ. ისტუკანები: ასობით გიგანტური ქანდაკება სიმაღლით 8 მეტრამდე რამოდენიმე მათგანი იწონის 20 ტონას.

არქეოლოგიური ჯგუფის მუშაობაში დიდი წვლილი შეიტანა მაზერის მეუღლემ (ფრაენგი მეცნიერის ცოლი), დაბადებული კუნძული ტაიტზე და რომელმაც იცოდა აღსდგომის კუნძულზე მცხოვრებლების ენა.ამის წყალობით მან მოახერხა მოეპოვებინა მისი ნდობა. მოსახლეობამ მას გაანდეს ერთი საიდუმლო, რომელიც გაეცემოდა მათ მემკვიდრეობით, შეხედულებები სამყაროზე.რამოდენიმე მათგანი მაზერამ გამოაქვეყნა , მაგრამ ნაწილის გაშიფრვაზე უარი თქვა , მან შეპირდა იდნოელებს, რომ არავის გაუმხელდა ამის შესახებ.უპირველეს ყოვლისა მაზერა გააკვირვა კუნძულის მოსახლეობის მონაყოლმა კოსმოსზე და მზის სისტემზე. □გაუნათლებული და პრაქტიკულად იზოლირებული მთელი სამყაროდან, ეს ხალხი ისე ლაპარაკობდა მზის სისტემის პლანეტებზე თითქოს კარაგად იცნობდნენ მათ, კერძოდ ამტკიცებდნენ , რომ იუპიტერი დასახლებული პლანეტაა.

ჩემი აზრით ამ წარმოუდგენელი ქანდაკებების არქიტექტორები (იგულესხმება ისტუკანები კუნძულ აღსდგომასე.აგრეთვე მაიას და აცტეკების პირამიდები , მეგალითები ევროპაში, ეგვიპტის პირამიდების მშენებლები - ეს ერთი ხალხია , რომლებმაც

პირველებმა შექმნეს თავიანთ სამშობლოში მსგავსი ნაგებობები, მართალია უფრო პატარა მაშტაბით ეს უეჭველად ის პროხ-ატები და პროხურიტები არიან, რომლებიც აშენებდნენ თავიანთ მენგირებს , რაც მათ ენებზე ნიშნავს - მაგარს. სამუდამოს. ისეთი " მანგარები" როგორიცაა: ბოგაზკეაში - ლომის კარიბჭე. სფინ-ქსი ალაჯა-ხუკადან, სფინქსი კარა-ტეპედან და სფინქსი ერკაპუს კარიბჭიდან (ხეთების სამეფო).

შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს,რომ თარგმანი არად-ამაჯერებელია. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ,რომ ამ გამო-სახულებულების გზა ითვლის რამოდენიმე ათას წელს. ამერიკა-მდე ისინი ერეოდნენ სხვა ტომებში , მათი ენა განიცდიდა ცვლი-ლებებს.ბოლოს მინდა ვთქვა , რომ შესაძლებელია მეცნიერებმა არა ზუსტად გადმოთარგმნეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში შეი-ძლება ითქვას, რომ ამერიკის თეთრკანიანი ხალხი, რომლებმაც ინდიელების მიწაზე მოიტანეს ცივილიზაცია და ღვთის მსახურე-ბა - ეს ძირითადათ იყვნენ მეგრულ — ლაზურენოვანი ხალხი.

## პიკტები

მესამე დიდი გადმოსახლება მოხდა 12-15 ათსწლეულებში ჩვ.წ.აღ. ხეთების იმპერიის დანგრევის შემდეგ რის შედეგადაც ხეთების კვალი ჩანს მთელ ევროპაში. გამოჩენილი ინგლისე-ლი მეცნიერი ა.მარტინი წერს რომ:"იბერიელები არიან თა-ნამედროვე ირლანდიის, ჩელსის და დასავლეთ ინგლისის მო-სახლეობის წინაპრები.

გამოჩენილი გერმანელი გეოგრაფი კარლ რიხტერი წერს:"კარტოგრაფიის ხელოვნების განვითარება კოლხი მეზღ-ვაურების დამსახურებაა, რომლებიც ბერძნებზე ადრე იყენებდნენ მას.

პროფესორი ჯექსონი ვარაუდობს, რომ "გალურ-ბრი-ტანურ ენის მატარებლები შეერივნენ, ბრინჯაოს ხანის , ადგი-ლობრივ მოსახლეობას , გადმოიღეს რამდენიმე სახელწოდე-ბები მათი ტომებისა, აგრეთვე ნაწილი ენისა, რომელიც არ იყო ინდოევრუპელი".

მოვიყვან ერთ საინტერესო პარალელს პინქტების და მე-გრულ — ლაზურენოვანი ხალხის, იმ საიდუმლოებით მოცულ ხალხზე,რომელთა საიდუმლოებით სავსეა ძველი ბრიტანეთის ისტორია. ეს პატარა მებრძოლი ტომი, ასე უწ. მას იზაბელ ხან-დერსონი , რომელთა დასახელებაა "ნახატის ხალხი", უშიშრად ომობდნენ რომაელების წინაშე. □პიქტებს არ დაუტოვებიათ

არანაირი დამწერლობის წყაროები. არის მხოლოდ ამოუცნობი სიმბოლოები, რომლითაც მორთული იყო შოტლანდიის ველების დიდი ქვები."ასე თვლიან ბრიტანელი მეცნიერები.

პირველი, რასაც ისინი წერდნენ და ხატავდნენ ქვებზე და კაჭრებზე , მოგვაგონებს მეგრულ – ლაზურენობრივი ხალხის ხელოვნებას, იქ მცხოვრები ტომებისგან განსხვავებით: ვიკინგები სგან,კელტებისგან,სკოტებისგან და ბრიტებისგან.

სახელწოდებები , დასახლებული პუნქტების, მდინარეების, მთების, ღმერთების, მეფეების სახლები, პიქტების წეს-ჩვეულებები, მოგვაგონებს მცირე აზიის უძველეს ხალხს.

ხადონი აღნიშნავს:" დოლმენები არ გვხვდებიან იქ სადაც ქერათმიანი შემოინახნენ შედარებით სუფთა სახით და სადაც ისინი შედარებით უმრავლესობაში არიან ყველა შემთხვევაში გვაქვს მიზეზი არ დავაკავშიროთ დელმენების მშენებელი ინდოევროპელებთან, მოვიდნენ ისინი ჩრდილოეთიდან თუ სამხრთეთიდან მნიშნელობა, არ აქვს. მეგალითური ქანდალკებები ევროპაში განლაგებულიია იმ ტერიტორიაზე რომლებიც მოხვდნენ ინდო ევროპელების გავლენის ზონაში. როგორც ვიცით -ჩრდოლოაღმოსავლეთ აფრიკის ნაწილში და პალესტინაში ინდოევროპელები არ ცხოვრობდნენ, როგორც არქეოლოგებმა დაამტკიცეს დოლმენები, მენგირები, კრომლეხები და სხვა. მეგალითური ნაგებობები იყო აშენებული ჯერ კიდევ გალიაში კელტების ჩასახლებამდე. დღემდე უცნობია თუ ვინ იყვნენ ამ მეგალითური ნაგებობების მშენებლები, მაგრამ გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მათი ენა არ იყო ახლოს არც ერთ ძველ ინდოევროპულ ენებთან და სულიერი კულტურაც თავისებური ქონდათ".

„ევროპაში მეგალითონური დოლმენები ყველგანაა, ჩრდლოეთი ზღვის და ატლანტის ოკიანის სანაპიროებზე. ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში კვლავ გამოჩნდნენ ისინი ბულგარეთში შვი ზღვის სანაპიროებთან, საიდანაც ისინი გადაიჭიმნენ კავკასიის გავლით ჩრდ. ირანში. ამავე დროს სხვა მეგალითონური სამარხები ჩნდება ჩრდ. აფრიკაში, სირიაში და პალესტინაში, ხოლო შემდეგ- სამხრეთ ინდოეთში და ასამაში. არქეოლოგების უმრავლესობა თვლის, რომ იდეა აეშენებინათ ეს უდიდესი სამარხები გავრცელდა ვიღაც ზღვის ხალხისგან , რომელიც გაემართნენ აღმმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიიდან უბრალი და ძვირფასი ლითონების საძებნელად. სახეზეა აშკარა დამთხვევა ქანდაკებების განლაგებებისა და

მათი მოპოვების რაიონების განაწილებაში. ივარუდება, რომ ამ მოგზაურებმა დაარსეს სავაჭრო დასახლებები ან თვიაანთი საკუთარი დინასტიები იქ სადაც მათ იპოვეს ის , რასაც ეძებდნენ, და გაავრცელეს აბორიგენებს შორის მათ მიერ მოტანილი მკვდრების კულტი და არქიტექტურის ტრადიციები".

პიკი მათ არქმევს „მაძიებლებს"და თვლის მათ შუმერებათ.

ელიოტ სმიტს მოყავს მათი წარმომავლობა ძველი ეგვიპტელებად, ხოლო პერი განიხილავს მათ როგორც ფარაონის სახლის მემკვიდრებს, „მზის შვილებად".

გ. ჩაილდი „მეგალიტური სამარხების და მასთან დაკავშიერბული მკვდართა კულტის იდეა, ყოვლად შესაძლებელია სანაპიროების კოლონიზაციისათვის. მეგალითების მშენებლები დიდ როლს არ ასრულებდნენ. ფაქტიურად გადმოსახლებულები არ იყნენ ბევრნი. ისინი აბორიგენებს ასწავლიდნენ თავის რელიგიას, ნეოლითის ზოგიერთ მიღწევებში, რომელთა განსაკუთრბული ადგილი ეკავა წვრილი რქოსანი ცხოველების მოშინაურებას, მაგრამ უცხოელები, რომლებმაც მოიტანეს მკვდართა კულტი და მეგალითური სამარხების არქიტექტურა, არ არიან ევრო აფრიკელი აბორიგენები, რომლებმაც გაითავისეს ეს იდეა და გაავრცელეს ესპანეთის, საფრანგეთის, ბრიტანეთის ტერიტორიებზე, ისინი არ ითვლებიან ინდოევროპელებათ".

როგორც ცნობილია 3500 წლის წინ ხათების დედაქალაქ ბოგაზკეში (თურქეთი) ნაგებობებოს კედლები შესრულებულია ციკლოპიდური ყაიდის გამოყენებით. მეგალითური კარიბჭე ბოგაზკეაში გვაგონებს სტოუნ ხენჯის, მენგირებს ინდოეთში და ამერიკაში.

დოლმენები მეორე ნაირად უწოდებდნენ მენგირებს, თვით სიტყვა „მენგირი" -სხვა არაფერია, თუ არა მეგრელი-„მანგარი"- ძლიერი , სამუდამო.

მოვიყვან სახელწოდებებს, რომელიც ძალიან გავს მეგრულს. ინგლისის ჩრდილოეთით, ძველ პიქტებს შორის ცნობილი იყო ქრისტიანი მისიონერი ნინიანი. მონასტერი "ადამნანა", და მონასტერი ბედი - ბედი,დაარსებული კოლუმბისგან შოტლანდიის კუნძულ იონაზე, მალის კუნძულის ახლოს. მალი-მეგრულად მიმდინარეს ნიშნავს.

ყორღანული სამარხები სატონ-ხუ, სადაც ნაპოვნია უამრავი სხვადასხვა სამკაულები, შეიძლება მეგრულად წაიკითხო შემდეგნაირად: ს-ატონ-ხუ, სადაც "ატონ"-ოტანე-ალიონი, ამოსვლა;

ხუ- დაბადება; სატონხუ - დაბადებული ალიონზე.

ცნობილი მსოფლიოში ქვის ლოდები, აშენებული როგორც ხიდი ინგლისში სახელწოდებით "სტოუნხინჯ". მეგრულად ჟღერს ასე:"ონიშხინჯ". ონოშ- შორეული წარსული; ხინჯ - ხიდი; სტოუნხენჯ - ხიდი წარსულში.

ის, რომ ეს უბრალო დამთხვევა არ არის, ადასტურებს მეგრული სიტყვა "ცაშხინჯ"-ი, სადაც "ცა"-ცა. "ხინჯ"-ხიდი. ცაშხინჯ-ცისარტყელა მეგრულად.

მეგრულ ენაში არის ისეთი ნინდებული „ონ" „ონი" ხშირად გამოიყენება ზეპირმეტყველებაში: ონი - შ დროს-ძველ წარსულში.

მთის მწვერვალის დასხელება „შოხალოონ" -ი. „შო-ხალოონ, სადაც „შო-შორ-შორს; ხა-დაბადება. „ონ"-წარსული. „შოხალიონ"-დაბადებული- აშენებული. შორეულ წარსულში

ქალაქების დასახელებები : ლონდონი, ბოსტონი, ხიუსტონი ძალიან გავს ძველ დასალებული პუნქტების სახელწოდებებს საქართველოში: ონ, ხონ, კვალონ, ტაგილონ, ზუსტაფონ -ს.

ძველი ინგლისის ადგილმდებარეობის სახელწოდება „კოვისი" -კუვასი-ქვის მეგრულ ენაზე. სახელწოდება ადგილის „ლარგო" ძალიან გავს არგოს, არგონავტები, არგო თვით დასახელებიდან-მარგალეფიშ-მეგრელების.

წმიდა ნინიანის ეკლესიას ეწ. „სკანდიდა" -საზა", სადაც „სკან"-შენი, „დიდა" - დედა. „სკანდიდა საზა" -შენი დედა-საზა.

მდინერის სახელწოდება „დი" მეგრულად დიდი...

სკანდინავური პანთეონის თქმულებებში ღვთიურ სასმისზე ამბობენ: „ჯუჯებმა მიკლეს კვასირი, აურიეს მისი სისხლი თაფლში და მიიგეს პოეზიის თაფლი". აქ ვხედავთ ანალოგიას პიკტების ღმერთ კვასირას და რუსულ ღმერთ კვასურას შორის.

მომყავს ანალოგიური ტექსტი რუსული ფოლკლორიდან:

ედიკური თქმულებებით „კვასირა" შექმნილი იყო ასების და ვანების ომის შემდაგ, მშვიდობის ნიშნად. „ის ბევრს მოგზაურობდა სამყაროში და ასწავლიდა ხალხს სიბრძნეს". შემდეგ კვასირა მოკლეს ჯუჯუბმა, მისი სისხლი აურიეს თაფლში ყველა ვინც სვამდა ამ თაფლს ხდებოდა განსწავლული ან სკალდი (ძველი სკანდინავიის მგოსანი".

ქვა-სურა; ქვის-ჭურჭელი მეგრულად, ამ ჭურჭლიდან სვავდნენ თაფლს ან სურიას. აქ ნათლად ჩანს, რომ ეს თქმულება გავრცელებულია ერთი ხალხის მიერ.

წარწერები ქვაზე სანტ-ვიჯენსიდან (სანტ ვიჯენსის მუზეუმი) „ეტ" და „იფე", ირლანდიელი ლინგვისტი რიუ ა.ს. მაკალისტერი

თვლის რომ ეს სიტყვები არ არიან ინდოევროპული და მიეკუთვნება პიქტების ენას, რაც ნიშნავს ძველ ფინურ ენაზე - დის შვილს).

ვფიქრობ რომ აქ შეიძლება ვივარაუდოთ სხვა ვარიანტიც: ძველი კოლხეთის მეფების სახელწოდება იყო აეტი. გამომდინერე აქედან შეიძლება წავიკითხოთ ასე: „ეტ-აეტ-მეფე. იფე-ფა-ფენა, მეორე, მომდევნო, ვაჟი. გამოდის: ეტ იპე- მეფის ვაჟი.

აი პიკტების სახელების სია იზაბელ ხენდერსონის წიგნიდან: აედანა, ეატა, ეხტერნახა, ეოხაიდა, არდახა, გელახუსა, ინდურტახა, მუიერდახა,

უნდა ავღნიშნოთ, რომ ყველა სახელი მთავრდება ძირითდად ხა, ხუ, ხი - თ, რაც ადასტურებს ზევით მოხსენებულს ამ თემაზე.

პროტოკოლხური სახელწოდებას აია-ს-აეტ, მეფე, (აეტ,ეეტ-შესაძლებელია ეს იყოს არა სახელი ადმედ წოდება) მოიხსენება ყველა ანატოლიისა მცირე აზიის სახელმწიფოებში, ეს ამტკიცებს, რომ იმ დროში( 5-3 ათასწლეილი ჩვ. წ. აღ.). იქ ცხოვრიბდნენ ძირითადში მეგრულ-ლაზურენოვანი ტომები.

აქედან გამომდინარე, მრავალი მიზეზების გამო, ისინი ხვდებოდნენ ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეებში და ავრცელებდნენ თავიაანთ სწავლებას ღვთისმსახურებისა და მინათოქმედების ცოდნაში. და ასე ბაბილონის ჰიმნში შამაშუ ზედმიწწევნით ლაპარაკია მზის ღმერთის კეთილ მოწყალებაზე ზნეობრივ გამძლეობაზე.

პიკტების დასახლებელი პუნკტები ძლიან გავს ხეთების იმპერიის დასახლებულ პუნკტებს: ოირქთულ, ომარიშრა, ალიშარა, ბაბუშარა და პიკტების: პერტშირ, როსშირ, ლანარკშირ, ამგვარად ვერსია იმის შესახებ, რომ პიქტები მეგრულ- ლაზურენოვანი ხალხის მემკვიდრეები არიან ვფიქრობ არ არის უსაფუძვლო.

კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი, რომელსაც აქვს რაღც განსაზღვრული კავშირი, ზემო ხსენებულთან. ჟურნალისტების შეკითხვაზე"თუ საიდან წარმოიშვა გვარი კარტერი ? ამერიკის პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა უპასუხა:"ჩვენი წინაპრების მონაყოლით ისინი მოვიდნენ ირლანდიიდან. ამერიკაში მოსვლისთანავე მისმა წინაპრებმა აირჩიეს სუბტროპიკული ზონა, ამ შტატს მისცეს სახელი-ჯორჯია, ხოლო ადმინისტრაციულ ცენტრს - ატლანტა". ცნობლიია ირლანდიის ძველი სახელწოდება – იბერნიაა, რაც ძალიან გავს - იბერიას. შოტლანდიაში არის დასახლებული პუნ-

ქტები: ივერგორდონი, ივერიესი და ივლიონი.

## ეტრუსკები

ისტორიის მამის ჰეროდოტეს სიტყვების მიხედვით, ეტრუსკები მოვიდნენ მზიან პირენეის სანაპიროზე ანატოლიურ ლიდიიდან ან სხვა მცირე აზიის კუთხეებიდან, აქედან გამომდეინარე ეტრუსკული ცივლიზაცია წარმოიქმნება უშუალოდ მცირე აზიული ფერდობიდან".

სენკას მოყავს: ეტრუსკები, როგორც მთლიანი ხალხების მიგრაციისა და წერს :"ტუსცოს სია სიბი ვინიბიცატე" აზიამ შექმნა ეტრუსკები.

რაიმონდ ბლოკი : " შემოინახა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ათასი წ. ჩვ. წ. აღმოსავლეთ ნახევარკუნძულს გადაუარა დამპყრობლის ტალღამ, მათ მოიტანეს რკინის დამუშავების ტექნოლოგია რომლის შემდეგაც მკვიდრი მოსახლეობა გარდაიქმნა მონობაში. ამ პირველი რკინის საუკუნის ძირითადი განსახლებული ცენტრები მდებარეობდნენ ჩრდილოეთ აპენინიდან პადანურ ველებზე, ან ძალიან ფართო რაიონში მეზობელ ლაციასთან, დღევანდელი ტოსკანის და უმბრიის ტერიტორიაზე. იქ აღმოცენდა ძალიან აქტიური ცივლიზაცია, დასახელებით "ვილანოვები".

ამის დასადასტურებელია რაიმონდ ბლოკის სიტვები:" თუ როგორ ამზადებდა (205წ.) სციპიონი უდიდეს ექსპედიციას, იმისთვის რომ გადმოსულიყო აფრიკელ მიწაზე და ერთხელ და სამუდამოდ გაენადგურებინა კართაგენი.

და აი რა შესთავაზეს ეტრუსკების ქალაქებმა რომის მხედართმთავარს: " длинние копий, топоры, кирки, косы,ведра, весла для сорока больших короблей, сто бушелей пшеницы и продовольствие для декуринов и гребцов: Перуджа , Кьюси и Гуседды дали сосну для строительства кораблей и пшеницу в больщих количествах"

აი რას ლაპარაკობს რაიმონ ბლოკი: "ეტრუსკების მომღერლები და მოცეკვავეები აცოცხლებდნენ ზეიმებს და თამაშობდნენ მთავარ როლს რელიგიურ ცერემონიებში და დამარხვის რიტუალებში, რომელიც ტარდებოდა მიცვალებულის დამარხვის დროს - ერუტრიაში. ისევე როგორც სხვა ცივილიზაციებში, ცეკვებს და თამაშობებს ქონდათ რიტუალების წარმომავლობა და ხასიათი. რომის ბძრანებლები მოუწოდებდნენ ეტრუსკების მოცეკვავეებს და მიმებს, რომ მათ თავისი რითმუ-

ლი მოძრაობებით, დაეწყნარებინათ ავი ღმერთები, რომლებმაც მოუტანეს ქალაქს უდიდესი უბედურება – შავი ჭირი". აი როგორ აღწერს ეტრუსკების ცეკვებს ბლოკი და როგორ მოგვაგონებს დღევანდელ ქართულ ცეკვებს: "Изгибы еще сильнее ощущается в конечностях танцоров, в больших, в длинных руках, вскинутых вверх и полных танца до самых кончиков пальцев, танца, который клокочет в них, как течение в море, словно через них проносится течение какой – то иной, сильной жизни, столь отличной от наших нынешних вялых течений, будто они черпают свою энергию из иных глубин, нам недоступных»

აი რას წერდა დ.ხ. ლოურენსი თავის წიგნში ,,ეტრუსკების ადგილმდებარეობები", ტარკვინის სასაფლაოს ნანახის შემდეგ: ,,ეტრუსკების გამოსახულები ფლობენ გარკვეულ თვისებებს. ეს არიან ლეოპარდები გამოყოფილი გრძელი ენით, ზღვის ცხენები, ირმები, განწირულნი ისრით კისრის მიდამოში და გვერდში ისინი იპყრობენ ჩვენს წარმოდგენას. ჩვენ ვხედავთ ზღვის ტალღას მოთამაშე დელფინებს, მყვინთავ პატარა ბიჭს რომელიც სასწრაფოდ ცოცდება კლდეზე. აი წვერიანი მამაკაცები ზიან საზეიმო სუფრასთან - როგორ წევენ ისინი საიდუმლო კვერცხს! და ქალები თავის მორიდებით, თაყვანს სცემენ დავიწყებულ ჩვენნვის სიფაქიზით!..". (კოლხური სიფაქიზე, თავდაბლობა, უფროსისადმი პატივისცემა ჩანს მიუხედავად იმისა, რომ ეტრუსკები უკვე იყვნენ შერეული სხვა ხალხებთან.

როგორც ვხედავთ, ძვირფასო მკითხველებო ზემოთ აღნიშნული ტექსტიდან – ცხოვრების წეს – ჩვეულებებს, სიმღერებს და ცეკვებს ძველი ეტრუსკებისას, გვაგონებს დღევანდელ ქართველებს.

რომაელი ისტორიკოსები ადასტურებენ, რომ ეტრუსკების იუველირები უძველესი დროიდან ფლობდნენ უმაღლეს ტექნოლოგიას, რომელიც უეჭველია მომდინარეობს კავკასიიდან, ეგვიპტური ბასეინის ქვეყნებიდან. ასრულებდნენ ისეთი სილამაზის სამკაულებს, რომელიც ჩვენ არ დაგვესიზმრება ჩვენ დროში. ჯერ კიდევ 1000 წლის წინ ეტრუსკებამდე, ასეთი საიუველირო ნაკეთობები კეთდებოდა კავკასიაში და მცირე აზიაში.

მსოფლიო რელიგიის ენციკლოპედიიდან ,,ისე როგორც ყველა რელიგია, ეტრუსკების რელიგიაც ფლობდა ღვთიურ დამწერლობას. ეტრუსკების ბიბლიის" შემქმნელად ითვლებოდა ღმერთი ტაგი. თანახმად თქმულებისა ის შეიქმნა მიწის მოხნის დროს, ახალშობილის სახით, ჭაღარა თმებით რომელიც უმღე-

როდა სწავლებას მის გარშემო შემორტყმულ ლუკუმონებს (მეფე – ქურემები) აქ უნდა ავღნიშნოთ განსაზღვრული პარალელი მეგრულ თაგილონთან.

საქართველოს უძველესი დასახლების ადგილის - ტაგილონის უხუცესები ყვებოდნენ რომ ეს ადგილი იყო წმინდა რომ აქ ყოველ წელს გამოჩნდებოდა მიწათმოქმედების ღიმერთი ტაგი რომელიც აძლევდა მითითებებს მიწათმოქმედებს. თაგილონი იკითხება ასე: ტაგ-ილ-ონ, სადაც ,,ტაგ"ი - ღმერთია; ,,ილ" – სვლა, შემოვლა; ,,ონ" – წარსულში. აქ უნდა ავღნიშნოთ რომ ყოვლად დასაშვებია რომ ეტრუსკების ბიბლია იყო მეგრული ბიბლიის – აპუტის ანალოგი.

ეტრუსკებში იმქვეყნიური ღმერთი აიტა, ატარებდა მგლის სკალპს. გერმანულ ღმერთ ,,ოდი"-ნს – თავის მორჩილებაში ყავდა ორი მგელი როგორც ვხედავთ ევროპის უძველეს ხალხში მიწათმოქმედების გადამრჩენად ვლინდება ,,მგელი" გერკოჩი-ჰერაკლე. უეჭველია ეს მოტანილია ხეთების და ვენეტების მიერ, რომლებიც დიდხანს ცხოვრობდნენ მეგრულ – ლაზურენოვანი ხალხთან.

ყველაზე დიდ პატივცემულ ღმერთად ეტრუსკებში ითვლებოდა ღმერთი გერკლე რომელიც განასახიერებდა ძალას და მეომარის სულისკვეთებას. გერკლე, ჩემი აზრით არის წარმოებული მეგრული სიტყვიდან- გერრე-მგელი. ამის დასტურად მოვიყვან რეიმონდ ბლოკის სიტყვებს:"ეტრუსკულ ანიმალიზმის უკეთესი გამოვლინება მოიპოვება დიდი ბრინჯაოს ქანდაკებებში. ერთ- ერთ მათგანს აქვს განთქმული ისტორია, ცნობილი მგელი რომელიც დღეს-დღეისობით გამოტანილია რომის კაპიტოლიუმის მუზეუმში თარიღდება , როგოერც ვეიანური სტატუების ჯგუფი მე-6 ს. ბოლის ჩვ. წ. აღ. ის გადმოტანილი იქნა ერუტრიიდან რომში სადაც რომი ითვლებოდა მარადიული ქალაქის სიმბოლოდ.

კიდევ ერთ სენსაციური აღმოჩენა ზემოთ ლაპარაკი იყო იმაზე , თუ როგორ აღმერთებდნენ ეტრუსკები მანებს და ლაზებს, მიიჩნევდნენ რა მათ ღმერთებად როგორც ძველი ხეთები და ინდოელები.

„ეტრუსკების ღვთაებებში განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ ლაზები. ზოგიერთ მათგანს ქონდა ინდივიდუალური სახელი და განისაზღვრებოდნენ როგორც ტურანი (ტინია) ეტრუსკული აფროდიტეს მოსამსახურეები. უამრავი ლაზებიდან გამიკვეთებოდა ქალღმერთი ლაზა, გაშიშვლებული ახალგაზრდა

ქალი, ზურგზე ფრთები, რომელსაც ხელში ეკავა სარკე, საწერი ფირფიტები და გრიფელი. ატრიბუტების მიხედვით მას დაეკისრა სწავლების ქალღმერთის ფუნქციები. ეტრუსკების კვალ და კვალ ლაზებსაც თაყვანსცემდნენ რომაელები, როგორც სახლის და კერის მფარველს".

კიდევ ერთი ახსნა ეტრუსკების წარმომავლობისა ყველა ვარაუდის გარეშე ეტრუსკული ფრესკები რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს ეჭვ გარეშეა დაეხმარნენ მიქელანჯელოს იმ სახის განსახიერებაში, როდესაც მან აიღო აიტის თავი, დაფარული მგლის ტყავით.

ცნობილია, რომ მიწისქვეშეთის ღმერთი ეტრუსკებთან იყო აიდ-აიტი. აეტი და აია მოიხსენიება მცირე აზიის ყველა ქვეყანაში. როგორც შევნიშნეთ ინგლისში პიქტებთან.

ძველი ეტრუსკების მეზღვაურების ზღვის მბრძანებელი იყო ღმერთი ნეტუს-ი, რაც მოგვაგონებს მეგრულ სიტყვას- ნატუს - განათებას.

ქალღმერთი ნორთა - „ყოველწლიურად მოევლინებოდა ეტრუსკებს ვითომდა ბრუნდებოდა". ეტრუსკის მეთევზეები თვიაანთ გემებზე აყენებდნენ ნორთას ქანდაკებას, რომელიც სიმბოლურდებოდა კეთილ დაბრუნებაზე.

ნორთა- სიტყვა სიტყვით მეგრულად ნიშნავს დაბრუნებას.

ძველი რომაელი ისტორიკოსი ჟ.ბეიე წერს: რომში ეტრუსკების ნეს-ჩვეულებების არსებობა იყო მუნდუსის ქვის აღიარება. წმინდა პროცესიას მოქონდა რომის ქუჩებში ქვა, რომელსაც გამოყავდა არამარტო მანების წინაპრები ქველსამყარიდან არამედ წვიმაც".

ეტრუსკებში "მანი" - მანა - მიწისქვეშა ხტონიკური ღმერთია. სახელი - მანები მეგრულ-ლაზურენოვანი ხალხია, როგორც ხათები, ხურები, კასკები. მეორე ეთასწლწულში ჩვ.წ.აღ. მდე მანები, რომლებიც ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში უკვე იყვნენ შერეულები ინდოევროპულ დამპყრიბლებთან.

აი რას ლაპარაკობს რაიმონდ ბლოკი ეტრუსკებზე:" ამგვარად ეტრუსკების წარმოდგენა სიმბოლურ კოსმიურ კონცეფციებში იკავებენ ძირეულ ადგილს. აქ საინტერესოა ავღნიშნოთ რომ ლათინური სიტყვა მუნდუს, იყო ქალის სამკაულები, ხოლო მოგვიანებით მისი გამოყენება დაიწყეს ვარსკვლავების მიმართ.

ეტრუსკელებისთვის და რომაელებისთვის კარგად იყო ცნობილი მიწისქვეშეთის მუნდუს-ის არხი დაკეტილი თაღით

სადაც სიცოცხლის სამყარო ეხებოდა სიკვდილის სამყაროს. იმ დღეებში რომლებსაც ეძახდნენ ღელიგიოსი, რომელიც მანდუს-ი იღებოდა და მიწაზე ამ ავსადები ხვრელიდან გაოდიოდნენ ჯოჯოხეთის სულები."

ეტრუსკულ მუნდუს-ი იდენტურია მნიშვმნელობით რუსული (ორმოს იაგოდიცა და ინდურ მამარაჯახას რასაც ჩემი აზრით აქვთ ერთ წარმომავლობა და ნიშნავს მიწისქვეშა სამყაროს. მუნდუს- მუნდი მერგულად, მუნდიშ მხარე -უკანა მხარე ანუ ქვედა სამყარო.

ეტრუსკების მიერ მანების ხსენება როგორც თავიანთ ღმერთებისა გვაგონებს ინდოეთში მანების გაღმერთებას, ისევე როგორც ძველ რუსეთში და მანების გაღმერთებას ხეთების სამეფოში.

ეტრუსკების ღვთაება „ხაარუ" ძალიან მოგვაგონებს ეგვიპურ ინდურ ხატხორ -ს.

ეტრუსკების ნაყოფიერების ღვთაებები „ვაკხუ" და „ბრელხუ": „ვა -კ-ხუ" ნიშნავს არ დაბადება, „ბრელ -ხუ" ბევრის დაბადება, მეგრულად.

მთავარი ეტრუსკული ჭექა ქუხილის ღმერთი ვალხე: მეგრულად ვალ-ელვა, ხე-დაბადება. ვალხე - დააბადე ელვა; დააბადე წვიმა. ვალხე-პიველი ღმერთია მიწათმოქმედების. აი რას ამბობს ამის შესახებ რაიმონ ბლოკი: „კიდევ ერთ ცეცხლის ღმერთად ითვლებოდა ველხანს-ი. ქ. პოპულონია, გამდიდრებული ლითონის გადამუშავებით, მონეტების ბეჭვდით რომელზეც გამოსახული იყო ველხანსი, მფარველი მჭედლიბისა (პირველი მეტალუტგებისა). აქ ვფიქრობ კოემნტარები არ გვჭირდება. ბუნენრივია პირველ მჭედლებს ყავდათ თავიანთი ღმერთები.

მთავარ ღმერთად ითვლება ტინია ელვის მბრძანებელი. მისი სახელი ოთხჯერ მოიხსენიება ღვიძლის ბრინჯაოს მაკეტზე. ტინია- სწორია-მეგრულად. დღეს-დღეისობით არსებობს სამეგრელოში და აფხაზეთში ცხოველების ღვიძლის მსხვერპლშეწირვა და კენჭებზე მკითხაობა, რასაც ეძახიან-აპხაშ-მაკითხე. აი როგორ აგვიწერს ქართველი მეცნიერი სერგო მაკალათია ცხოველების ღვიძლის მსხვერპლშეწირვის რიტუალს. ოქტომბრის თვის ბოლო სამშაბათს ზეიმობდნენ „შკვითული"-ს (შვდიანი). კლავდნენ: ხბოს, ცხვარს,თხას, ღორს, მამალს,იხვს,თევზს. ეპატიჟებოდნენ ახლობლებს. ტრაპეზის დაწყებამდე ოჯახის უფროსი მიდიოდა ლაგვანთან .(ღვინოს ჭურჭელი) დგებოდა მუხლებზე. იქვე

განლაგებული იყო ყველა შესაწირი ცხოველის თავები, გული და ღვიძლი. ლაგვანზე ამაგრებდნენ ანთებულ სანთლებს რის შემდეგ წარმოთქვამდე ლოცვებს, შემდეგ ყველა მონაწილე იღებდა საკმეველს და აკეთებდნენ გოლუაპაშ რიტუალს, სამჯერ შემოატარებდნენ საკმეველს რიტუალურ მაგიდას (ტაბაკს), და ჩაუშვებდნენ ცეცხლში. იდენტური სახელწოდება და შინაარსი აქვს ხეთების და ხურიტების ღმერთ შიმიკე-ს. შიმკე სადაც „ში"- 7, „მიკე"-შეგროვება. რიცხვი 7 კოლხებისთვის წარმოადგენდა საკრალურ მაგიურ რიცხვს. ერუტრიაში სენსაციურმა აღმოჩენამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა თუ როგორ ხორციელდებოდა რომის იმპერიაში ღვიძლზე მკითხაობა. რაიმონ ბლოკის მტკიცებით ღვიძლზე - მაკეთი ბრინჯაოსგან წარწერები ეს არის ზუსტი პროექტაცია ცის თაღისა, სადაც საშუალებას გვაძლევს დავხაზოთ ცის რუქა, სადაც ყველა ღმერთისთვის გამოყოფილია ადგილი.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. ეტრუსკულ ენაზე მონტიკე მკითხავი, წინასწარმეტყველი, ძალიან გავს მეგრულ სიტყვას-მაკითხე-ს. მაკიტხე სიტყვა სიტყვით ნიშნავს-მკითხავს, რომელიც ნიშნავს მკითხაობას კენჭებზე და ძვალზე. მაკითხე (მკითხავი) პირდაპირ მიუთითებს თუ როგორ მკითხაობდნენ და წინასსწარმეტყველებდნენ მომავალს ეტრუსკები და მათი წინაპრები.

ის რომ ღვიძლზე მკითხაობა გავრცელებული იყო მეგ-რულ ლაზურენივანი ხალხის მიერ, მთელ ტერიტორიაზე კავკასიიდან ეგვიპტის ჩათვლით ეჭვს არ ბადებს. ის რომ ეს მკითხაობები გავრცელებული იყო შუმერებში და ბაბილონში. ამაზე მოგახსენეფთ ხ. საგსის წიგნიდან : „ჩემ უფროს ძმებს შორის მე ვიყვი ყველაზე პატარა. აშურას ბრძანებით...... ჩემმა მამამ..... საზეიმოდ დანიშნა ყველას წინ შეგროვილი ძმები, წარმოთქვა შამაშა და ადადა. ღვიძლზე მკითხაობით მათ უპასუხეს გარკვევით: „ის შენი მემკვიდრეა"[...]ამიტომ მან პატივი მიაგო მის ღვთიურ სიტყვებს შეაგროვა ასირიის ხალხი, დიდი თუ პატარა და აიძულა მათ ფიცი დაედოთ აშურას წინ".

მოვიყვან კიდევ ერთ შემთხვევას ძველი ბაბილონის ცხოვრებიდან, სადაც ეტრუსკები იდენტურად იყენებდნენ ღვიძლის მაკეტს: „..დაუშვათ, რომ ამ დანიშნულებისათვის შემოთავაზებული იყო სახელი-კურდი-აშშურ-ლამურა. ეს მისაღები იყო მეფისთვის, მაგრამ უმთავრესი იყო მოწონებოდა ეს კანდიდატურა. ამიტომ ხელსაყრელ დღეს ჩატარდა რიტუალი რომლის მიმდინარეობისას გაირკვა, თუ რას ფიქრობდა ამაზე

მზის ღმერთი. ტაბულაზე დაწერე სახელი კურდი-აშურ-ლამურა და კითხა ვისი სახელიცაა აქ ამოტვიფრული, შეგვიძლია თუ არა დავნიშნოთ ის ამ თნამდებობაზე?" ეს ნაზ-წერილი დადეს მზის ღმერთის გამოსახულების წინ. იქვე წინასწარმეტყველი ქურუმები არჩევდნენ შესაწირად თიკანს. დაკვლის შემდეგ მოაცალეს ღვიძლი, ფილტვები, შეაჭრეს ორგანოები ისე როგორც თიხის მოდელებთან, შეადგინეს სასიკეთო და არასასიკეთო მომასწავლებელი ნიშნების სია. პირველმა ხმის დათვლამ მიიღო თანხმობა, თუმცა შედეგი თუ არადამაკმაყოფილებელი იქნება იყო შესაძლებლობა ეს ციკლი ჩაეტარებინათ მეორეთ ან მესამედ. აი რას ამბობს ამის შესახებ ო.რ. გარნი: „იმისათვის რომ დაედგინათ ღვთიუთი ნებაყოფლობა, ყველაზე საიმედო საშუალებათ მიიჩნევდნენ მკითხაობას, ხეთები ცნობდნენ მკითხაობის სამ მეთოდს: მკითხაობა შესაწირი ცხოველების ორგანოებზე, ჩიტების გაფერნის მეთოდი და კენჭის ყრის გზით".

რეიმონ ბლოკი: „ეტრუსკები იყვნენ ცივილიზაციის აქტიური გამტარებლები იტალიის გულში. მათი მამოძრავებელი იმპულსის, ბერძენი კოლონისტების ძალისხმევას გამოყავს ნახევარკუნძული ბარბაროსების სიბნელიდან. ეტრუსკული ცივილიზაცია გამოირჩევა თავისი სიძველით-სიბოლოებით, დაწყებული არქაული პერიოდიდან მან მიიღო ძლიერი ელინიზებული ფორმა. ეტრუსკებმა იტალიის მიწაზე მოიტანეს არა მხოლოდ აღმოსავლური გამოსახულება და აზროვნება არამედ ხელოვნებაც და რელიგიაც".

ამის გარდა ალფავიტური დამწერლობა, რომელიც შემოტანილი იყო ეტრუსკების მიერ ან მათთან ახლოს მყოფ ხანანელებიდან. აი რას წერს ამი შესახებ ჯონ გრეი: „ხანაანიდან ალფავიტური დამწერლობა გადმოტანილი იყო ზვღის იქით. შესაძლებელია ეს გააკეთეს ფინიკიელმა ვაჭრებმა ან ხანანში მცხოვრებმა მიკენის გადმოსახლებულებმა, რომლებიც ადაბტირდნენ ბერძნულ ენასთან და გადასცეს ქვეყნის ნაწილს, როგორც მიმოწერის საშუალება აღმოსავლეთის ქალაქებთან.

მაღლა თქმულიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეტრუსკები წარმოიშვნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომადგენლების შერევით, მაგრმ ფუძეთ რჩებოდა მეგრულ -ლაზურენივანი ხალხი რადგან ღმერთის მსახური მიდიოდა მათ ენაზე. რადგან მათი წეს-ჩვეულებები; სიმღერბი, ცეკვები ღმერთს სახელები, ლითონის გადამუშავების ხელოვნება და მიწათმოქმედების კულტურა უეჭველად მეგრულ-ლაზურენოვან ხალხისა იყო.

## დასკვნა

გამომდინარე განხილულიდან, თამამად შეიძლება ითქვას რომ იქ, სდაც ჩაისახა კაცობრიობა, იქვე აღმოცენდა მინათმოქმედებაც, მესაქონლეობა და პირველი მეტყველება. შესაბამისად პირველი რელიგიური სარწმუნოებები გაჩნდა ამ ტერიტორიებზე. ეჭვი არ არის იმაში რომ მეგრულ ლაზურენოვანმა ხალხმა ითამაშა უდიდესი როლი პირველი ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში და უდიდესი გავლენა იქონიეს ძველი ქვეყნების შემდგომი ცივილიზაციის განვითარებაში.

კაცობრიობოს განვითარების ისტორია ითვლის არა ერთ ათასწლეულს; ცივილიზაციები ცვლიდნენ ერთმანეთს; ყველა ხალხს თავისი წვლილი შექონდა კაცობრიობის ევოლუციაში. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მეგრულ ლაზურენოვან ხალხს რომლებიც პირველები იყვნენ დედამიწაზე, ისეთი უდიდესი ცივილიზაციის შექმნისა როგორიც არის აიას, ბაბხურიას (ბაბილონის), ხამიტიას (ეგვიპტის), ურაშდუს (ურარტუს) და სხვა.

დღეს დღეობით კაცობრიობამ იცის ერთი და იგივე უკვე დამკვიდრებული ისტორიულ მეცნიერებაში, როგორც ჩვენი წარსულის საფუძველი. ჩემი მიზანი იყო შემეთავაზებინა მკითხველისთვის ჩემი ხედვა შორეულ წარსულზე, თუ როგორ გადაჰქონდათ მეგრულ - ლაზურენოვან ხალხს თავიანთი ცოდნა, როგორც ღვთის ნება; სამართლიანობა, ჰუმანიზმი, რომელიც ერწყმოდა მსოფლიოო ხალხის ყოფას; თუ როგორ ჯეროდათ მათ, რომ ღმერთების კეთილდგეობა, მათი სამყარო, და მისი შენარჩუნება დამოკიდებულია კაცობრიობის შეგნებაზე.

ცნობილი ფესტოსის დისკში გამოსახულია სულის ამოძახილი და მოწოდება აიას ქვეყნის ახალგაზრდებს; შემოინახონ თავიანთი წინაპრების ქვეყანა: " აიას ყმაწვილებო, ტაძრის გამწმინდელებო, დედის კარიპჭის დამცველებო დაიცავით თქვენი ტაძარი".... ამ ამოძახილის შემდეგ გავიდა 4 ათას წელზე მეტი და თუ ჩვენ დღეს არ ვიცით ვინ იყვნენ აიას ხალხი და არ ვიცავთ მათ ღირებულებს, და არ გვინდა მისი ცოდნა - მაშინ შეიძლება ჩვენი თავი დაკარგულად ჩავთვალოთ ბოლომდე და სამუდამოდ.

## სარჩევი

უცნობი ხალხის ცივილიზაცია ---------- 3
აიადუ ---------- 11
ილუ ---------- 22
შუმერები ---------- 26
ქეანა ---------- 34
ხამიტია ---------- 40
ხეთები ---------- 45
მეგრელ - ლაზები ---------- 59
მეგრელების ენა და დამწერლობა ---------- 85
მეგრელების რელიგია ---------- 95
სლოვენები ---------- 108
კანადა ---------- 120
პელაზგები ---------- 121
ინდოელები ---------- 125
მაია, ინკები, ოლმეკები 132
პიქტები ---------- 137
ეტრუსკები ---------- 142